ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№173 (232) 5-12 ივნისი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

როგორც ჩანს, უკვე ყველანი მზად არიან სააკაშვილთან გამოსამშვიდობებლად

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით 2011 წლის ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოსაც უკავია. საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემაა გამოყოფილი: პირველი – ციხეებში პატიმრებზე ძალადობა და არასათანადო საცხოვრებელი გარემო; მეორე – სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა; მესამე – არადემოკრატიული საარჩევნო გარემო და ა.შ.

ის, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში შეფასებები წლიდან წლამდე მნიშვნელოვანწილად მეორდება, ნიშნავს იმას, რომ არსებითად არაფერი იცვლება არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზაზე. სასამართლო სისტემისა და მედიის თაობაზე ჩანაწერის ფორმულირება ანგარიშიდან ანგარიშში ლამის უცვლელად გადააქვთ. თუმცა წლევანდელ დოკუმენტში ერთი რამ აშკარად თვალში საცემია – სახელმწიფო დეპარტამენტი, რა თქმა უნდა, ეტიკეტისა და დიპლომატიის დაცვით, გაცილებით მეტს ლაპარაკობს უარყოფით მხარეებზე, ვიდრე დადებითზე. პროგრესზეც არის ლაპარაკი, თუმცა ეს ძირითადად ეხება საერთაშორისო სტანდარტების ციხეების აშენებას, რელიგიური უმცირესობებისთვის იურიდიული სტატუსით დარეგისტრირების უფლების მინიჭებასა და სისხლის სამართლის საქმეებზე ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტის შემოღებას. თუმცა იქვე ლაპარაკია იმაზე, რომ კვლავაც საკმაოდ რთულად არის ვითარება ციხეებში და რომ იქ კანონის უზენაესობა არ არის დაცული, რომ სასამართლო სისტემა ვერ უზრუნველყოფს თანასწორობასა და სამართლიანობას, რომ მედია მთავრობის პირდაპირი თუ ირიბი გავლენის ქვეშ არის და ა.შ. ასევე ნათქვამია ისიც, რომ ხელისუფლება ვალდებულია იზრუნოს ამ პრობლემების მოგვარებაზე. საკმაოდ მკაცრია ანგარიში 2011 წლის 26 მაისის მოვლენების შეფასებისასაც. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ეტიკეტის ფარგლებში, მაგრამ ანგარიში მაინც მკაცრია და არ არსებობს, ალბათ, ოპოზიციური ძალა, რომელიც ამ დოკუმენტის პათოსს არ გაიზიარებდა. მნიშვნელოვანი ჩანაწერია მომავალ არჩევნებთან დაკავშირებითაც. მოკლედ, უნდა ითქვას, რომ ამ ანგარიშით სახელმწიფო დეპარტამენტი და საზოგადოდ, ამერიკის ხელისუფლება აჩვენებს, რომ დაინტერესებულია კვლავაც ჩვენი ქვეყნით, მაგრამ, როგორც ჩანს, უფრო როგორც ფეხჩასადგმელი გეოპოლიტიკური სივრცით და არა მისი დემოკრატიული განვითარებით. ამიტომაც ესოდენ დიდი ყურადღებით აკვირდება აქ მოვლენების განვითარებას.

მიუხედავად გამოკვეთილი ანგარებითი პოზიციისა, ამერიკას, როგორც ჩანს, მაინც აქვს აღებული გარკვეული კურსი საქართველოს მისამართით, რასაც, სავარაუდოდ, აღარ შეცვლის. საქართველოს დემოკრატიული განვითარება და ის, თუ როგორ წარიმართება პროცესები არჩევნებამდე და არჩევნებისას, ერთგვარად ამერიკის გამოცდაც არის. საქართველოს ამ გზაზე დამარცხება ამერიკაშიც მარცხად აღიქმება. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ამან როლი ამერიკის შიდაპოლიტიკურ პროცესებშიც ითამაშოს. მოგეხსენებათ, იქაც საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და არა გვგონია, დემოკრატებს სურდეთ საქართველოს სახით კიდევ ერთი საკრიტიკო საკითხი დაიმატონ.

აქედან გამომდინარე, დაისმის არც მთლად რიტორიკული შეკითხვა: **– რა გავლენა ექნება ამ ანგარიშს საქართველოს**

გაგეთ “ილორის” გადმოსახედიდან

ხელისუფლებაზე?

პასუხი მარტივია – ერთია, რას წერენ ქაღალდზე და მეორე, რას ამბობენ კულუარებში. თუ ეს მხოლოდ ჩანაწერია და მეტი არაფერი, მაშინ ამას ხელისუფლება ისევე გაატარებს და არ მიაქცევს ყურადღება, როგორც აქამდეც იქცეოდა, თუმცა არასამთავრობოებსა და სხვა ორგანიზაციებს რჩებათ შთაბეჭდილება, რომ ის საკითხები, რაც ასე დელიკატურად გამოდის საჯაროდ, საკმაოდ მძაფრი განხილვის თემაა კულუარებში, ანუ საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხებსა და პრობლემებზე პირად საუბრებშიც ელაპარაკებიან. ის, რომ ხელისუფლება ითვალისწინებს დასავლეთის და კერძოდ, ამერიკის აზრს, კარგად გამოჩნდა იმ საკონსტიტუციო ცვლილებებისას, რითაც ხელისუფლებამ სწორედ დასავლეთის ზეწოლით გადაწყვიტა, პოლიტიკურ ასპარეზზე შემოეყვანა ბიძინა ივანიშვილი. რომ არა ეს ზეწოლა, სააკაშვილი და მისი მთავრობა ამგვარ ნაბიჯის არავითარ შემთხვევაში არ გადადგამდა. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები ივანიშვილს სულაც არ სჭირდებოდა. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა 2012 წლის 27 მაისს, როცა პოლიტიკური კოალიცია **“ქართული ოცნების”** პრეზენტაციაზე, სადაც, მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, ასი ათასზე მეტი თბილისელი მივიდა. სააკაშვილის მართლაც ბავშვური ახირების თუ სხვა ანომალიური გადახრების გამო, ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მეტ დათმობაზე აღარ წავა, თუმცა, მათივე აზრით, თუ კვლავაც ისევ ისეთი იქნება საერთაშორისო ზეწოლა სააკაშვილის ხელისუფლებაზე, როგორიც ამ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივამდე იყო, სააკაშვილი და მისი არაქართული გარემოცვა უეჭველად წავლენ გარკვეულ დათმობებზე და იძულებული გახდებიან მიანიჭონ მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილს.

ვერაფერი ვერ მოგვიტანა იმან, რომ სააკაშვილი ამერიკაში ჩიკაგოს სამიტს დაესწრო (გარდა რუსეთის კიდევ ერთხელ გამოხატული გულისწყრომისა, რაც შეიძლება მომავალში ძვირად დაუჯდეს საქართველოს, და არა სააკაშვილსა და მის გარემოცვას, რომლებიც პირველივე საფრთხის წარმოჩენისთანავე სწორედ ისევე მოცოცხავენ საქართველოდან, როგორ ეს 2008 წლის აგვისტოში გააკეთეს, რიგით მოქალაქეებს კი დაუბარეს: **“აიღეთ ცოცხები, ქვაბები და ტაფები და მედგრად შეებრძოლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულ რუსულ ჯარებსო”**), თუმცა მისი ვიზიტი დაიწყო ამ სამიტამდე ადრე და გაგრძელდა მას მერეც. როგორც ამბობენ, ის ახალ ლობისტებსა და მხარდამჭერებს ეძებს ამერიკის ხელისუფლებაში. როგორც ჩანს, ამერიკის სომხური ლობი სომხური წინდახედულობით იქცევა და ფსონს (უფრო სწორად – ფულს) აღარ დებს გაკოტრებულ სააკაშვილზე და ისინი სხვა ეთნიკური სომხის მოყვანას შეეცდებიან საქართველოს ხელისუფლებაში. შესაბამისი კანდიდატურის მოძებნა არც გაუჭირდებათ, რადგან ზედაპირული მოკვლევითაც ძნელი არ არის იმის დადგენა, რომ დღეს **”ქართველ”** ნაციონალთა პარტიულ-პოლიტიკურ ელიტაში 150-ზე მეტი ეთნიკური სომეხია ჩანერგილი!

საერთოდ აღიარებული მცნებაა: თუ კარგად იხდი, ლობისტების მოძებნა არ არის მაინცდამაინც ძნელი, მაგრამ ერთია ლობისტების მუშაობა, მეორე კი – ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო პოლიტიკა და მხარდაჭერა. რთული დასაშვებია, რომ რომელიმე ქვეყანა მხოლოდ ლობისტების განწყობების მიხედვით მოქმედებდეს, მაშინ, გამოვა, რომ ამ სახელმწიფოს თავისი პოლიტიკა არ უნდა ჰქონდეს, ამის ნაცვლად კი ბაზარი ჰქონდეს გახსნილი. მაგრამ ეს ასე არ არის. ეს მკაფიოდ ჩანს. ლობიზმი არ ცვლის ამერიკის კურსს, შესაბამისად, ლობისტები შედეგს აღწევენ, თუ თვითონ სახელმწიფო კურსსაც აწყობს ეს შედეგი. რაც შეეხება ამერიკის პოზიციას, დღემდე გაკეთებული განცხადებები აჩვენებს, რომ სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულება აშკარად მეტად ფრთხილი გახდა. როგორც ჩანს, ამერიკაში ურჩევნიათ, რომ საქართველოში კორუფციული პირამიდის წვერზე წამოჯგიმული სააკაშვილი აღარ იყოს ხელისუფლებაში. მან თუ მოახერხა დარჩენა, აშკარაა, რომ ამერიკას წამოაძახებენ, რომ ის მხარს უჭერს ავტორიტარულ-კორუფციული ტენდენციების მქონე ლიდერებს.

ვერც 2012 წლის 26 მაისს ქუთაისში ჩატარებულმა სამხედრო აღლუმმა მოახდინა დიდი შთაბეჭდილება როგორც ჩვენს უცხოელ პარტნიორებზე, ასევე საქართველოს მოქალაქეებზე. ლამაზად ჩამწკრივებულმა ჯარისკაცებმა და სამხედრო ტექნიკამ იმის შიში გამიჩინა, რომ სააკაშვილმა და მისმა **“ჩინოსნებმა”** სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ და კვლავ სამხედრო რიტორიკის ენით სურთ საუბარი იმ რუსებთან, რომელთან სამხედრო დაპირისპირებასაც მთელი მსოფლიოს გაერთიანებული სამხედრო ძალებიც კი ვერ ბედავენ. არა და, აშკარად დავდალეთ რუსები საქართველოდან ალაფად მოპოვებული სამხედრო ტექნიკის გატანით, ჭკუა კი მაინც ვერ ვისწავლეთ!

2012 წლის მაისის ყველაზე ღირშესანიშნავ მოვლენად **“ნაცებსა”** და მათ ნეტარდიმილიან, ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკებისაგან ფეხარეულ ლიდერს საქართველოს პარლამენტის ქუთაისში გადატანა მიაჩნიათ, რომელმაც ხათუნა გოგორიშვილის უნიტაზად სახელდარქმეულ იმ შენობაში დაიდო ბინა, და რომელიც ვანდალურად აფეთქებული, სამამულო ომის დიდების მემორიალის ადგილზე ააგეს ფართხა-ფურთხით, უმანკო დედა-შვილის სისხლით რომაა მორწყული. ყველა აღიარებს, რომ სააკაშვილმა ამით ორი კურდღელი დაიჭირა: მისთვის საძულველ თბილისსაც გაექცა და თან, ნიადაგი შეამზადა საქართველოს დედაქალაქის ქუთაისში გადასატანად, რითაც მრავალსაუკუნოვან ოცნებას აუხდენს თავის თანამემამულე რეაქციონერ სომხებს, რომლებიც შემდეგ უდრტვინველად დაეპატრონებიან ჯერ თბილისს, შემდეგ კი მოსახლეობისაგან დაცლილ აღმოსავლეთ საქართველოს. ჯავახეთი ხომ ისედაც სომხურ ტერიტორიად მიჩნიათ, სააკაშვილის მოღალატეობრივი პოლიტიკის წყალობით! არაფერი მაქვს იმ ანგელოზივით ბავშვის, უდავოდ ნიჭიერი ანი ხანჩალიანის საწინააღმდეგო, მაგრამ რაღა სომეხ ბავშვს ამღერებინეს იმ დღესასწაულზე საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. როგორც დავიჯერო, რომ სიმღერების სინონიმად ქცეულ **“სავარდო და სამაისო”** (მაგრამ არა ყბადაღებულ – რევოლუციურ) ქუთაისში ერთი ქართველი მომღერალი ბავშვი ვერ მოძებნეს, რომ საქართველოს ჰიმნი შეესრულებინა! მაგრამ არა, ამით სომეხმა სააკაშვილმა მის თანამემამულე სომხებს კიდევ ერთი მესიჯი გაუგზავნა: ჩემი წყალობით, თბილისი ხომ ისედაც თქვენი ქალაქია, მალე ქუთაისიც თქვენი გახდებაო!

ძალზე აჭრელებული ეთნიკური შემადგენლობის მქონე თბილისს რვა წელიწადი დასჭირდა საიმისოდ, რომ მთელი სიგრძე-სიგანით გაეშიფრა სომეხი მიხეილ სააკაშვილის მზაკვრული ჩანაფიქრი და დაუფარავი სიძულვილის შეგებებით აეძულებინა სააკაშვილი გაქცეულიყო დედაქალაქიდან. ეთნიკური შემადგენლობით ბევრად ერთფეროვან და ქართული ეროვნული ღირსების ნიშნით მტკიცედ შეკრულ ქუთაისს კი საამისოდ რამდენიმე თვეც კი ეყოფა, თუნდაც იმიტომ, რომ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც უკვე ხელისუფლებას მომგებიან კომერციულ ადგილად მიაჩნია (სომხები ხომ ძირითადად ფინანსურ მოგებაზე არიან ორიენტირებული), უკვე დაიწყეს ქუთათურების პირად საკუთარი მყოფი გარაჟების ხელაღებით ნგრევა. ეს მხოლოდ დასაწყისია იმ უბედურებების, რომელსაც დღემდე ლაღად მცხოვრები ქუთათურები მალე მოიმკიან ახირებული სააკაშვილისა და მის მონობაში მყოფი **„პარლამენტარების“** გაუაზრებელი (უფრო სწორად, წინასწარი ბოროტი განზრახვით გამიზნული) ქმედებების წყალობით. ამისივე დასტური, ასევე, გახლავთ უცნობი ქუთაისელი პოეტის მიერ სახელდახელოდ გადაკეთებული ცნობილი ქართული ლექსი:

ქუთაისის პარლამენტში მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა გკითხოს ვინა ხარო,
უპასუხე რომ ბოდვა ხარ, არ კი უთხრა ვისი,
ამას თვითონ მიგიხვდება, ჩემი ქუთაისი!

საინტერესოა, როცა **„ნაცებს“** მალე სტუმარ-მასპინძლობით გამორჩეული (სტუმარი მოწვეული გაგვიგია, თორემ ვიღაც შლეგი დაუკითხავად რომ შემოგივარდება ოჯახში, იგი აღვირახსნილი ბანდიტი უფროა, ვიდრე სასურველი სტუმარი) ქუთაისლებიც მოიძულებენ, შემდეგ სად გადაიტანს სააკაშვილი საქართველოს პარლამენტს?!

ალბათ – ერევანში!

მისი ადგილიც ხომ იქ არის, რადგან მალე აღარც საქართველოში დაედგომება და აღარც ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ!

ჩვენ კი სამუდამოდ დავიხსნით თავს იმ უხსენებელი ედუარდ შევარდნაძისაგან, რადგან სწორედ ისაა საქართველოს სხეულში ჩაბუდებული მომაკვდინებელი სიმსივნე, მიხეილ სააკაშვილი და მისი არაქართველი თანამზრახველები კი შევარდნაძის მიერ გაშვებული ის მეტასტაზები არიან, რომელსაც მალე (იმედია – უმტკივნეულოდ), მოიშორებს სრულიად საქართველო!

არაჰიბრიდული „ეგზეკუცია“

„წარუმატებელი“ – ასე მონათლეს საქართველოს ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ჰიბრიდული სიმინდის პროგრამა, რომელზეც შარშან დიდ იმედს ამყარებდნენ. ამ პროგრამას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს **„დამღუპველიც“**, რადგან მისი წყალობით ათასობით გლეხისა და ფერმერის ოჯახი დაზარალდა. ამ ადამიანებსა და მათ პრობლემებზე საუბრისგან სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტრადიციულად, თავს იკავებს. ხელისუფლებაში გადაწყვიტეს, დაზარალებულ ფერმერებს თანხა ჩამოაწერონ, თუმცა ისინი არჩევანის წინაშე დააყენეს: ვისაც თანხას ჩამოაწერენ, მომავალში ვერც ერთ სამთავრობო პროგრამაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, ხოლო პროგრამებში მონაწილეობის მსურველებს თანხის გადახდას ერთი წლით გადაუვადებენ... მიუხედავად ამგვარი დაპირებებისა, კომერციული ბანკები ჰიბრიდული სიმინდის პროგრამით დაზარალებულ ფერმერებს ქონებას უყადაღებენ.

„სიმინდის წარმოების ხელშეწყობის პროგრამით დაზარალებულთა კავშირში“ აცხადებენ, რომ პროგრამებში მონაწილეობის სურვილს უკვე აღარავინ გამოთქვამს, რადგან დაზარალებული ფერმერები კარგავენ ყველაფერს – სახლ-კარსაც და უძრავ-მოძრავ ქონებასაც, რომელიც ბანკში აქვთ ჩადებული.

ელიზავეტა ფეოდოროვა-ქორიძე (კავშირის თავმჯდომარე): **„დაზარალებული გლეხებისა და ფერმერების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ კონკრეტული ციფრის დასახელება მიჭირს. ჩვენს ორგანიზაციაში მხოლოდ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ფერმერები შედიან, მაგრამ კახეთიდანაც ძალიან ბევრი გვეხმიანება. სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში ხალხს დაუყადაღეს სახლები, წაართვეს ქონება და საშინელ დღეში ჩააგდეს. პრეზიდენტმა პარლამენტის სხდომაზე პირდაპირ განაცხადა: ჰიბრიდული სიმინდის პროგრამით დაზარალებულ ხალხს კომპენსაცია უნდა გამოეყოსო. პრეზიდენტის ნათქვამი არაფრად ჩააგდეს და ჩვენს ნათქვამს ყურადღებას ვინ მიაქცევს? ჩვენთვის არანაირი კომპენსაცია და შეღავათი არ არსებობს. მე მაგალითად, ბანკმა სესხის გადახდის ვადა არ გადამიწია, საურავებს მარიცხავდნენ, ახლა კი მეუბნებიან, თქვენი საქმე სასამართლოს უნდა გადავცეთო. ეს ქვეყანა ჩალით არის დახურული?!“**

ირაკლი კაკაჩია (წალენჯიხის რაიონის მკვიდრი): **„ჰიბრიდული სიმინდის პროგრამას დიდ რეკლამას უწევდნენ და დათესვა გადავწყვიტე. ბანკიდან ავიღე კრედიტი 7 ათასი ლარი, ჩემი ფული, 4 ათასი ლარიც დავამატე, იმედი მქონდა, რომ მოსავალს ავიღებდი, სესხსაც გავისტუმრებდი და მოგებაც დამრჩებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, არანაირი მოსავალი არ ამიღია. საბოლოოდ ბანკს ვთხოვე, ოთხ წელიწადზე გაენაწილებინა სესხი და ახლა თვეში 250 ლარის გადახდა მიწევს. ითქვა, დაზარალებულ ფერმერებს და გლეხებს თანხა უნდა ჩამოვაწეროთო და ამის იმედი გვქონდა, მაგრამ საიმედოს არაფერს გვეუბნებიან. ვინც ვერ გადაიხდის, ბანკში ჩადებულ ქონებას ართმევენ“.**

გიორგი მაჭაცარია (აბაშის რაიონის მკვიდრი): **„ამ ადამიანებს გაუსტუმრებელ ვალად დარჩათ ბანკებიდან გამოტანილი კრედიტები, რაც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის დასჭირდათ. გლეხებს იმედი ჰქონდათ, რომ ჰიბრიდულ სიმინდს ქვაზეც მოიყვანდნენ, მაგრამ მოსავალი არ მოვიდა და კრედიტები გადაუხდელი დარჩათ. ბუნებრივია, ბანკი თავის ფულს ითხოვს, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი კარგავენ სახლ-კარს, ქონებას, ყველაფერს, რაც გააჩნიათ? ჩვენ ვითხოვთ, სახელმწიფომ მათთვის მიყენებული ზარალის კომპენსაცია დაიწყოს. მათ უნდა მიეცეთ საშუალება, პროცენტი მაინც დაფარონ და საცხოვრებელი სახლები არ დაკარგონ. როცა პრეზიდენტმა განაცხადა, ამ ზარალის კომპენსირებაა საჭიროო, პრაქტიკულად პირობა მისცა ამ ადამიანებს, მაგრამ ეს ჰაერში გამოკიდებული დარჩა და ახლა, როცა ხალხს სახლებს უყიდიან, ხელისუფლება მათ პრობლემებს ყურადღებას არ აქცევს“.**

თამაზ კუნჭულია (ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): **„როგორც ვიცი, პარლამენტის სხდომაზე მიაღწიეს შეთანხმებას, რომ ჰიბრიდული სიმინდის პროგრამით დაზარალებულ გლეხებს თანხას ჩამოაწერდნენ. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა გადაიხადოს ის თანხა, რომელიც მათ ვალად დაედოთ. საქმე ის არის, რომ შემოტანილი სიმინდი არ იყო შემოწმებული საქართველოში. ყოველგვარ თესლს შესაფერისი გეოგრაფიული ზონა აქვს. ჩანს, ჰიბრიდული სიმინდი დასავლეთ საქართველოს კლიმატზე არ იყო მორგებული, ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოში შედარებით უკეთესი შედეგი მოგვცა. ყველამ იცის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები აძალებდნენ გლეხებს, აედოთ სათესლე სიმინდი, აიმედებდნენ, რომ საკმაოდ მაღალი შემოსავალი ექნებოდათ... სამწუხაროდ, ისიც კი არ გაითვალისწინეს, რომ როცა გლეხი ტრადიციული ჯიშების გვერდით ჰიბრიდულ სიმინდს თესავს, ორმაგად რისკავს. ჯერ ერთი, არ ვიცით, როგორ მოსავალს მიიღებს და მეორე, სიმინდი საერთოდ ჯვარედინად იმტვერება, ჰიბრიდული მტვრით დამტვერილი ადგილობრივი ჯიშები კი თავის ღირსებებს კარგავს და გადაჯიშებას იწყებს... შექმნილ სიტუაციაში გამოსავალი ერთადერთია, თანხა უნდა დაფაროს სახელმწიფომ, რომელმაც თავს მოახვია მოსახლეობას ეს აბსურდული და წარუმატებელი პროგრამა“.**

ხ. ჩიგოგიძე

ვოეგიის კუთხე

დიხა

ჯიმალეფი! ბედნერება
ხოლაშარე მონჭაფილი.
დიბრთინუათ ჩქი სამოთხე,
ანთასფერით მოქარგილი.
ქიანას დიხა მუთ ქორენი
უჭვარუდო, ეჭვარილი,
დიხა ირკოჩიში რდასი
ღორონთიში გოჭყაფილი

დიხა ორე ჯიმალეფი,
კეთილ ღორონთიში ძუძუ.
არძაქ თინა ბწუათინი,
ათე სამართალი უძუ.
თე ქიანას მით ქორენი,
დიხას მორდილეფო ყუნცუ.
დიხა დიხაშ მუშაშირე,
მარა ვებჩინენთი დუცუ.

დიხა თიში ოკო რდასი,
მით თის ამუშენცი.
მითი მთელი კოჩანას
კეთილ ქობალც უწენენცი.
დიხა თიში ოკო რდას,
მით თის უფით ბონუნცუნი.
მით თის ხონუნც, ხაჩქნც დო
ბარით თის თხორუნცუნი.

დიხა! დიხა! ჯიმა, დიხა
ირკოც ართო მიღუდანი!
ერთობა დო ჯიმალოფა
დო სიმართლე ჩქი ბუღუნდანი.
დიხა ირკოჩქ იმუბშუათ,
მუშობათ მიჩქდანი.
ნამუშერიში მეჯინათ
გური რძელი მიღუდანი.

თე ქიანა დიდ ღორონთქ
საბედნეროთ ქომუჩეს.
მარა ნგერემქ გერჩქინდეს,
ლუკა გაწომყოთეს ხეს.
ირო დუცუ მუნობხენა,
უჩათ მოძირანა ცეს.
ჯიმალეფი! გებდირთათ!
ნგერემც გეუყოთანთ ფერც.

დავით აკობია

მესამე მსოფლიო ომის დაწყება თუ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სრული ანექსია?

ამ წერილის ავტორი, ბატონი ანრიდ (ბუჭა) სანაია ცნობილი დისიდენტია, რომელმა 1959 წელს ზუგდიდში ჩამოაყალიბა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაცია, რის გამოც პატიმრობას იხდიდა საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკში 1961-დან 1966 წლამდე. შემდეგ იყო დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული გვარდიის მე-16 ბატლიონის მეთაური.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მაღალი ეშელონებიდან პრესის საშუალებით გაისმის ხმა, რომ ირანი ამზადებს ბირთვულ იარაღს და მოითხოვენ ირანმა შეწყვიტოს ბირთვული იარაღის წარმოება.

ამერიკის სახელმწიფო მდივანი კლინტონი, რომელიც გახლავთ ამერიკისა და ევროკავშირის ქვეყნების რუპორი, ირანისაგან მოითხოვს, რომ საერთაშორისო ექსპერტებმა დაათვალიერონ ამ ქვეყნის ყველა ლაბორატორია და ის ქარხნები, სადაც სავარაუდოდ იწარმოება ბირთვული იარაღი. ამ ქალბატონმა განაცხადა, რომ **“სხვა სანქციებთან ერთად, ირანზე საომარი ქმედებების დასაწყებად მზადყოფნაშია მოყვანილი ისრაელის, ამერიკის შეერთებული შტატების, ნატო-ს, ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიებზე განლაგებული კომუნიკაციები”.**

ირანის ხელისუფლება კატეგორიულად უარს აცხადებს ქვეყანაში ექსპერტ-დამკვირვებელთა შეშვებაზე და განმარტავს, რომ **“ირანი არ აწარმოებს ბირთვულ იარაღს, ის მიზნად ისახავს ბირთვული ენერგიის სამშვიდობო მიზნებით გამოყენებას”.**

ამის პასუხად კი კლინტონი მიანიშნებს, რომ ირანის წინააღმდეგ კონკრეტული სამხედრო მოქმედებები დაიწყება ამა წლის ივნის-ივლისში. ამის პასუხად რუსეთის ხელმძღვანელობამ ცალსახად განაცხადა, რომ ის არ დაუშვებს ირანზე სამხედრო ზეწოლას. რუსეთი, რომელიც ხელს უწყობს ირანს ბირთვული ენერგიის სამშვიდობო მიზნებით გამოყენების საქმეში, არ დაუშვებს ირანის სახით მოკავშირე მუსულმანური ქვეყნის დაკარგვას და შექმნის ბუფერულ ზონას, რათა იგი არ დაიკავონ მასონ გლობალისტთა სამხედრო ძალებმა. ეს საქართველოსაც ეხება, რომელიც დღეს სწორედ მასონთა კარნახით მოქმედებს. ფაქტია, რომ საქართველოს ტერიტორია ამერიკისა და **ნატო**-ს სამხედრო ძალების მიერ გამოყენებული იქნება ირანზე თავდასხმის პლაცდარმად, რადგან, სააკაშვილის ხელისუფლებამ მათ სათანადო ინფრასტრუქტურები გაუმზადა და ის საბიუჯეტო თანხა, რაც უნდა მოხმარებოდა ქვეყნის გაჭირვებული მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალური განვითარების პროგრამებს, ფაქტიურად მოხმარდა სამხედრო ჰოსპიტალების და ბეტონის ასაფრენი ბილიკებით აღჭურვილი აეროპორტების მშენებლობას. გამონთავისუფლებულია თბილისის რკინიგზის ვაგზლის შენობაც, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ათიათასობით სამხედროს დაიტევს. სწორედ ეს გარემოება აიძულებს რუსეთს, რომ აქტიური სამხედრო ოპერაციები ჩაატაროს სამხრეთ კავკასიაში, თუნდაც სომხეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რაც ასევე გამორიცხავს საქართველოში **ნატო**-ს და **აშშ**-ს სამხედრო ძალების ბაზირებას. არა მგონია, რომ ამ სამხედრო კომპანიამ მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს და ნგრევები და რყევები არ მოუტანოს სრულიად საქართველოს, რაც აშკარად დამღუპველი იქნება ჩვენთვის და აზერბაიჯანისთვისაც, რომელიც ასევე აღმოჩნდება გლობალური სამხედრო მოქმედებების ცენტრში. სწორედ ეს უნდა გაითვალისწინონ სამხრეთ კავკასიაში მცხოვრებმა ხალხებმა, ვიდრე თავიანთ ადგილს განსაზღვრავენ აღნიშნულ კონფლიქტში. რადგან გამორიცხული არ არის, რომ ირანის საწინააღმდეგო სამხედრო კამპანია პერმანენტულად გადაიზარდოს მესამე მსოფლიო ომში.

რაც შეეხება საქართველოს, თუ მან დროზე არ ჩამოაშორა საქართველოს ხელისუფლებას მასონებთან კუდი კუდზე გადასკვნილი სააკაშვილი, გამორიცხული არ არის, რომ ირანისა და მისი მხარდამჭერების რისხვა მთელი სიმძიმით დაგვატყდეს თავზე. დღეს მთელი მსოფლიო დარწმუნდა, რომ უკვე აღარ არსებობს ერთპოლუსიანი სამყარო და რომ რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების გაუთვალისწინებლობამ შეიძლება უმძიმესი განსაცდელი შეუქმნას ცივილიზებულ სამყაროს.

ანრიდ სანაია,
ზუგდიდი

ღია წერილი ქალბატონ ლია ტოკლიკიშვილს

ქალბატონო ლია!

რამოდენიმეჯერ წავიკითხე ინტერნეტგაზეთ **“7 დღე”**-ში გამოქვეყნებული თქვენი ბოღმით გადავსილი წერილი, სათაურით: **“გალში მეგრელიზაციის პროცესი მიმდინარეობს”,** რომლის შეფარული აზრი ნათელია ბრიყვისთვისაც კი. ვიდრე აღნიშნულ წერილს გამოაქვეყნებდით, დიდი დაფიქრება გმართებდათ იმაზე, რომ გალის რაიონში და აფხაზეთის სხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართულეროვან მოსახლეობას პასპორტში თუ უწერია ეროვნება **“მეგრელი”,** ეს ძალდატანებითი პროცესია, რომელსაც გარე ძალები აწარემოებენ და ჯერ ჩვენ მათთან გამკლავების საშუალება არ გაგვაჩნია. თუ თქვენ აფხაზური ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებაში ხედავთ **“სეპარატიზმს”**, მაშინ სათანადოდ უნდა შეაფასოთ კიდეც იგი. მაგრამ, თქვენც იმ სხვებივით ზედაპირულად და ქარაფშუტულადაც კი მიუდექით ამ უსერიოზულეს პრობლემას, რომელთათვისაც სამეგრელოს **“სეპარატიზმის ბუდედ”** ხსენება სრულიადაც არ გახლავთ ძნელი და მოსარიდებელი. თქვენს ლოგიკას თუ ავყვებით, გამოდის, რომ, როგორც მეგრელები, **“სეპარატისტები”** ყოფილან ცოტნე დადიანი და გიორგი ჭყონდიდელი, **“სეპარატისტები”** ყოფილან სამეგრელოს მთავარი – დადიანები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე იბრძოდნენ ქართლ-კახეთის გვირგვინოსანთა მხარდამხარ საქართველოს ერთიანობისათვის და მაშინაც კი, როცა საქართველო ხუთ სამეფოდ იყო დაშლილი, არ გამოუთქვამთ პრეტენზია სამეგრელოს ცალკე სამეფოდ გამოცხადების თაობაზე, თუმცა სამეგრელო, სხვა ქართულ სამეფოებს, ტერიტორიითაც ბევრად ჭარბობდა და მოსახლეობის რაოდენობითაც. ის მაინც თუ იცით, რომ საქართველოს განუყოფელი კუთხის – სამეგრელოს და მისი კილო-კავის აუგად მოხსენიება ჩვენი მტრის წისქვილზე ასხამს წყალს? (თუნდაც სომხებისას, რომელთა ინტერესებს უკვე დაუფარავად წარმოადგენს საქართველოში სომეხი ეროვნების მიხეილ სააკაშვილი – გაზ. **“ილორი”**). განა მათი სპეცსამსახურების ოცნება არ გახლავთ საქართველოს კუთხეებს შორის განხეთქილების პროვოცირება?

და თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მეგრულენოვანი სწავლება, ეს მისასალმებელია და უნდა გვიხაროდეს, რადგან ჯერ კიდევ არსებობს ჩვენსკენ ზურგით მდგარი აფხაზების შემობრუნების შანსი. მეგრული ენა მთლიანობაში ხომ ქართული ენაა, და ნუთუ თქვენთვის უმჯობესია, რომ აფხაზეთში სწავლა მიმდინარეობდეს მხოლოდ რუსულ, აფხაზურ და სომხურ ენებზე? ნუთუ არ ფიქრობთ, რომ აფხაზები როდესმე დაუბრუნდებიან დედა-სამშობლოს, და მაშინ რომელ ენაზე უნდა ვესაუბროთ ჩვენ მათ? თუ თქვენი სურვილია, აფხაზეთის სახით შეგვექმნას პრობლემა, რომელიც აშკარად წარმოჩინდება თურქ-მესხებთან მიმართებაში? საქართველოს მრავალი კუთხე საუბრობს თავის კილო-კავზე, მაგრამ მთლიანობაში ეს ქართულია!

თქვენი წერილიდან კი ჟონავს მავნებლური, საკმაოდ ცუდად შენიღბული აზრი, რომ საქართველოს კუთხეებში უნდა აიკრძალოს მათ კილო-კავებზე საუბარი. თუ გაქვთ გათვითცნობიერებული, რომ სწორედ ესაა **“სეპარატიზმი”**. არ ვიცი, თქვენ რამდენად შეგტკივათ გული საქართველოს მთლიანობაზე, რამეთუ თქვენი გამონათქვამები ამ ტკივილს არ ახმოვანებენ. პირიქით, რაღაც უცხო და მიუღებელი მოწოდებებია, რაც ძალიან ჰგავს კუთხეთა შორის ქი'შპის ჩამოგდების სურვილს. მეგრელებისთვის, სვანებისთვის სამშობლო ერთია და მას ჰქვია საქართველო.

კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, თუ როგორ ერთგულად მსახურებდნენ მეგრელი მთავრები დედა-საქართველოს. 1386 წელს, საქართველოს მეფე ბაგრატს, მომხვდური მტრის თემურ-ლენგის წინააღმდეგ ლაშქრობის სამზადისისას განუდგა ათაბაგი ბექა (რომელიც მეგრელი არ ყოფილა), მაგრამ ვამეხ დადიანი მტკიცედ დაუდგა გვერდით ბაგრატს. არც დადიანების შემდგომ თაობებს გაუვლიათ გულში საქართველოს მეფეებისაგან განდგომა.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში, ოდიშის საერისთაოს წარმომადგენელი დადიანები და ჭყონდიდის კათედრის მესვეურნი შედიოდნენ გაერთიანებული საქართველოს სავაზიროში და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფოს საქმეების გარიგებაში.

ასე რომ, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა სამეგრელო ურყევ ბურჯად ედგა საქართველოს ერთიანობასა და ძლიერებას და ასეთი კუთხის შავ ფერებში წარმოჩენა მხოლოდ საქართველოს დაუძინებელ მტერს თუ ძალუძს.

ქალბატონო ლია, როცა ამ ფაქიზ თემაზე წერთ, ჯერ საფუძვლიანად უნდა შეისწავლოთ სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, რაც უცილობლად მოგცემთ მოვლენათა სწორად შეფასებისა და განსჯის საშუალებას.

პატივისცემით,

როზმირ გოგენია,
ზუგდიდი

ჩვენი აზრით, „დავით-გარეჯის“ გარშემო შექმნილი პრობლემა, საქართველოს გამყიდველი მთავრობის პროვოცირებულია!

1970-1991 წლებში, ადრე გაზაფხულზე და შემოდგომის შაბათ-კვირას, **„ვორონცოვზე“** თუ ყვითელი **„პაზიკი“** (მაშინდელი, მოკლე, სახაზო ავტობუსი) გამოჩნდებოდა, ყველა გამვლელ-გამომვლელმა იცოდა, რომ მას **„დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსისკენ“** ჰქონდა გეზი აღებული!

იმდენად დიდი იყო ამ ობიექტზე მოთხოვნა, პლეხანოვის 5 ნომერში განთავსებული ტურისტული კლუბი და ექსკურსიამძღოლები ვერ ავუდიოდით მსურველთა მომსახურებას.

ეს იყო წარსულში!

სამწუხაროდ, ჩვენი პირადი და სამშობლოს ბედუკუღმართობის გამო, დიდი ხანია შორიდან ვუყურებთ საქართველოში მიმდინარე, უამრავ ანტიქართულ მოვლენებს. ამ ბოლო დროს, მათ რიცხვს, რელიგიური თემით სპეკულირებაც დაემატა, რაც გარეშე მტრის მოგონილი არ უნდა იყოს, რადგან ჩვენი გამოცდილებიდან ვიცით, იგი უცხოურ **„საინვესტიციო პაკეტში“** არ შედის. იქ, უფრო სულიერი და ფიზიკური გარყვნილებაა წინა პლანზე (გაიხსენეთ ტრანსსექსუალ **„კესარიას“** ვოიაჟები უცხოეთში და მის სულიერ და ხორციელ გარყვნილებაზე გადაღებული ძვირადღირებული ფილმები!), რაც ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დიდი წარმატებით ხორციელდება კიდეც. ქართველთა სასახელოდ უნდა ითქვას, ამ მხრივ, ჯერჯერობით, რამდენიმე ათეული გამოპიდარასტებული კაცის და გალესბოსელებული ქალის იმედად, პროექტი ჩავარდნილად ითვლება.

ამას უნდა მივაწეროთ რელიგიური თემებით სპეკულირების გააქტიურება, რომელსაც – **ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს დღევანდელი მთავრობა და მისი პირველი კაცი უწყობენ ხელს.**

სწორედ ამის გამოვლინებაა **„დავით გარეჯის სამონასტრო კომლექსის“** გარშემო ატეხილი ხმაური, რომელსაც საზღვრისპირა ქართული მიწის ეჭვქვეშ დაყენება და მისი არაქართულ ტერიტორიად გამოცხადება უნდა მოჰყვეს. როცა ყოველივე ამას, ზოგიერთი უწიგნური (ადვილი შესაძლებელია ფულით მოსყიდული!), ქართველი ისტორიკოსის და მადალჩინოსნის არადამაჯერებელი საუბარიც ემატება – იქმნება კურიოზული სიტუაცია – **ქართველ მართლმადიდებლებს, მაჰმადიანი აზერბაიჯანელები არა მხოლოდ ქართულ მიწას, ქრისტიანულ სალოცავსაც გვედავებიან და გვართმევენ, რადგან, ჩვენ, არამცთუ ვიცავთ ჩვენს ისტორიულ სიმართლეს, კომპეტენტური პასუხისგამცემიც კი არა გვყავს თურმე!**

დავიწყოთ იმით რომ ის ხალხი ვინც ტელევიზიით, რადიოთი და სხვა მედიასაშუალებებით საუბრობს ამ თემაზე, ამ გაზაფხულამდე რომ არასოდეს ყოფილა **„დავით-გარეჯში“ – ეს** ჩვენთვის დღესავით ნათელია. ყველა მათგანს აშკარად ეტყობა, სხვის მონათხრობს ყვება სამონასტრო კომპლექსის შემადგენელი გალავან-ნაგებობების, კლდეში ნაკვეთი დარბაზების, სალოცავების და, რაც მთავარია **„დავით-გარეჯის“** უნიკალური კედლის მხატვრობის შესახებ, რომელიც ძირითადად **„უდაბნოშია“** შემორჩენილი.

სამწუხაროდ, არავის წამოცდენია, რომ სწორედ **„უდაბნომ“** შემოგვინახა, **ვარძიის** და **ბეთანიის** შემდეგ, **„მეფეთ მეფე თამარისა და ლაშა გიორგის“** უნიკალური ფრესკა!

ეჭვი გვიხრავს გულს, რომ ეს უკანასკნელი იმიტომ კი არ უხსენებიათ (იქნებ, ჩვენ გამოგვრჩა და ახსენეს კიდეც, მაშინ ბოდიშს ვიხდით!) ქართულ სამთავრობო მედიასაშუალებებში, რომ მათ ამის შესახებ არ იცოდნენ, არამედ, იმიტომ, რომ დავალებული არ ჰქონდათ **„ზემოდან“** ამის შესახებ სიტყვა ეთქვათ. **„დავით-გარეჯის“** გარშემო პროვოკაციის ამტეხ ქართველ ჩინოსნებს სხვა მიზანი ამოძრავებთ და უნიკალური ქართული ფრესკების ხსენება არაფერში აწყობთ, რადგან, იგი წყალგაუვალი საბუთია **„დავით-გარეჯის“** ქართულობისა რელიგიურად და ტერიტორიულად და მას არაფერი აქვს საერთო, ჩვენი ღრმა რწმენით – **„ყურით მოთრეულ“, „ალბანურ“** წარმოშობასთან!

დღემდე არავის უხსენებია, გასული საუკუნის შუა წლებში, დიდი ქართველი მამულიშვილის ნიკო კეცხოველის **„დავით-გარეჯზე“** ნათქვამი – **თუ რომელიმე ერს არ აქვს ისტორია, აჩუქეთ „დავით-გარეჯი“ და დიდებული წარსული ექნებაო!**

არავის უხსენებია იგი, რადგან არც მაშინ და არც შემდგომ, სანამ საქართველოს მთავრობა თვითონვე დაიწყებდა ამ თემის პროვოცირებას, არავის მოსვლია თავში **„დავით-გარეჯის“** არც არაქართულობა და არც მისი უცხო მიწაზე არსებობა!

დავიწყოთ იმით, რომ, სამონასტრო კომპლექსი 16 მცირე და დიდი ნაგებობებისგან შედგება, რომელთაგან ტურისტულ-საექსკურსიო მარშრუტში – **ნათლისმცემელი, ჩიჩხიტურა, დოდოს რქა, დავითის ლავრა და უდაბნო** შედიოდა. ოცი წლის მანძილზე, თითოეულ ჩვენგანს სულ მცირე – ორასი ჯგუფი მაინც გვეყოლება აყვანილი ზემოთხსენებული ქართული ეროვნული სიამაყის **„დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის“** სანახავად (რომლის დათვალიერებას ერთ დღეში ვერ ვასწრებდით). არასოდეს გვქონია შემთხვევა რომელიმე აზერბაიჯანელს, თუნდაც ერთი სიტყვა დასცდენოდეს **„უდაბნოს“** (სხვა ადგილები სახსენებელი არ არის!) აზერბაიჯანულობაზე, ან მის არაქართულ ტერიტორიაზე არსებობაზე!

ეს მაშინ, როდესაც კახის და ნუხის ხსენებაზე აზერბაიჯანელიც სომეხივით ყალყზე დგებოდა, რადგან ორივეს კუდი ეწვოდა – **ვაი თუ, ბოლშევიკების მიერ ნაჩუქარი ქართული მიწები უკან მოითხოვონ ქართველებმაო!**

ხშირად შევსწრებივართ, უამინდობისას, კლდეში ნაკვეთ დარბაზებში დანთებული ცეცხლის გარშემო, ცხვართან ერთად წამოწოლილ თათარ მეცხვარეებს და ისინი ფარასთან ერთად გაგვირეკია მონასტრის შემოგარენიდან, რაც უტყუარი და ნათელი საბუთია იმისა, რომ ქრისტიანული სამონასტრო კომპლექსი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს **„თათრისთვის,“** თორემ – **ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ავდრისას, მიტოვებულ მეჩეთში დანთებულ ცეცხლთან, ცხვართან ერთად წამოწოლილი აზერბაიჯანელი მეცხვარე!..**

ისტორიულად ქართული, ერთ ღამეში შაჰ-აბასის ურდოებს, 6000 ხმალდახმალ მებრძოლი ბერშემკვდარი, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური **„დავით-გარეჯის“** აზერბაიჯანულად გამოცხადება, აზრად არასოდეს მოსვლია ვინმეს – **ვიდრე, შევარდნაძე-სააკაშვილის მანქურთთა ურდო დაეუფლებოდა საქართველოს!**

სწორედ ეს და კიდევ სხვა გარემოებები გვაძლევს უფლებას ვთქვათ – **დავით გარეჯის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, საქართველოს გამყიდველი მთავრობის მიერაა პროვოცირებული**, რომლის შესახებ, უფრო დაწვრილებით, ქვემოთ ვისაუბრებთ!

„დავით გარეჯის“ თემის პროვოცირების მცდელობა ადრეც იყო, მაგრამ მაშინ, ეტყობა მისი ესკალაცია ვერ მოხერხდა, რადგან გაზეთ **„ილორში“** გამოქვეყნებულ პასუხს, ქ-ნ მარიკა ლორთქიფანიძის გამონათქვამზე **„რა გახდა „დავით-გარეჯი“ მოილაპარაკონ აზერბაიჯანმა და საქართველომ და იგი ერთობლივად გამოიყენონ!“** გაგრძელება არ მოჰყოლია.

„ილორი“ კი წერდა:

„...ჩვენ არ ვიცით რას გულისხმობს პატივცემული ისტორიკოსი მოქმედი „დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის“ ერთობლივად გამოყენებაში!

ქართული მხარისთვის, ცხადია, მისი დანიშნულება – მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სულიერების გაძლიერება, რელიგიური აღზრდა...

როგორ უნდა გამოიყენონ იგი მაჰმადიანმა აზერბაიჯანელებმა?

თუ პატივცემული ისტორიკოსი გულისხმობს (იქნებ შეთანხმებულიც აქვს?), რომ აზერბაიჯანელებმაც იმავე დანიშნულებით უნდა გამოიყენონ იგი, მაშინ ისინი ჯერ უნდა მოინათლონ მართლმადიდებელ ქრისტიანებად, რასაც ნამდვილად მივესალმებით და ნათლიებადაც დავუდგებით მათ!

სხვა დანიშნულება, მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ მონასტერს არ გააჩნია!”

ფრიად საინტერესო და ყურადსაღებია, ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე **„ილორში“** (№48, 05.01.2010) გამოქვეყნებული, კოლხეთის ანტიკური ისტორიის მკვლევარის, ბ-ნ ა. შონიას წერილი სათაურით **„დავით გარეჯის კომპლექსზე“**, რომელსაც წაკითხვა და სამსჯავროზე გამოტანა სჭირდება!

ჩვენ, უცხოეთში მყოფი ქართველები, განსაკუთრებით მტკივნეულად განვიცდით არა მარტო ქართველი, ჩვენი მშობლიური ერის გასაჭირს, არამედ ყველა ერისას, ვისაც მსგავსი განსაცდელი ადგას დედამიწის ზურგზე, მაგრამ ნურავინ გაგვამტყუნებს თუ ვიტყვით – როცა იგი ქრისტიან ერს ეხება, მაშინ ეს ტკივილი ორმაგდება ხოლმე!

სწორედ ასეთმა განცდამ შეგვიპყრო, როცა ე.წ. **„ევროგაერთიანებაში“** მართლმადიდებელი საბერძნეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა.

არ იფიქროთ, საბერძნეთის **„ევროგაერთიანებაში“** დარჩენაზე გვიწუხდა გული, სინამდვილეში, საბერძნეთის, როგორც სახელმწიფოს ყოფნა არყოფნაზე იყო მაშინ საუბარი!

საბედნიეროდ, **„ევროგაერთიანების კონსტრუქტორები“** მალევე მიხვდნენ – საბერძნეთის გაწირვას, ყოველგვარი იდეის გარეშე შექმნილი, თანამედროვე **„ბაბილონის გოდოლის – ევროგაერთიანების“** დანგრევა შეიძლებოდა მოჰყოლოდა. შექმნილი მდგომარეობით იძულებულებმა, ბერძნებს **„ორასი მილიარდი ევრო“** შესთავაზეს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსასვლელად. კაცმა რომ თქვას დიდებული **„საჩუქარია“**! მაგრამ, იგი, არამც და არამც ბერძნებისადმი დიდი სიყვარულიდან გამომდინარე არ გახლდათ, არამედ **„სარფსა და მაცდურობაზე“** აგებული მორიგი ხრიკი იყო, დასავლეთ ევროპაში უკანასკნელი მართლმადიდებლურ-ქრისტიანული სახელმწიფოს დასაქცევად და ბერძნებს – **ორასი მილიარდი ევროს საგარანტიოდ, ხმელთაშუა ზღვაში მდებარე, რამდენიმე მნიშვნელოვანი კუნძულის ბანკში ჩადება მოსთხოვეს!**

სწორედ აქ იჩინა თავი ბერძენთა სიბრძნემ და საკუთარი ქვეყნის სიყვარულმა – **როგორც ერთი, ისე აღუდგა მთელი საბერძნეთი ქვეყნის გაყიდვის მცდელობას, ერთხმად განაცხადა უარი „ორასმილიარდიან საჩუქარზე“ და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ არიან ნადდი მართლმადიდებლები, რომლებიც არანაირ ფულზე არ ყიდიან სამშობლოს!**

ამ მცირე წერილში, ბერძენთა გმირობაზე საუბარი არ გახლავთ ჩვენი მთავარი მიზანი. ისედაც კარგად არის ცნობილი, თუ როგორ გაგრძელდა ეს საქმე, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ – ბერძენთა საქციელმა **ორასიმილიარდი ევროს სანაცვლოდ, ხმელთაშუა ზღვაში 2000-ზე მეტი კუნძულების პატრონებმა, ოთხი კუნძულიც რომ არ დათმეს**, არა მარტო **„ევროგაერთიანების კონსტრუქტორები”** არამედ ჩვენც, ამ წერილის ავტორებიც განგვაცვიფრა და **– 2008 წლის აგვისტოს ომი გაგვახსენა სამაჩაბლოში!**

ქვეყანა შევძარით მაშინ. უცხოეთში გასულებმა, თავი არ დავზოგეთ რომ ყველგან მიგვეწვდინა ხმა, სადაც კი იგი მიგვიწვდებოდა... სამწუხაროდ, ცოტა ხანს გაგრძელდა მაშინ ჩვენი მედგრობა – საქართველოს მთავრობამ, სამდღიანი ომის წაგების მეორე დღეს, სიამაყით გამოაცხადა – **აბა რა ეგონათ რუსებს, საქართველო ოთხასორმოცდაათ მილიონ დოლარს მიიღებს და სამაჩაბლოდან გადმორეკილ ქართულ მოსახლეობას უმოკლეს დროში ავუშენებთ სახლებსო!**

მართლაც ასე მოხდა – **საქართველომ შეპირებული ფული მიიღო, „სახლებიც“ სასწრაფოდ აშენდა, მაგრამ ამაყი და მართლმადიდებელი ბერძნებისგან განსხვავებით, ბოლო 20 წელიწადში მეოთხედ ტერიტორიაწართმეულმა – „ბევრი ფული ბაბაია, ბევრი ფულიო!“** ილუღლუღა და **გასხვისებულ მეოთხედს, სამაჩაბლოს 160 სოფელიც ზედ მიაყოლა ოთხასორმოცდაათ მილიონ დოლარად!**

ამიტომ და კიდევ სხვა ბევრი რამის გამო გვჯერა, რომ – **საქართველოს მთავრობის პროვოცირებულია „დავით-გარეჯის“ საკითხიც, რომ სხვა, უფრო დიდი დანაშაული გადაიფაროს!**

ერთი წუთით თავი დავანებოთ ყველაფერს და საქართველოს მთავრობისთვის, განსაკუთრებით კი მისი პრეზიდენტისთვის **„საძულველ“** რუსეთს გავიხსენებთ.

არ ვიცით როგორაა სხვა კონტინენტებზე, მაგრამ, ევროპაში (განსაკუთრებით კი გერმანიაში!) ყველა დიდი მეწარმის ოცნებაა – რუსეთის ბაზარში შედგას ფეხი და სხვას დაასწროს იქ შესვლა! ამისათვის ისინი ყველა გზას იყენებენ და ჩვენც ვსარგებლობდით მათი ამ მისწრაფებით, რადგან ჩვენმა თაობამ (როგორც ვიცით, სხვა მდგომარეობაა ამჟამად, ამ მხრივ, საქართველოში!) დედა-ენასავით თუ არა, კარგად იცის რუსული ენა და გერმანელები წარმატებით იყენებდნენ ჩვენს შესაძლებლობებს (რუსული ენის გარდა, ოდნავ ჭკუამოსაკითხ ქართველს უამრავი გავლენიანი ნაცნობი და მეგობარი ჰყავდა რუსეთში!) და ჩვენც, სამშობლოში ჩამოსვლააკრძალულებიც ვსარგებლობდით ამ სიკეთით, ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, საქართველოს გამყიდველი მთავრობა, შევარდნაძის მიერ **„წარმატებით“** დაწყებულ საქმეს კიდევ უფრო დიდი **„წარმატებით“** დააგვირგვინებდა – ჩვენ ამოგვიკვეთდა ფეხს რუსეთიდან, თვითონ კი **„რუსულ ჩექმას“** ჩაიცვამდა და 7 ნოემბერს თუ 26 მაისს იმავე ჩექმით გაგვსრესდა, ყველაზე მნიშვნელოვან, ქართულ სიმდიდრეებს კი **„საძულველ“** რუსეთს ჩააბარებდა!

კიდევ ამიტომაც მიგვაჩნია, რომ – **დავით-გარეჯის თემა საქართველოს მთავრობის პროვოცირებულია!**

ყველა ნორმალური მთავრობა და ქვეყნის პრეზიდენტი, საკუთარ შიდა ბაზარს ასევე საკუთარი ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობისთვის იყენებს.

რა ხდება ამ მხრივ საქართველოში?

–ქვეყანა, რომელიც ფაქტიურად არაფერს აწარმოებს და მხოლოდ მომხმარებელია, უალტერნატივოდ (ალბათ უვადოდაც!) გადასცემს მეზობელ სახელმწიფოს შიდა-ბაზრის ნახევარზე მეტს (როცა ინფორმაცია მოვითხოვეთ, გაცილებით დიდი ციფრი მოგვაწოდეს საქართველოდან!) და ამაზე დაუფარავად საუბრობენ საქართველოში – „სოკარი“ ორი ქვეყნის პრეზიდენტების ცოლების ბიზნესიაო!

თუ ეს ასეა, აფერუმ მათ დედაკაცობასო – იტყვი კაცი!

მაგრამ, იქვე ხვდები, ეს შექება აზერბაიჯანის პირველ ლედის ეკუთვნის მხოლოდ, რადგან ქართული შიდაბაზრის უპირობოდ დამთმობ საქართველოს, სანაცვლოდ, აზერბაიჯანისთვის კომუნისტური ავჟამიანობისას, ქართულმოსახლეობიანად გადაცემულ ძირძველ ჰერეთში, დაწყებითი კლასების, ქართული სასწავლო წიგნების შეტანაც კი ეკრძალება!

...წიგნებს ვინ დაეძებს – **ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ „სამონასტრო კომპლექსს“ გედავება და გართმევს მაჰმადიანი!**

მართლა ხომ არ გადავშენდით ქართველებო?!.

ხომ წარმოგიდგენიათ, რას გვიზამდნენ იგივე აზერბაიჯანელები, ჩვენ რომ გვქონდეს მათთვის ჰერეთისხელა ტერიტორია წართმეული?

არავინ შემოგვედავოს, არა აქვს მნიშვნელობა, მათ, ის, ვინმემ გადასცა თუ აჩუქა!

კიდევ, რატომ გვგონია რომ – **საქართველოს მთავრობის პროვოცირებულია „დავით-გარეჯის“ პრობლემა?**

გაიხსენეთ, როგორც კი დაიწყო სააკაშვილმა – **მონტეკარლოზე, კანზე, ნიცაზე... „უკეთესი ბათუმის“** მშენებლობა, მაშინვე ითქვა (თანხაც დასახელდა – **სამმილიარდნახევარი დოლარი!**), სააკაშვილი პრეზიდენტობის მეორე ვადის დამთავრებისთანავე მიჰყიდისო მას თურქებს!

ნუთუ არაფერს გეუბნებათ ჩემო ძვირფასო ქართველებო **„აზიზიეს მეჩეთის მშენებლობა“** ბათუმში?

ხომ არ არის **„აზიზიეს მეჩეთი“** ე.წ. **„პრეზენტი“** სარფიანად გაყიდული საქონლის მისაყოლებლად?

ჩვენ ბოლო ოცი წლის განმავლობაში, ევროპის შუაგულში, თურქებთან გვერდიგვერდ ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ **„აზიზიეს მეჩეთიც“** საქართველოს უჯიშო მთავრობის და მათი უცხოელი მრჩევლების შემოგდებულია – **თურქი ამას არ იკადრებდა!**

...საქართველოდან, მოსალოდნელი „**ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘ**“ მოდის, რაც ჩვენც იმედს გვისახავს, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ დამთავრებულა! მაგრამ შიშიც გვიპყრობს, რომ **დღევანდელი ხელისუფლება უამრავი საქმის გაფუჭებას მოასწრებს, ვიდრე ისინი გადაშენდებოდნენ!**

თუნდაც – **ვაშინგტონში გადაწყვეტენო საქართველოს და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრები „დავით-გარეჯის“ საკითხს, აღფრთოვანებული იუწყება სამთავრობო მასმედია!**

რა გიხარიათ თქვე ოჯახქორებო! ის, რომ, მთელ მსოფლიოს გააგებინეთ „დავით-გარეჯი“ ჩვენი არ არის, მაგრამ აზერბაიჯანელები ვაიძულეთ მართლმადიდებელი მღვდელ-მონაზვნები და ქართველი მომლოცველები დაუბკოლებლად ივლის ქართულ მართლმადიდებლურ მონასტერშიო?!.

ეს ხომ ისედაც გვქონდა და არავისი შეკითხი არ იყო, ვინ და როდის ესტუმრებოდა ნათლისმცემელს, დოდოს რქას, ჩიჩხიტურას, დავითის ლავრას და უდაბნოს?!.

(გაგრძელება მე-8 გვერდზე)



ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

სამუშაო ადგილები მოიძებნებოდა მოლოტოვისათვის, ვოროშილოვისათვის, მიქოიანისათვის... თვით ბულგანინისთვისაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ საბუროვსა და პერვუხინზე.

მაგრამ, ხრუშჩოვისათვის?

ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო იგი? კოლმეურნეობის თავმჯდომარე? არა! ლავრენტი ბერიას ახალ, ჰიპოტეტურ სამშობლოში კოლმეურნეობათა თავმჯდომარეობის კანდიდატებს დასანიშნად არ მოიყვანდნენ რაიკომებიდან და მათ გამოძებნიდნენ სოფლებში – განათლებულ და საქმის უბადლო მცოდნე აგრონომებს ან მეცხოველეებს შორის. და ასეთ უკიდეგანო ქვეყანაში ალბათ არ მოიძებნებოდა კოლმეურნეობა, რომელიც საკუთარი ნებით აიყვანდა თავმჯდომარედ უსაქმურ და უმეცარ **"ნიკიტას"**. მას ხომ, ბერიასაგან განსხვავებით, არაფერის გაკეთება არ შეეძლო! მან არაფერი არ იცოდა!

ამბობენ, რომ მთლად ცარიელი თავი არ ჰქონდაო? რუსეთში ეს არ გახლავთ იშვიათობა. მით უმეტეს – საბჭოთა რუსეთში, საბჭოთა კავშირში. ჩვენ 50-იან წლებში გვყავდა არც მთლად თავცარიელი, არამედ საკმაოდ ჭკვიანი ხალხიც. ასე რომ, ლავრენტი ბერიას თარგის საბჭოთა კავშირში ხრუშჩოვისთვის ადგილი ნამდვილად არ მოიძებნებოდა.

ამიტომ, ხრუშჩოვმა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ჯერ თავიდან მოეშორებინა სტალინი და ბერია, შემდეგ კი მოეხდინა მათი პოლიტიკური დისკრედიტაცია. ბერიას დისკრედიტაცია იმდენად მძლავრად იყო ორგანიზებული, რომ 1953 წლის აგვისტოში საბჭოთა დაზვერვის ყველა ფასეულმა აგენტმა მიიღო დავალება, რომ დაედგინათ ბერიას თითქოსდა საიდუმლო კავშირების არსებობა უინსტონ ჩერჩილთან და ინგლისის სპეცსამსახურებთან.

მოსკოვის ასეთი დავალება ცენტრს მეტად სულელურად წარმოაჩენდა, აგენტურას კი არ აძლევდა მაღალნაყოფიერი მუშაობის საშუალებას, მაგრამ, ხრუშჩოველები სწორედ ასეთ სისულელებზე აკეთებდნენ აქცენტს. ხრუშჩოვმა, რა თქმა უნდა, კარგად იცოდა, რომ არავითარი კავშირები უცხოეთის დაზვერვასთან ბერიას არ გააჩნდა, მაგრამ მაინც ააქტიურებდა მუშაობას ამ მიმართულებით. რატომ? იმიტომ, რომ დაემტკიცებინა, თუ არა ფართო მასებისათვის, სპეცსამსახურების თანამშრომელთა ვიწრო წრისათვის მაინც, რომ ბერია მთლად წმინდა სულის ადამიანი არ იყო – ამოცანას ხომ თავად ნიკიტა სერგის ძე სვამდა. ამ აქციით, ხრუშჩოვი, ამავდროულად, აზღვევდა საკუთარ რენომეს, როგორც დიდი ხელმძღვანელისას – თითქოს ბერია არა პირადი სიძულვილის გამო მოიშორა თავიდან, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკურად იგი ფრიად არასანდო პიროვნება გახლდათ.

არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მკითხველს, ჩემს მიმართ, ასეთი შეკითხვა დაებადოს: **"იყო კი, ხრუშჩოვი, გორბაჩოვისა და ელცინის მსგავსად, რენეგატი და პოლიტიკურად გადაგვარებული პიროვნება?"** – ჩემი პასუხი ამგვარი იქნება: **"არა მგონია..."**

1956 წელს, როცა ჯერ კიდევ მათ **"არმიტმასნილმა"**, გაეროს უშიშროების საბჭოში საგარეო საქმეთა მინისტრად მივლენილმა შეპილოვმა წარმატებით დაასრულა, ეგვიპტის სასარგებლოდ, სუეცის არხთან დაკავშირებული მოლაპარაკებები, ხრუშჩოვმა ნიუ-იორკში შიფროგრამა გაგზავნა: **"იქიდან წამოსვლამდე მაგრად მისცხე მუშტი ცხვირში მაგ იმპერიალისტებს!"** ეს არ იყო განკუთვნილი საბჭოთა პრესისათვის – ეს იყო **"ბურჟუებისადმი"** სასტიკი სიძულვილის გამოვლინება. თუმცა, ყველაფერი ეს ნიკიტა ხრუშჩოვის სიბრიყვის მაჩვენებელიც იყო.

სხვათა შორის, ხრუშჩოვსაც კი ეყო ჭკუა, რომ ცეკას ერთ-ერთი პლენუმი შემდეგი სიტყვებით დაემთავრებინა: **"რა წაიღეთ ყური ამ სტალინის ლანძღვით! ჩვენ ხომ ყველანი ერთად მის განავლადაც არ ვღირვართ..."** როგორც ხედავთ, ხრუშჩოვი ზოგჯერ თავს ვერ უჭერდა სიმართლის თქმის სურვილს და თავად მიუჩენდა ხოლმე ისტორიაში ადგილს საკუთარ თავს – ახლანდელ თანამდებობას დახარბებულ ვიგინდარებს არ ჰგავდა, რომლებიც მართლაც არ ადევთ ხრუშჩოვის განავლის ფასი...

მაგრამ, ხრუშჩოვს ამაზე მეტი აღარ შეეძლო!

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რეიგანის თანაშემწემ ელიზაბეტ დოულმა, ერთხელ, ხუმრობით თუ სერიოზულად, ასეთი რამ განაცხადა: **"პრეზიდენტს თავის გარემოცვაში არაფრად არ სჭირდება ქალები თუ კაცები, რომლებიც მას გასამხნევებლად შეუძახებენ ხოლმე. თუ პრეზიდენტი ამბობს – "არა!", ჩვენ ყველანი ვამბობთ – "არა!"**

მადამ დოულმა – არ ვიცი, რამდენად ესმოდა თავად – გააუჯერა ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემას მიტმასნილი მედროვეების სულიერი კრედო. ამგვარად, თუ ხრუშჩოვი და მისი გარემოცვა სტალინს არ შეუძახებდნენ ხოლმე მაშინ, როცა იგი ამბობდა – **"არა!"** – მაშინ ბერია და მისი მსგავსები (მხოლოდ იგი ხომ არ იყო კომპეტენტური ადამიანი სტალინის გარემოცვაში), სტალინის **"ჰო"**-ზე და **"არა"**-ზე საკუთარ აზრს გამოთქვამდნენ, იმიტომ, რომ კომპეტენტურად შეეძლოთ საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბება. იერარქიის სათავეში მდგომი სტალინი კი ორგანულად ვერ იტანდა სწორედ არაკომპეტენტურებს. კომპეტენტურებს კი პატივს სცემდა და აწინაურებდა. სწორედ ამიტომ დააწინაურა მან ბერია.

ჯერ კიდევ 1924 წელს, როცა ის-ის იყო იწყებოდა სერიოზული პირისპირდგომა კომპეტენტურ სტალინსა და არაკომპეტენტურ ტროცკის შორის. სტალინმა თავის ნაშრომში **"ლენინიზმის საფუძვლები"** ლენინური მუშაობის სტილი განსაზღვრა რუსული შესაძლებლობებით და ამერიკული საქმიანობით. ბერია ზუსტად ჯდებოდა ან განსაზღვრების ფორმულაში. ამ სტილში არსებობა მისთვის დიდი სიამოვნებაც იყო და ჯილდოც. მუშაობა რომ შეუძლია, იმ ადამიანისათვის სამუშაო პროცესი ხომ დიდი სიამოვნების მომტანია, თუ, რა თქმა უნდა, ადექვატურად ფასდება მისი ეს საქმიანობა! და **"ბრმად მოქმედება"** აქ არაფერ შუაშია. ბერია ბრმად მოქმედი მუშა არ გახლდათ, იგი ცხოვრების არსს თავაუღებელ შრომაში ხედავდა და ამიტომაც უდგებოდა საქმეს შემოქმედებითად.

ადრე მე მოვახდინე ბერიას მიერ ბუნკერიდან მალენკოვის სახელზე გაგზავნილი წერილი ციტირება და მკითხველი გავაფრთხილე, რომ გამოვტოვე ნაწყვეტი ამ წერილიდან, რომელსაც მოგვიანებით მოგაწვდით-მეთქი. ახლა კი დრო მოვიდა, რომ ეს ნაწყვეტიც გაგაცნოთ:

"ამხანაგები პერვუხინი და საბუროვი ამბობდნენ, რომ თითქოს მე სტალინის პერიოდში დიდი პრივილეგიები გამაჩნდა. ეს ხომ სიმართლეს არ შეესაბამება, და ეს შენც და პრეზიდიუმის წევრებმაც კარგად იცით. სინამდვილეში, როცა მე ვმუშაობდი კავკასიაში, შემდეგ კი – საქართველოში, სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და ამხანაგი სტალინი მტკიცედ მიჭერდნენ მხარს და მეხმარებოდნენ. საქმეები კარგად მიდიოდა, რაც მე აღმაფრთოვანებდა..."

აღმაფრთოვანებდაო, ძვირფასო მკითხველო!

რაოდენ ზუსტი შეფასებაა საქმიანი და სიტყვის პატრონი ადამიანისათვის! ეს ფაქტიც კი კმარა იმის დასტურად, რომ ეს წერილი ორიგინალია და ბერიას მიერაა შექმნილი ბუნკერში! როგორ შეიძლება, რომ ხელოსანმა-ფალსიფიკატორმა იცოდეს, რომ შეიძლება აღფრთოვანებული იყოს ადამიანი, რომელსაც საქმე თავზე საყრელად აქვს და გვერდზე გასახედად ვერ იცლის?

აქ არაა საუბარი იმ ადამიანზე, რომელიც ქანცის გაცლამდე დარბის აუქციონებზე და ყიდულობს რუბენსისა და რენუარის ნაწარმოებებს... და არც იმ ადამიანზე, პირადი იახტით რომ დასეირნობს ოკეანეებში და **"მეკობრეობანას"** თამაშობს ლამაზმანების თანხლებით...

არც მაშინ, როცა მონტე-კარლოს კაზინოში დამენატეხი ელოდები **"ვა-ბანკს"**, ან ელიტურ კლუბში ძუნძულით ახალისებ ობმოდებულ სხეულს. აღფრთოვანებული მხოლოდ ის ადამიანი დარჩება, რომელსაც დღე-ღამის ნებისმიერ დროს სტალინი გამოიძახებს კრემლის კაბინეტში და ეტყვის: **"ლავრენტი! როგორი აზრის იქნები, ჩვენ რომ დაგავალოთ..."**

შენ კი, გაიაზრებ რა ახალი ურთულესი და დიდი დავალების მასშტაბებს, სიხარულისაგან სუნთქვაშეკრული უპასუხებ: **"დავალება მიღებულია, ამხანაგო სტალინ! ყველაფერი დროულად გაკეთდება!"** შემდეგ, ღამის სიბნელეში, ბრუნდები შინ და ღამეს მალე დილა შეცვლის... და დილის ნათელი სათუთი სხივებით შემოსავს კრემლის უძველეს კედლებს.

ამას ვერასოდეს ვერ გაიგებენ კრემლის ახლანდელი მმართველები, ჩოგბურთის კორტებსა და სათხილამურო სლალომებს რომ არიან მოდებულები. სამშობლოს საქმისათვის უსაზღვრო სიყვარულსა და თავდადებას ხომ ვერავითარი ფულით ვერ იყიდი!

ეს უნდა დაიმახსოვრო!

მხოლოდ მუშაობით, თავაუღებელი შრომით.

და არა საკუთარ თავისათვის, ან **"ძია სემისათვის"** მუშაობით, არამედ შენი სამშობლოსათვის ზრუნვით, რომელიც სულდგმულობს ხალხის ძალისხმევით და რომელიც თავისუფალმა ხალხმა შექმნა.

თომას ედისონმა ერთხელ თქვა:

"ჩემი ერთადერთი მოწოდება – მუშაობაა... მე არ მჭირდება მდიდართა უკიდეგანო, სიხარბეში გადასული ოცნებები, მე არ მჭირდება არც დოღის ცხენები და არც იახტები, მე ამისათვის დრო არ მრჩება. მე მჭირდება მხოლოდ სახელოსნო".

ერთმა ჭკვიანმა სწავლულმა როგორღაც იხუმრა, როცა თანამედროვე მეცნიერება შეადარა ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას სახელმწიფოს ხარჯზე. და ამ ხუმრობაში ძევს დიდი სიმართლე.

ასე რომ, ნებისმიერი მსხვილი დონის სახელმწიფო მოხელე, როგორც ადმინისტრაციულად, ასევე პოლიტიკურად, სტალინის დროს განებივრებული იყო საქმის კეთების წყურვილის დაკმაყოფილებით. თუ, რა თქმა უნდა, მათ შეეძლოთ საქმის კეთება და არა საქმის კეთების იმიტირება.

ამგვარი პოლიტიკოსისა და მეურნე ადამიანისათვის **"სახელოსნო"** გახლდათ მთელი საბჭოთა კავშირი! და მხოლოდ საბჭოთა კავშირში ეძლეოდა პოლიტიკოსს საშუალება, რომ აღმაფრენით ემუშავა.

ზუსტად ისე, როგორც ბერია.

აი, ბერია რომ სახელმწიფოს მეთაურად აერჩიათ, ეს აღმაფრენა წითელ ხაზად გაჰყვებოდა მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებას. ხელმძღვანელის კომპეტენტურობა ხომ გადამწყვეტი ფაქტორია ყველგან, განსაკუთრებით კი რუსეთში. აქ უადგილო არ იქნება სტალინის პერიფრაზირება: **"ლიდერი წყვეტს ყველაფერს"**. თუ, რა თქმა უნდა, ლიდერი აკეთებს იმას, რაც თანხვდება ეპოქის მოთხოვნებს.

ეპოქის მოთხოვნა კი იყო ინიციატივისათვის სრული თავისუფლების მიცემა და პროფესიონალების გამოვლენა და საქმეში ჩართვა. სტალინის სიკვდილის შემდეგ კი ამის გაკეთება შეეძლო მხოლოდ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას!

აი, რას სწერდა ორმოცდაათი წლის წინ ნაპოლეონზე აკადემიკოსი ევგენი ტარლე:

"მის წინ დახვავებული იყო ძველი რეჟიმისა და ახალი წყობის ნანგრევები... ძალიან ბევრი რამ იყო დაწყებული და დაუმთავრებელი, დაწყებული და უკან წაღებული, ყველაფერი ეს გახლდათ ქაოსი და დუღილის პროცესი...

ბონაპარტმა ყველაფერი ახალი ხელისუფლების შექმნის დაიწყო... მართებულად თქვა ნაპოლეონზე პოეტმა გოეთემ: ნაპოლეონისათვის ხელისუფლება იგივე იყო, რაც ვირტუოზი მუსიკოსისათვის სამუსიკო ინსტრუმენტი. მან წამსვე ააღერა ეს ინსტრუმენტი, როგორც კი მასზე დაკვრა ისწავლა".

ბერიას სრულიადაც არ აწუხებდა **"ბონაპარტიზმის"** კომპლექსი, მაგრამ ზოგიერთი ანალოგის მოძებნა აქაც შეიძლება. როგორც კი **"ინსტრუმენტი"** ხელიდან გაუვარდა უმაღლეს ხელისუფალს სტალინს, ლავრენტი ბერიამ აიღო და მაღლა აღმართა ეს **"ინსტრუმენტი"**, იმის იმედით, რომ მისი კოლეგები **"ორკესტრიდან"**, ფორმალურად თუ არა, არაფორმალურად მაინც აღიარებდნენ მის წამყვან როლს **"პარტიაში"**. მას ხომ სხვებზე მეტი უფლება გააჩნდა საამისოდ!

სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მე-9 განყოფილების ყოფილმა უფროსმა, დღეგრძელმა გენერალ-მაიორმა დოკუჩაევმა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა დაცვას, გაიხსენა, თუ რა უთხრა მას ერთხელ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა: **"მე სამი რამ არ მესმის საბჭოთა კავშირის ისტორიიდან: პირველი – როგორ დაამარცხა მან ფაშიზმი; მეორე – როგორ შესძლო მან ასე მოკლე ვადებში შეექმნა ატომური ბომბი; და მესამე – როგორ მოახერხა მან გაგარინის კოსმოსში გაშვება".**

ყველაფერი ეს ძალზე წააგავს მწერალ არკადი გაიდარის ნაწარმოების **"ბიჭი კიბალჩიშის"** ერთ-ერთი გმირის მთავარი ბურჟუინის გაოგნებას: **"როგორ მოხდა, რომ ორმოცი მეფე და ორმოცი რაინდი წითელ არმიას ებრძოდნენ და ამ ბრძოლებში ჩაიხოცნენ?"**

სახელმწიფოს **"სამხედრო საიდუმლო"** დასავლეთს გადასცეს 80-90-იანი წლების იმ **"მოღვაწეების"** მემკვიდრეებმა, ვინც გაწირეს ბერია, რათა შემდეგ გაეწირათ სტალინის საქმეც. მაგრამ ეს ისე, სიტყვისათვის. ვიხსენებ რა კისინჯერის სიტყვებს, აი, რა მინდა ვთქვა... ***ნიშანდობლივია, რომ ამ სამივე საკვანძო მომენტში, რომელიც კისინჯერის გაოცებას იწვევდა, განუზომელი იყო ბერიას როლი!*** მისი პირადი ღვაწლი გახლდათ ომში გამარჯვების გარანტია, ურანის პრობლემის გადამწყვეტი ფაქტორი და სტიმული საბჭოთა სარაკეტო დარგის განვითარების საქმეში!

მე არ მინდა იმის თქმა, რომ საბჭოთა კავშირი მხოლოდ ბერიას უნდა უმადლოდეს ამ სამი დიდი საკითხის გადაწყვეტას – ეს გამარჯვებები უზრუნველჰყვეს ახალი ეპოქის ახალმა ადამიანებმა. მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ ამ სამივე წარმატების სათავეებთან სწორედ ლავრენტი ბერია იდგა!

რაზე ფიქრობდა იგი იმ დღეებში, როცა ბუნკერში იჯდა?

რაზე ფიქრობდა პირველ ღამეს?

მეორე ღამეს?

მესამე ღამეს?

მისი წერილები ბუნკერიდან უფლებას გვაძლევს ამ შეკითხვებს შემდეგი პასუხი გავცეთ: **"იგი უამრავ რამეზე ფიქრობდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, იგი სახელმწიფოზე ფიქრობდა და ფიქრობდა იმიტომ, რომ მან დიდი ხნის წინ დაუკავშირა თავისი სიცოცხლე სამშობლოს და ლავრენტის სიკვდილამდე ეს მცნებები განუყოფელი გახლდათ".**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ყვარყვარეს ყიყინი ფაშიზმის დრაბლიდან

როცა ყველაზე უმძიმეს უამს ქართველთა ყოფნას არყოფნა გადაშენებით ემუქრებოდა, როგორც ჩასაძირად განწირულს, მაშველი რგოლივით მოგვაშველებდა-ხოლმე უფალი მისგანვე სასიკეთოდ ნაკურთხ მამულიშვილებს. აგერ, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, პატარა კახი, ილია, აკაკი – ქართველთა ბედის ბორბალი აღმა რომ ააბრუნეს და მათი საქმენი შთამომავლობას საამაყოდ შემორჩა. რომელი ერი არ იამაყებდა მეფე დიმიტრი თავდადებულის, ცოტნე დადიანის, მდვდელი თევდორეს მსგავსი საამაყო შვილებით. დაუჯერებელ ღალატს და გადაგვარებულ უძღებთა სამსალასაც ბევრჯერ შეუფერხებია ქართული გენის მძლავრი მაჯისცემა, მაგრამ, მოდით, ყველამ უსმინოს როგორ დუდუნებს ქართველთა უკვდავებას მისი მრავალჭირგამოვლილი ისტორია.

ახლა რა მოხდა? ნუთუ უფალი გაგვიწყრა და შეგვატოვა ფაშისტური დორბლიდან შხამიან სოკოებივით მომრავლებულ, ღალატის ნოტაზე აწყობილ ადამიანის მსგავს არსებათა თარეშს?! ალბათ უფალს სძულს ყველა, ვინც ხელებს ჩამოუშვებს და მარტო მისი დახმარების იმედზეა, ის კი ავიწყდება, რომ უფალმა თქვა, ხელი გაატოკე და გეშველებაო. დიახ, სწორედ ის იმარჯვებს, ვინც იბრძვის. ნახირად ქცეული ხალხი კი უსათუოდ გაიზიარებს მის ბედს, ნახირში შევარდნილ მხეცს რომ გაურბიან თავისი მოძმის დაგლეჯით და გამოფატვრით კმაყოფილები, რადგან თვითონ გადარჩნენ; არადა, ყველას ერთად რომ შეეტია მტაცებლისათვის, დასრულდებოდა მისი დაუჯელი პარპაში.

ნახირად ქცევაა, აბა რა, როცა ავღანეთში ქართველი ახალგაზრდების გაწირვაზე ნადირად ქცეულ ხელისუფლებას პასუხს არ აგებინებ და მოთმინებით ელოდები, უსახური მტერი კიდევ ვის გადასანსლავს.

ნახირად ქცევაა, აბა რა, როცა საქართველოს ყველაზე საზარელ დამაქცევარს კრწანისის რეზიდენციაში სასათბურე პირობებში ინახავ. ეს ხომ იგივეა, მებაღე რომ აიძულო, დღედაღამ გაუფრთხილდეს ნარის ეკალს და თანაც აყბედო იმაზე, თუ რა სიკეთე მოუტანა მისმა არსებობამ ბად-ბოსტნის წარმატებას.

ნახირად ქცევაა, აბა რა, უნივერსიტეტში მთელი ერის საამაყო მეცნიერები აუდიტორიაში რომ შეყარეს. ერთი დაბღავლებაც საკმარისი იყო, რომ ნადირი დამფრთხალიყო. მან კი გააგრძელა ქვეყნის აოხრება და სახეზე გვაქვს მოსპობილი მეცნიერება, სამეცნიერო დაწესებულებები, მთელი სახალხო მეურნეობა; რაც მთავარია, ქართველი ერის საამაყო მომავალს შეუქმნეს საფრთხე.

ნაციონალთა პრეზიდენტი თავისი ყოველდღიური სატელევიზიო ყეინობით გვაბითურებს და მასხრად გვიგდებს. ხალხი კი გასუსულია და შიშით ელოდება, კიდევ როგორ ხაფანგს დაუგებს ერის გადაგვარება-მოსპობის ბოდვას აყოლილი. ასე გრძელდება, რადგან ნამდვილი მონადირე არ ჩანს და ფსევდო მონადირეებით გაივსო ქვეყანა, ნადირის მიერ მიგდებულ ნარჩენებს რომ დახარბებია. ხალხის ერთიანი მძლავრი დაბღავლებაა საჭირო, რომ მტაცებელი მის კვალზე შემდგარ ტურებთან ერთად დაფრთხეს. მან კი თავის სატელევიზიო ბოდვისას გაზეთები **"ასავალ-დასავალი"** და **"ლიტერატურული საქართველო"**, რომლებსაც ესოდენ დიდი ინტერესით კითხულობს ქართველი ხალხი, რამეთუ მათი პირუთვნელი, მართალი და მებრძოლი სიტყვა იმედის სხივს აფრქვევს და ქართველთა მოლოდინს ოპტიმიზმით კვებავს, ფაშისტურ რუპორებად მოიხსენია. ასე იქცევა ყოველი მეძავი, პატიოსან ადამიანს თავის ცოდვებს რომ გადააბრალებს და მსმენელთა სახეზე დამცინავ ღიმილს აბარტყებს.

ფაშიზმისაგან მთელი ევროპის განმანთავისუფლებელ საბჭოთა მეომრის ძეგლთან თვითონ გერმანელებმა მოიტანეს ყვავილები გამარჯვების დღის ზეიმზე. ამათ სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკი დაანგრიეს სიღნაღში, ქუთაისში ააფეთქეს და ზედ უცოდველი დედა-შვილის სიცოცხლე დააყოლეს. ახლა იქნებ ბრძანოს მოყიყინე პრეზიდენტმა, ვინ არის ფაშისტი?!

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას შეადარა კომპიუტერის სწავლების ინგლისური ვოიაჟი არსებამ, რომელმაც სიღნაღში რაიონული ბიბლიოთეკა დაარბევინა და მის ადგილზე აშენებული რესტორანით ცდილობს გაანათლოს ახალგაზრდობა. ილიას და იაკობ გოგებაშვილის გამონათქვამებიც მოიშველია იმავე გოგებაშვილის სწავლებიდან ამომგდებმა. ჰყვება ამბავს, თავისივე ნათქვამით კმაყოფილი იღიმება და თითით იფხანს ცხვირს (რაც ესოდენ დამახასიათებელია ნარკომანებისათვის – **"ილორი"**). დაპროგრამებული ჩინოვნიკები ყბაღია შეჰყურებენ და მათ პირმოთნე ღიმილზე, თუ ამ დროს ტელევიზორს ვინმე უყურებს, სიბრალულს იწვევენ. იქნებ კიდევაც ესმით, რა სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგრამ გაძღომა ურჩევნიათ საამაყო ერისკაცის გაჭირვებულ და დევნილ ყოფას. დანაშაულს კი დანაშაული ემატება. საბჭოთა კავშირში ქართული ენის დამცველი, მებრძოლი ერი ისეთი პიპნოზის ტყვეობაში ჰყავთ მოქცეული ამ დამოუკიდებლად წოდებულ, გაძარცვულ და დარბეულ საქართველოში, რომ პრეზიდენტის ღალატთან წილნაყარ ინგლისურ როკვას ლუმა-პურის ძიებაში დაღლილი კაცის მწარე ღიმილი ხვდება.

თურმე მთელი მსოფლიო გაკვირვებულია ამათი რეფორმებით და აქ ჩამოდიან გამოცდილების გასაზიარებლად. სასწაულებრივი რეფორმების ავტორები კი ნამდვილად არიან. სოფლის მეურნეობის მინისტრად ჯერ მამალი ძროხების მწველავი ჰყავდათ, ჰიბრიდული სიმინდის მოყვანით მსოფლიო რომ გააკვირვეს და სიმინდი გააქრეს. ახლა ექიმი დანიშნეს მის ადგილზე, რათა სოფლის მეურნეობის დაქცევა-დაკნინება აღმავლობად მოეჩვენოს, რომ წარმატებაზე ტრაბახით უხერხულობა არ იგრძნოს. სამაგიეროდ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად ქართლის დედის მაგინებელი **"ფალოსოფოსი"** თუ ფილოსოფოსის მსგავსი არსება დანიშნეს, ხმალი რომ ფალოსად ეჩვენება და ფიალა საშოდ. მაინც დიდი შედავათია, თავდაცვის მინისტრად რომ არ დანიშნეს და ხმალამოღებული ოფიცრები სხვა რამ უბედურებაში არ აერია. განათლების მინისტრებზე კი ისეთი კარუსელი მოაწყო, რომ განათლების დარბევით თავბრუდახვეულებს უცხოეთში აგზავნიან სასწავლებლად თუ დასამშვიდებლად. მდგრადი განვითარების მინისტრად ხაბაზია, როცა პრეზიდენტი ჯამბაზია და მათგან გართობა არ გვაკლია, როცა მათ მიერ დადგმულმა ტელეყეყინობამ ხალხს ტელევიზორი შეაძულა. სამაგიეროდ პრეზიდენტის მოსასმენად მორეკილი ადამიანები ხომ ენერგიულად აგალობებენ **"მიშა, მიშა"**-ს და აფრიალებენ ხუთჯვრიან დროშებს ჰიტლერის შოუების მსგავსად, ბოლოს თავიანთი სვასტიკიანი დროშების ფრიალით რომ ჩაბარდნენ მოუსავლეთს.

დღევანდელმა დემოკრატიის შუქურად წოდებულმა დასავლეთის სახელმწიფოებმა გერმანიის ფაშიზმი საბჭოთა კავშირის შესაჭმელად გაანებივრეს, პირველად მათვე რომ დაეტაკა და ისევ საბჭოთა კავშირს ეხვეწებოდნენ, გვიშველეო. ახლა ნატოთი უპირისპირდებოდნენ ვარშავის პაქტს. დაიშალა საბჭოთა კავშირი და გაქრა ვარშავის პაქტი, რადა ეშმაკად სჭირდებათ ეს კბილებდაღრჭენილი **ნატო**? რუსეთის ღვარძლი, შური და შიში არ ასვენებთ. ერთ კაცს თავი ხორბალი ეგონა და მამლის ეშინოდა, ამკენკავსო. კარგა ხანს უმკურნალეს და გამოჯანმრთელებული რომ ეგონათ, ჰკითხეს, ახლა ხომ გჯერა, რომ ხორბალი არა ხარ და მამლის ნუდა გეშინიაო. მე მჯერა, რომ ხორბალი არა ვარ, მაგრამ ეს მამალმა თუ იცისო. ამ ნატოშიც ვერ დაუჯერებიათ, რომ მამალი აკენკვას არ უპირებთ და აბეზარი მღრღნელებივით აღიზიანებენ, სანამ უკიდურეს გააფთრებამდე არ მიიყვანენ. რუსეთი კი მაინც დინჯად იმეორებს: **ребята, давайте жить дружно.**

საქართველოს სახელს ამოფარებული ნაციონალები კი ათას სისულელეს ბლანდავენ რუსეთზე, თან ნატოს ელაქუცებიან, ნახეთ, რა ერთგული ფინია გყევართო. ბიჭო, შენ რომელ სიბინძურეშიც გინდა იჭყუმპალავე. დაანებე საქართველოს თავი, რამეთუ რუსეთში ძალიან კარგად იციან, ვისი დუდუკის ჭყვიტინზე როკავ. ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას ფაშისტური დორბლის პარაზიტების ყიყინი უფრო განამტკიცებს და სხივნათელს ხდის მათი ძმობის ჩირაღდანს.

ნატო რა არის, კარგად გამოჩნდა იუგოსლავიის, ერაყის, ლიბიის ავანტიურისას. თუ ასე ეწვებათ ჯიგარი მსოფლიოს კეთილდღეობისათვის, აგერ, სომალელმა მეკობრეებმა გადაჭამეს თავი ოცდამეერთე საუკუნის სამართალს. ერაყში ის დაინახეს, რაც არ იყო, სომალელ მეკობრეებს კი ვერ ამჩნევენ, რადგან იქ ნავთობის სუნი არ დგას.

ავღანეთში შეიჭრნენ და ისე ამობუქსავდნენ, გამოსაქცევად სული სტკივათ. ძლიერები არიან შეიარაღებით და ადამიანთა რესურსებით და კაცობრიობის ინტერესებისათვის თავდადებას იბრალებენ. თუ ასეა, რატომ არ ეუბნებიან ათასი პრობლემებით დამძიმებულ და გაძარცვული ქვეყნის პრეზიდენტს, ხალხიც თვალსა და ხელს შორის გიდნება, შენ ვის დაჰკარგვიხარ, სად მიძვრები, შე ტუტუცო, ჩვენ გამოსაქცევად ვემზადებითო.

ახლა **ნატო**-ს გენერალური მდივანი ანდერს ფონ რასმუსენი აიმედებს ნაციონალებს, საქართველო აუცილებლად გახდებაო **ნატო**-ს წევრი. იმას რაში ენაღვლება, საქართველოს საბოლოო დაშლა, დაკნინება, დაუცმაცება. აი, რას მივიღებთ ამით. ნაციონალებს ფოჩიანი კამფეტები, ქართველ ხალხს ბუს კვერცხები გაერთიანების და აყვავების სანაცვლოდ. აქეთ მადლობას იხდის, ავღანეთში თქვენი ბიჭები რომ იხოცებიანო. შე კაი დედ-მამის შვილო, რაღას მიძვრებოდი ავღანეთში, ახლა მუხთალთა საჯიჯგნად ქცეულ საქართველოს დასახმარებლად რომ გაგიხდა საქმე?!

განა მოღალატე არ არის ის, ვინც ქუთაისის ცოდვით გაპოხილ პარლამენტში აპირებს წამოსკუპებას, ხალხის მიერ ხათუნა გოგორიშვილის უნიტაზად მონათლულ, ნაციონალთა მიერ საქართველოს დაქუცმაცების ამ აუხდენელ იმედად აშენებულ სირცხვილში.

ღალატი დაშლიგინობს საქართველოში უცხოელთა ძაღლისშვილის უტიფრობით და ყოველდღე ახალ-ახალი სისულელით კვებავს ტელემაყურებელს. ქუთაისიდან დაიწყეს უკანალის ქნევით ბოთლში ფანქრის მოთავსება და საქართველოს გადაგვარებისკენ მიდიან, სანამ ხალხი ნახირის ჰიპნოზიდან არ გამოფხიზლდება და ქართველი კაცის შეუპოვრობით არ მოთხრის ამათ სახსენებელს.

ნატო-ს ლიდერები დემოკრატობას უქებენ თავიანთ ლაქია საქართველოს ხელისუფლებად წოდებულ ხროვას, სადაც სიცრუის ნიღაბაფარებული საშინელი ტერორი მძვინვარებს. ამ უმუშევრობის სამთავროში საპროტესტო ამოკნავლება ყოველგვარი საარსებო საშუალების მოსპობად ფასობს. უსამართლობა დაძრწის სამართლიანობის ნიღბით და სიცრუის ლაქლაქით. თუ ქვეყნის და ხალხის სასიკეთოდ გაიბრძოლე, ისეთ სისულელეს დაგაბრალებენ, ამათ მაგიერ შეგრცხვება. ქართველი ხალხის მადლიერების გრძნობითაა აღვსილი ბიძინა ივანიშვილის საარაკო, უანგარო და უპიარო ქველმოქმედება. მე პირადად არ ვიცნობ, მაგრამ რაც ხალხის საშველად უზარმაზარი დახმარების შესახებ გაიგებ, როგორ შეიძლება მის მიმართ სიმპათიები არ გაგიჩნდეს. ნაციონალებისთვისაც მოუხმარებია უზარმაზარი თანხა, სანამ ეგონა, რომ ქვეყნის სასიკეთოდ ირჯებოდნენ. დარწმუნდა რანიც არიან და დადგა იქ, სადაც ერის ღირსეული მამულიშვილისა ადგილია. ჰოდა, დაიწყეს მისი ისეთი შევიწროება, როგორიც შეუძლია დემოკრატიადაბრალებულ ძალადობას. უამრავი ცილისწამება ნაციონალების ყბიდან სიმართლედ იფქვება. თურმე ვიღაცას ნაკვეთი თუ რაღაც მისი მსგავსი წართვა და ფული არ გადაუხადა; დაზარალებულიც მოძებნეს, ამას რომ ადასტურებდა. სიცრუის მოგონებასაც ძალის პოლიტიკიდან ეწევიან და სულაც არ აღონებთ, მსმენელი როგორ მიიღებს. ადამიანმა უამრავი მილიონი გაიღო ქართველი ხალხის დასახმარებლად და თურმე ვიღაცას ფული არ გადაუხადა. ვთქვათ, ასეა, შენ ხომ მოგაჩუქა მილიარდზე მეტი, იმავე ბიძინას ნაჩუქარი ფულიდან გადაუხადე ფსევდომომჩივანს, რა ნამუსით გაჰყვირი სიცრუეს მისი უზარმაზარი ვალით დამძიმებული?!

თუ ვინმე ბიძინა ივანიშვილმა შეაქო, ან ნდობა გამოუცხადა, მაშინვე იწყებენ მის ლანძღვას და თავიანთი მეთოდით კომპრომატების ჩხრეკას. ამას წინათ მოვისმინე, როგორი ღვარძლით ამკობდნენ თამაზ თამაზაშვილს. ეს რაინდული სულის ქართველი ვაჟკაცი დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსად მუშაობდა და მის საქმიანობას ქვეყნის და ერის სიყვარული ამშვენებდა. იგი ისეთი ღირსეული ქართველია, რომელიც არასდროს არ აღმართავს ჯოხს თავის ხალხის თავზე, რეზინის ტყვიებით არ დაცხრილავს მომიტინგეებს, გაზით არ მოწამლავს და უმოწყალო ცემით მოკლულებს შენობის სახურავზე არ აიტანს დანაშაულის დენის დარტყმაზე გადასაბრალებლად. კახეთის პოლიციის უფროსი იყო დღევანდელი ნაციონალების მოქალაქეთა კავშირში ნებივრობისას, კახეთში აღვირახსნილი პარპაშის უფლებას რომ არ აძლევდა ამათ. ნარკოტიკებით მოვაჭრე რომელი ბარიგა დააკავეს პანკისის ხეობაში და გატაცებულებს ვინ მფარველობდა მოქალაქეთა კავშირის ბოსებიდან იქაურმა ქისტებმა კარგად იციან. დრო მოვა და სიმართლე იზეიმებს ფსევდომოწმეების სიცრუის ნაცვლად. თამაზ თამაზაშვილი კი დედოფლისწყაროს პოლიციის უფროსად მუშაობის შემდეგ აღარ შემხვედრია, მაგრამ მისი ადამიანური ღირსების შესახებ კახეთში ყველგან ისმოდა. ნაციონალების აღზევების შემდეგ მასზე აღარაფერი გამიგონია. ტელევიზიით რომ მოვისმინე, რა ბრალდებებს უყენებდნენ, გამეღიმა. ის ისეთი ღირსეული მამულიშვილია, სინდისთან კომპრომისზე არასოდეს არ წავიდოდა; ამიტომაც უღრენენ ასე ბოროტად და ენერგიულად.

საქართველოში მოღვაწე, ვინც ბიზნესმენია და ფული იშოვნა ნაციონალებთან ლაქუცის პირობებში, მათი დახმარების იმედი ნუ ექნება მეცნიერს, მწერალს, კულტურის მოღვაწეს და ყველა მართალი სიტყვის მთქმელ, ყოფნა-არყოფნის გზაზე ჩასაძირად განწირულ მამულიშვილს.

რუსეთში მცხოვრებმა ბიზნესმენმა – ალექსანდრე ებრალიძემ დააარსა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია მწერლებისა და ყველა საზოგადო მოღვაწისათვის და მაშინვე დაიმსახურა ნაციონალთა რისხვა. მე ამ კონკურსში შევიტანე ჩემი ნაწარმოებები და კვლავ შეეჭიდე ჩვეულებრივ გაუსაძლის გაჭირვებას. უსაზღვროდ გამიხარდა, რომ მაცნობეს, პრემია დაიმსახურე და ბანკში შეგიძლია თანხა მიიღოო. აღარც კი მახსოვდა კონკურსში ჩემი მონაწილეობის შესახებ, ამ თანხამ კი ჟანგბადის ბალიშივით მომისწრო. თუმცა, არც გაოცების გარეშე დავრჩენილვარ, რომ მითხრეს, ოცი პროცენტი სახელმწიფომ წაიღოო. მაინც კმაყოფილი დავრჩი, ხომ შეიძლებოდა ამ მწერლობის, მეცნიერების, განათლების, კულტურის და ყველა სასიკეთო საქმის უსაზღვროდ მოძულეებს ჩემი კუთვნილი მთელი თანხა დაეთრიათ, მათი ყოვლად უაზრო კულტურის შოუებზე, ან ლისაბონელ მეძავებთან გაენიავებინათ.

ახლა უკვე ღრმად მწამს, რომ უფალს არ დავვიწყებივართ და მისგანვე ნაკურთხ მამულიშვილებს კვლავაც არ მოგვაკლებს, ქართველთა ბედის ბორბალს წაღმა რომ დაატრიალებენ.

ბიძი სომხიშვილი, მწერალი, სიღნაღი

„ქართული ოცნების" ხობის შტაბის ხელმძღვანელს თავს დაესხნენ

როგორც საქინფორმს **„ქართული ოცნების"** პრესსამსახურიდან აცნობეს, კოალიციის ხობის რაიონული შტაბის ხელმძღვანელ მამუკა ქარდავას წუხელ ნოჯიხევის სარკინიგზო გადასას- ვლელთან 4 დაუდგენელი პირი თავს დაესხა.

თავდამსხმელები მას ავტომანქანაში ჩაუხტნენ. ხელკეტებით უმოწყალოდ ნაცემი ქარდავა ხობის რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციისთვის ცნობილია მომხდარის შესახებ, ამ დრომდე არ მომხდარა ქარდავას დაზარალებულის სტატუსით დაკითხვა.

„ხელისუფლების მიერ დაგეშილ ზონდერთა ღამღამობით ბანდიტურ თარეშსაც მალე მოეღება ბოლო და ყველა დამნაშავე – ბრძანების გამცემიც და აღმსრულებელიც, კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს ჩადენილ დანაშაულზე, – ნათქვამია კოალიციის განცხადებაში. – **დღეს მოქმედ ხელისუფლებას კიდევ აქვს დრო, გონს მოეგოს და აღასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება".**

„ქართული ოცნება" მიმართავს ორიოდ დღის წინათ შექმნილ უწყებათაშორის კომისიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება მომხდარ მძიმე დანაშაულზე და მოსთხოვოს სამართალდამცავ ორგანოებს, განახორციელონ ყველა საჭირო ქმედება დამნაშავეების გამოსავლენად.

ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს საძრახისი საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების გაკეთებულია, ამიტომ, საზოგადოება აშკარად დააბნია სამინისტროს განცხადებამ იმის თაობაზე, რომ 10.000 ლარით დააჯილდოებს იმ პიროვნებას, რომელიც სამართალდამცავებს მიაწვდის ცნობას, ქარდავზე თავდასხმის მონაწილეებზე.

მოკლედ, მართლაც ვერა აქვთ კარგად საქმე ნაციონალებს, თუ ქვეყნის **„ხერხემალი"** ვანო მერაბიშვილიც კი ისეა დაბნეული, რომ თავად არ იცის, რას აკეთებს!

ხარაგაულის მოსახლეობას თავად უწევს ამორტიზებული ტრაქტორების შეკეთება

როგორც საქინფორმს **„თავისუფალი საქართველოს"** პრესსამსახური აცნობებს, საქართველოს ხელისუფლების მიერ პომპეზურად დაწყებული **„ტრაქტორიზაციის კამპანია"** რეალურად **„კარუსელია"**, სწორედ ისეთი, როგორიცაა საავადმყოფოების მშენებლობა, რომლის გახსნის შემდეგ იქ შეტანილ სამდიცინო მოწყობილობებს ახლა სხვა გასახსნელ საავადმყოფოებში მიარბენინებენ..

„კერძოდ, ხელისუფლება სხვადასხვა რეგიონებში ერთსა და იმავე ტრაქტორებს აგზავნის", – ნათქვამია პარტიის განცხადებაში და აღნიშნავს, რომ უდიდესი პრობლემების წინაშე დგას ხარაგაულის რაიონის სოფლები. გაზაფხული სრულდება და ხარაგაულში პრაქტიკულად არავის აქვს მიწა დამუშავებული. მოსახლეობას თავად უწევს ამორტიზებული ტექნიკის შეკეთება, ისინი საკუთარი სახსრებით ყიდულობენ ნაწილებს ხელისუფლების მიერ სამადლოდ დატოვებული ორიოდე ტრაქტორისთვის.

„თავისუფალი საქართველო" მოუწოდებს ხელისუფლება,ს თავი დაანებოს პიარკამპანიების წარმოებას და რეალურად იზრუნოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. სოფლის მექანიზაციის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი ხარჯები კოლოსალურია და უნდა მოხდეს მათი მიზნობრივად განკარგვა.

ამასთან, პარტია გეგმავს საპროტესტო კამპანიას ხელისუფლების მიერ მოტყუებული მოსახლეობის დასაცავად.

კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171, 172

კოლხეთი – მსოფლიოს უპირველესი ქვეყანა

შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა.

სულხან-საბა ორბელიანი

შური მძიმე სენია და დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას – შური უფრო შეურიგებელია, ვიდრე სიძულვილი.

ლარუშფუკო

აქვე გვინდა იმის აღნიშვნა, რომ სიცოცხლის გაჩენისათვის შესაფერისი პირობები არ შეიძლება შექმნილიყო ცივი და მუდმივი ზაფხულის მქონე სარტყელებზე, დათბობის შემდეგ სიცოცხლის გაჩენისათვის შესაფერისი პირობები შეიქმნა ზომიერი ზაფხულისა და ზამთრის პირობებში. ასეთი პირობები სამხრეთ კავკასიაში იყო – დღევანდელ საქართველოში – კოლხეთში. კოლხეთში იგულისხმება მთელი საქართველო. სწორედ აქ, დღევანდელ აფხაზეთში და სამეგრელოში უნდა გაჩენილიყო პირველი სიცოცხლე – მცენარეები, ცხოველები და ადამიანები. ეს მხარე სამოთხე იყო. ყოვლისშემძლე ღმერთმა ევა და ადამი ამ სამოთხეში ჩაასახლა. აქედან დაიწყო ადამიანთა სამყაროს შექმნა.

გარდა ბერძენი სწავლულებისა, **აშშ**-ს, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და ქართველი მეცნიერების: დავით ჩუბინაშვილის, ალექსანდრე ცაგარელის, ივანე ჯავახიშვილის, იოსებ ყიფშიძის, სერგი მაკალათიას, თინათინ და სიმონ ყაუხჩიშვილების, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, პავლე ინგოროყვას, ექვთიმე თაყაიშვილის, არნოლდ ჩიქობავას, სერგი ჟღენტის, გურამ კარტოზიას, თამაზ გამყრელიძის, რისმაგ გორდეზიანის შრომებში ნათლად ჩანს, რომ საქართველო (ძველი კოლხეთი) მსოფლიოს უძველესი და უპირველესი ქვეყანაა, ქართული ენა (ძველი კოლხური ენა) – მსოფლიოს უძველესი და უპირველესი ენაა; ჩვენ ამ ნაშრომის ავტორს არავითარი აღმოჩენა არ გაგვიკეთებია, მხოლოდ არსებული მასალები შევკრიბეთ.

დიდმა მეცნიერებმა თამაზ გამყრელიძემ და რისმაგ გორდეზიანმა საქართველოში ყველაზე უკეთესად იციან (ამაში მთლიანად ვარ დარწმუნებული) საქართველოსა და ქართული ენის შესახებ ზემოთ ნათქვამის ჭეშმარიტება, მაგრამ კარგად იციან ისიც, რომ მსოფლიოში არსებული შეხედულება-თვალსაზრისის წინააღმდეგ გამოსვლა, დინების წინააღმდეგ წასვლა ძნელია, შეიძლება **„უშედეგოც“** იყოს, მაგრამ სანამდის? ვიმეორებთ, ვფიქრობთ, საქმის გაჭიანურება არ ეგების, დრო მომწიფებულია სიმართლის თქმისათვის, საბჭოთა იმპერია დაიშალა, საბჭოთა დიქტატურისა და დიქტატისაგან საქართველო გამოსულია, მაშ ეხლა მაინც რა გვიშლის ხელს სიმართლე რომ ვთქვათ? სიმართლე უძლეველია, ის დღეს თუ ხვალ, გზას აუცილებლად გაიკვლევს.

მაგრამ იმის თქმა, რომ ქართული ენა, დამწერლობა ბერძნული დამწერლობისაგან მომდინარეობს, ბერძნული ენისგან წარმოიშვა, არასწორია.

გაზეთ **„საქართველოს რესპუბლიკაში“ („ქვეყნის მბრძანებელნი“** და მისი **„ნათესაობა“,** 2011, 30 ივნისი №121, გვ. 15.) გამოქვეყნდა სტატია **„სიცოცხლე დმანისიდან მოდის?“** რომელშიც ნათქვამია: **„დმანისში ნაპოვნი ქვის იარაღებისა და ძვლების ნაშთებს საფრანგეთში ექსპერტიზა უტარდება. კვლევის მიზანია დაადასტუროს, რომ კავკასიაში (და არა აფრიკის კონტინენტზე) ნაპოვნი ადამიანის ნაშთები და მათი შრომის იარაღები უძველესია“,** ეს ნაშთები დაახლოებით 2 მილიონი წლის წინ (1 მილიონ 850 ათასი – 1 მილიონ 770 ათასი წლის წინ) მცხოვრებ ადამიანებს ეკუთვნოდათ. მასალები ექსპერტიზისათვის საქართველოს ეროვნულ მუზეუმის დირექტორმა აკად. დავით ლორთქიფანიძემ ჩაიტანა. ჯერ ერთი, ადამიანის ნაშთები, ნაპოვნი დმანისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რატომ ჩაიტანეს საექსპერტოდ საფრანგეთში 11 წლის (2011წ.) დაგვიანებით; მეორე, რატომ ატარებს ექსპერტიზას მხოლოდ საფრანგეთი და რატომ არ მონაწილეობენ მასში აშშ-ის, ინგლისის, გერმანიის, იტალიის, ესპანეთის მეცნიერები. რატომ უნდა ვენდოთ მხოლოდ ფრანგ ექსპერტებს?

მეცნიერები ჯერ კიდევ მიიჩნევენ, რომ სიცოცხლე აფრიკიდან მოდის, ამავე დროს წერენ, რომ **„მომუშავე ადამიანის“** ევოლუცია უკიდურესად გვალვის პერიოდში მიმდინარეობდა, რომელმაც ტროპიკული ტყეები გადაბუგა და აფრიკის კონტინენტზე უზარმაზარი უდაბნოები წარმოშვა, სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ეს სახეობა სიცოცხლისათვის მშვენივრად შეგუებული იყო. და ეს ადამიანები ძალიან მოძრავნი იყვნენ“, (გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა“ „ქვეყნის მბრძანებელნი“** და მისი **„ნათესაობა“,** 2011, 30 ივნისი №121, გვ. 15.) – წერს ბრიტანეთის ბუნებისმეტყველების მუზეუმის პროფესორი **კრის სტინგერი**. ისმება კითხვა: გვალვებმა აფრიკის **„ტროპიკული ტყეები გადაბუგა და „უზარმაზარი უდაბნოები წარმოშვა“** – შეეძლო ადამიანს ეცხოვრა? აგრეთვე, თურმე ისინი ჯგუფ-ჯგუფად გადადიოდნენ ევროპასა და აზიაში (ინდოეთამდე), მაშინ ასე, ერთბაშად იცვალეს კანის ფერი და თეთრკანიანი გახდნენ? ეს კითხვები პასუხგასაცემია.

„ბოლო გამოკვლევების შედეგების თანახმად **„მომუშავე ადამიანის“,** თანამედროვე ადამიანის წინაპრები ისევე აფრიკიდან არიან ამოსულები. ეს სახეობა დაახლოებით 120 ათასი წლის წინათ გაჩნდა. ისინი პატარ-პატარა, დაახლოებით ას კაციან ჯგუფებად მომთაბარეობდნენ და აფრიკის კონტინენტს შორს გაცდნენ – მათ იმხანად ნეანდერტალიებით დასახლებულ ევროპას და კიდევ უფრო შორს აღმოსავლეთით, თანამედროვე ინდოეთის საზღვრებს მიაღწიეს. მაგრამ დაახლოებით 74 ათასი წლის წინათ ისეთი რამ მოხდა, რაც გარდატეხის მომენტად იქცა რეგიონში მოსახლე მთელი **„მომუშავე ადამიანის“** მოდგმის ისტორიისათვის.

კუნძულ სუმატრაზე ვულკან ტობას ამოფრქვევა იმდენად ძლიერი იყო, მეცნიერები მას ბოლო ორი მილიონი წლის მანძილზე ყველაზე მძლავრად მიიჩნევენ. ვულკანის მიერ ამოფრქვეული გოგირდის უზარმაზარმა მას ამ ატმოსფეროს ტემპერატურის რამენიმე გრადუსით დაკლება გამოიწვია(?!); ლავის აფქსტრიანმა ფენამ (?!) კი დიდი ბრიტანეთის ფართი დაფარა(?!) კლიმატის ცვლილებამ და ადამიანის, ახალი **„გონიერი ადამიანის“** მოსვლამ **„მომუშავე ადამიანის“** რეგიონიდან წასვლა აიძულა (?! რატომ?).

მეცნიერთა ნაწილის ერთხელ **„აღმოჩენილი“** შეხედულება-მოსაზრების, **„დამტკიცებით“, „თეორიის“** შეცვლა არ სურთ და ამ თვალსაზრისს **„ხელიდან არ უშვებენ“.** გაზეთიდან ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ გვეჩვენებინა ამ თვალსაზრისის უსაფუძვლობა, დაუსაბუთებლობა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საჭმელ პროდუქტებს – ხორცს, ყველს, ხილს ნორმალური ჰაერის პირობებში რამდენიმე ხანს შეინახავთ, მათგან ცოცხალი არსება, ჭიები გამოდის, მაგრამ ასეთი ნორმალური ჰაერი არც უძველეს, არც შემდგომ და არც დღევანდელ აფრიკაში არ ყოფილა, არ იყო და არც არის. მაშასადამე, იმ მაღალი ტემპერატურის პირობებში, როცა ტყე იწვოდა და უდაბნოები ჩნდებოდა, სოცოცხლე ვერ წარმოიშობოდა და დავუშვათ, სიცოცხლე – ადამიანი რომ გაჩენილიყო, ვერ იცოცხლებდა, უდიდეს სიცხეს ვერ გაუძლებდა, ცოცხალი არსება, ადამიანი, ნორმალური ტემპერატურის, ნორმალური ჰაერის ტერიტორიებზე გაჩნდა და იქიდან გავრცელდა მთელ სამყაროში.

თავი მეორე

კოლხეთი და ძველი სამყარო

„გვეყო ბატონებო ჩვენი აწმყოსა და მომავლის ბედის სხვებზე მიგდება“.

ილია ჭავჭავაძე

ქართველი მეცნიერების – მ. აბდუშელიშვილის, ზ. ალექსიძის, ილ. ანთელავას, დ. ბაქრაძის, თ. ბერაძის, ნ. ბერძენიშვილის, დ. გვრიტიშვილის, გ. გიორგაძის, ვ. გოლაძის, რ. გორდეზიანის, ე. თაყაიშვილის, გ. კვაშილავას, კ. კოლხის, ნ. ლომოურის, მ. ლორთქიფანიძის, ო. ლორთქიფანიძის, გ. მელიქიშვილის, შ. მესხიას, რ. მეტრეველის, თ. მიბჩუანის, თ. მიქელაძის, ბ. სოფიას, ნ. ფოფხაძის, თ. ყაუხჩიშვილის, ს. ყაუხჩიშვილის, ა. შონიას, გ. ჭელიძის, ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და სხვათა მონაცემებით, რომელიც დადასტურებულია მსოფლიო მეცნიერებაში, კოლხთა შორეულ წინაპრებს ეკავათ ვრცელი განფენილობის ტერიტორია და მსოფლიოში დატოვეს მნიშვნელოვანი კულტურული კვალი. მათ ტომობრივ სუბსტრატს ქმნიდნენ კოლხური მოდგმის ტომები პელაზგები და მათი გენეტიკური ნაშიერები – ეტრუსკები.

პროტოქართულ (წინაქართული) სამყაროს – კოლხეთს მრავალსაუკუნოვანი წარსული აქვს, ხოლო დედაქალაქ თბილისს არა 1500 წლის ისტორია აქვს, არამედ გაცილებით მეტი ხნის. სანამ თბილისი დედაქალაქი გახდებოდა – ის ციხე-ქალაქი ყოფილა. თბილისის დამაარსებელი ტომები – თუბალები წარღვნამდელ – ნოეს ეპოქამდელი ტომები არიან (**ინდიკო კვეკვესკირი,** საქართველოს სახელმწიფოებრიობა 7000 წლისაა, გაზ. **„დიოსკურია“,** 2004, მარტი, №2).

პროფესორი დავით გვრიტიშვილი აღნიშნავს, რომ გათხრების შემდეგ თბილისში **„აღმოჩნდა ე. წ. ენეოლითის (ლითონის ხანის საწყისის) ხანის ნივთები. ეს ნივთები ძველი წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულით თარიღდება. ამ ხანიდან მოყოლებული თბილისის ტერიტორიაზე ადამიანთა მოდგმის არსებობა უწყვეტელი ჩანს. ბრინჯაოს ხანის იარაღები, ნაპოვნი თბილისის ტერიტორიაზე, უტყუარი საბუთია იმისა, რომ თბილისის ტერიტორია საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ჯერ კიდევ 4-5 ათასი წლის წინათ“** (დ. გვრიტიშვილი, თბილისის თავგადასავალი, თბ., 1991, გვ. 3-4).

თუბალები კოლხურ-მეგრული ტომებია (სუბარები, თაბალო-თუბალები, თუბარები, ტაბალები, ტიბარები, თუბალქალდები და ა.შ.). სონი რექ? (სადური ხარ?) – ჩუბალელი, სო მეულუ? (სად მიდიხარ?) – თუბალეთში, თუბალიშში, მი რექ? (ვინ ხარ?) – თუბალი, თუბალიში – აქედან შემდგომში თბილისი.

თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია (გვჯერა, ამას მომავალი კვლევები უსათუოდ დაადასტურებენ), მაგრამ, მანამ თბილისი ქალაქად გადაიქცეოდა, საქართველოში არაერთი ქალაქი არსებობდა: მცხეთა, სარკინე, ურბნისი, უფლისციხე, რუსთავი, ხუნანი და სხვ. IV საუკუნეში თბილისი უკვე საკმაოდ გამაგრებულ ციხე-ქალაქს წარმოადგენს. V საუკუნის მეორე ნახევარში საბოლოოდ ჩამოყალიბებული ქალაქის სახეს იღებს. VI საუკუნის დამდეგიდან თბილისი თანდათან ქართლის ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრი ხდება.

პირველად თბილისი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: კალა (მთავარი ციხე-სიმაგრე) და თბილისი – შემდეგში მესამე უბანიც მიემატა – ისანი. ისანი ეწოდებოდა თანამედროვე მეტეხის ციხის უბანს. კალა-სიონისა და ნარიყალას მიდამოს. ხოლო თბილისი – აბანოების უბანს.

თბილისი თანდათან იზრდებოდა და V საუკუნეში საკმაოდ ცნობილ ქალაქად იქცა. ქართველი მეცნიერები ხაზგასმით მიუთითებენ წინაელინურ-წინაბერძნულ – ტროას წინარე პერიოდში, პელაზგებისა და ქართველების (კოლხების) სიტყვების ფონეტიკურ, სემანტიკურ თანხვედრილობაზე, პელაზგებსა და ტირენულ (ეტრუსკული) ტომებს შორის არსებულ გენეტიკურ კავშირებზე.

მიუთითებენ, რომ კოლხეთს, მაშასადამე საქართველოს, სახელმწიფოებრიობის 7000 წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ახალი მასალებით კოლხეთს 11 ათასი წლის წინანდელი სახელმწიფოებრიობის ისტორია აქვს.

ხმელთაშუაზღვისპირეთის კუნძული ლემნოსი, პელაზგებისა და ეტრუსკების (ტირენელების) მიერაა შექმნილი (განსახლებული) და მსოფლიოში განთქმულია კრეტისა და მიკენის კულტურით და მინოსური დამწერლობით; ბერძნების მიერ კუნძულის დაკავების შემდეგ პელაზგები და ეტრუსკები აპენინის ნახევარკუნძულზე (თანამედროვე იტალია) გადასულან და რომაული ცივილიზაციისათვის ჩაუყრიათ საფუძველი. მეცნიერები იმასაც ამტკიცებენ, რომ რომი მათ მიერაა დაარსებული.

როგორც პროფ. გიზო ჭელიძე მიუთითებს – ეტრუსკებს ლემნოსში ყოფნის დროს შეუქმნიათ დამწერლობა-ლემნოსური სტელა, რომელიც პელაზგურ ენაზე უნდა იყოს შესრულებული; ხოლო ლემნოსური და მიკენის-მინოსური დამწერლობისა და კულტურის მესაძირკვლენი არიან კოლხები.

აქვე უნდა აღვნიშნოთ გ. ჭელიძის მიერ მოხმობილი **„ეტრუსკების ოქროს წიგნი“ („ეტრუსკების ოქროს წიგნი“** აღმოჩენილი იქნა ბულგარეთში, რომლის შესახებ წერილი გამოაქვეყნა გაზეთმა **„ჩვენი მწერლობა“,** 2004, №40, იხ. გ. ჭელიძის მითითებული ნაშრომი **„ჩვენი მწერლობა“,** 2004, 24-30 იანვარი), რომელიც შედგება ოქროსაგან დამზადებული ექვსი ფურცლისაგან, რომელიც გ. ჭელიძის აზრით ძველი წელთაღრიცხვით VI საუკუნის ლემნოსურ სტელაში პოულობს სათავეს.

ყოველივე ზემოთ მოტანილი მასალიდან დგება საინტერესო კითხვა: აღნიშნული **„ოქროს წიგნი“** ხომ არ შეუქმნიათ **„ოქრომრავალ ქვეყნებში“** – კოლხეთში ან კოლხებს?

აღსანიშნავია შემდეგი ფაქტიც: გიორგი მთაწმინდელი (ათონელი – 1109-1165) ესპანეთში უნდა წასულიყო შვილთან და მოწაფეებთან ერთად, რადგან იქ ქართველები ეგულებოდა, – ბასკების მონახულება და მათთან ერთიანობის, ნათესაური ურთიერთობის დადგენას ესწრაფვოდა. გიორგი მთაწმინდელი დარწმუნებული იყო, რომ ესპანეთში მცხოვრები იბერიელები ქართველური წარმომავლობისანი იყვნენ, მაგრამ აინტერესებდა საქართველოდან თუ იყვნენ წამოსულნი, დაახლოებით რომელ უძველეს დროში? (ხომ არ ნახავდა რაიმე წყაროს). ამ დიდმა პატრიოტმა ესპანეთში წასვლა ვერ მოახერხა, მაგრამ 80 ობოლი ბავშვი შეაგროვა დაბალ წრეებში და ათონში წაიყვანა აღსაზრდელად, მაგრამ, საუბედუროდ, 56 წლის ასაკში კონსტანტინოპოლში წამოეწია ბედისწერა და ათონის მთაზე იქნა დაკრძალული.

ეტრუსკები და იბერიელნი აპენინის მკვიდრნი იყვნენ. მეგრელს, ლაზს, სვანს (ყველა ქართველს) კარგად ეცნობა ეტრუსკული სიტყვები. როცა ესტრუსკული სიტყვები გვესმის, გვგონია, რომ მეგრელს, ლაზს, სვანს უსმენ.

გავიხსენოთ პლინიუს უმცროსის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ესპანელი იბერიელები წარმოშობით აზიის იბერიიდან არიან და რომ ისინი პირინეის ნახევარკუნძულზე ათასეული წლები ცხოვრობენ, – წარღვნის შემდგომი პერიოდიდან (**ინდიკო კვეკვესკირი,** საქართველოს სახელმწიფოებრიობა... გაზ. **„დიოსკურია“,** 2004, მარტი, №2).

მეგასთენი (ძვ. წ. III ს.) და ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლაუსი (ფლავიუსი) აღნიშნავენ, რომ კავკასიელი იბერიების სამშობლო ესპანეთიაო.

მესხები, რომლებიც ცხოვრობდნენ მტკვრისა და ჭოროხის ზემო წელში, – ივ. შოპენის მიხედვით, იგივე იბერებია, ე. ი. **„კოლხები, რომლებიც გადმოსახლდნენ აღმოსავლეთით და დააარსეს მცხეთა“.** ივ. შოპენის აზრით სიტყვა **„მცხეთას ძირი შეიძლება იყოს მოსხები ან ხეთა. იბერია მხოლოდ ამის შემდეგ შეერქვა აღმოსავლეთ საქართველოს“.**

ძვ. წ. VI საუკუნის ცნობილი სწავლული ჰეკათი (ჰეკათეოს) მილეთელი ამბობს: მესხეთი კოლხეთის შემადგენლობაში შედის და მესხები კოლხები არიან.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, – ინგლისელი მეცნიერი ჯორჯ ტომსონი წერს: **„ხეთები ანტალიაში და სხვაგან კავკასიიდან მოვიდნენ“.** რუსი მკვლევარი ს. იშევსკი აღნიშნავს, რომ **„ესპანეთის უძველესი მოსახლენი იყვნენ იბერები. იბერები (ახლანდელი ბასკების წინაპრები) დარჩნენ პირენეებში ნახევარკუნძულის ნაპირზე, კელტები ცხოვრობდნენ მდინარე გვადიანას ნაპირზე“.**

აკად. სიმონ ჯანაშია მიუთითებს: ქართველური ტომები წინა აზიის მკვიდრი მოსახლენი არიან – ამ ვრცელ ტერიტორიაზე ჩვენს ერამდე მეორე ათასწლეულში მცხოვრები ხალხების, ხეთების, სუბარების შორეული შთამომავლებია კოლხები, იბერები, მესხები.

(გაგრძელება იქნება)

დიდი ქართველი – გიორგი ჭყონდიდელი

ეს წერილი ორი წლის წინ გამოვაქვეყნეთ "ილორში". დღეს ბატონი ამბროსი ფაილოძის სტატია ბევრად უფრი აქტუალურია, რადგან სააკაშვილის სომხურმა გარემოცვამ ლამის იმის მტკიცება დაიწყოს, რომ დავით აღმაშენებლის დედა სომეხი იყოო. თანაც, იმის ფონზე, რომ კვლავ გამოჩნდნენ ადამიანები, ვინც სეპარატიზმში სდებენ ბრალს სამეგრელოს, გვინდა კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველებს თუ ვინ იყო გიორგი ჭყონდიდელი და, ამავე დროს, კიდევ ერთხელ გადავუხადოთ დიდი მადლობა ამ წერილის ავტორს ბატონ ამბროსი ფაილოძეს, რომელმაც დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ჭეშმარიტი გმირების წარმოსაჩენად.

როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, დავით აღმაშენებელს საერთო პოლიტიკურ საქმიანობაში, გარს ეხვია სახელმწიფო მოღვაწეთა მთელი დასი: **„არსენ ბერი (ფიქრობენ იგივე არსენ იყალთოელი), იოანე ტარიჭის ძე, ფილოსოფოსი, იოანე პეტრიწი, ფილოსოფოსი, დემეტრე მეფის ძე და მომავალში საქართველოს მეფე. სხვაც არაერთი, მაგრამ ამათში განსაკუთრებით ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა სამეფოს ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი გიორგი, იმდროინდელი საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ამ ტერმინს დიდი ხანია ხმარობენ ქართველი ისტორიკოსები“.**

ერისათვის ლეგენდარული პიროვნება – სასულიერო, საერო და სახელმწიფო – პოლიტიკური მოღვაწე, ჩვენი ბედკრული საქართველოსა და მისი საწყსოს და მამულის ერთ-ერთი მეფე და საჭეთმპყრობელი, გიორგი ჭყონდიდელი, მოღვაწეობდა ჭყონდიდ-მარტვილში 1090-1118 წლებში.

გიორგი ჭყონდიდელს, როგორც საქართველოს მეფეთ-მეფის – დავით აღმაშენებლის აღმზრდელისა და მასწავლებლის, ვაზირთუპირველესისა და მწიგნობართუხუცესის, მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან დაკავშირებით უპირველეს ავთენტიკურ წყაროებს წარმოადგენენ ჩვენი ერის მემატიანე **„ქართლის ცხოვრება“,** თედო ჟორდანიას **„ქრონიკები“,** ქართული მწერლობის კლასიკოსის ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ორიგინალური

ტეტრალოგია **„დავით აღმაშენებელი“**, პროფესორების – შოთა ბადრიძის და ილია ანთელავას მიერ გამოქვეყნებული საყურადღებო მონოგრაფიები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ უდიდესი პიროვნებისა და მამულიშვილის შესწავლის თვალსაზრისით.

მაინც ვინ იყო გიორგი ჭყონდიდელი?

– აი, მთავარი საკითხი, რომელზედაც ნათელ წარმოდგენას იძლევა გამოჩენილი ისტორიკოსის – თედო ჟორდანიას **„ქრონიკები“**.

თედო ჟორდანია აღნიშნავს, რომ მეფური დამარხვა გიორგისა გელათს მეფეთა სამარხავში, ჰბადავს აზრს, რომ გიორგი უნდა ყოფილიყო ნათესავი მეფისა. ამ აზრს თითქმის ამოწმებს ფრაზა მემატიანესი **„ზედამხედველად საქმეთა მანდაურთა (შარავანისათა“) აჩინა (მეფემან) მწიგნობართუხუცესი თვისი სვიმონ ჭყონდიდელი, მაშინ ბედიელ-ალავერდელი მიმსგავსებული გიორგის დედის ძმისა თვისისა (მეფისა თუ სიმონისა?) უკანასკნელი სიტყვა თვისისა“,– „მისისას“ მაგიერ აზრს ჰბადავს, რომ გიორგი ყოფილა დედის ძმა დავით აღმაშენებლისა და ამ მეფის თვითსტომობით შეიძლება აიხსნას ის დიდი გავლენა, რომელიც ჰქონდა გიორგის და სვიმონ ჭყონდიდელთა მაშინდელ ცხოვრებაში“.**

ჟორდანიას ამ აზრს იზიარებს მარტვილის მუზეუმის დამაარსებელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გივი ელიავა, თავის ცნობილ ბროშურაში **„ვინ იყო გიორგი ჭყონდიდელი?“** ისმება კითხვა, როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა მაშინდელი საქართველო? – ფაქტია, რომ იმ ეპოქის საქართველოს მძიმე დღეები დაუდგა.

პროფ. კ. გრიგოლია აღნიშნავს, რომ 1089 წელს, საქართველოში უზვეულო ამბავი მოხდა. გიორგი მეორე გადადგა და სამეფო ტახტი თავის ჭაბუკ შვილს, 16 წლის დავითს დაუთმო.

საქართველოს ისტორიის ცნობილი მკვლევარები – აკად. მარიამ ლორთქიფანიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. შოთა მესხია, პროფესორები ვიქტორ გუჩუა და ნოდარ ასათიანი მიიჩნევენ, რომ იმ პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენები და პროცესები, რომელსაც გიორგი II-ის ტახტიდან იძულებით გადადგომა (აბდიკაცია) მოჰყვა, იყო პოლიტიკური გადატრიალება საქართველოს სამეფო კარზე.

იმ პერიოდის საქართველო დაუძლურებული და დაქუცმაცებული იყო. როგორც პროფ. შ. მესხია თავის კაპიტალურ შრომაში – **„ძლევაი საკვირველი“** აღნიშნავს, ასეთ პირობებში საქართველოს სამეფო ტახტზე ასვლას დავითის ისტორიკოსი ადარებს **„მაცოცხლებელი ნიავის“** მობერვას და უკუნ სიბნელეში ქვეყნის მანათობელი **„მზის აღმოცისკრებას“.**

ახალგაზრდა ხელისუფალს სწორედ ამ დროს ესაჭიროებოდა თანადგომა და მხარდაჭერა იმისათვის, რათა საქართველო ერთიანი, მძლავრი პოლიტიკური სახელმწიფო რომ გამხდარიყო. ეს უდიდესი მისია იკისრა მისმა აღმზრდელმა გიორგი ჭყონდიდელმა, რომელმაც, როგორც ძველი ლათინელები იტყოდნენ იკისრა „pater patriae“-ს – მამულის მამის როლი.

განუზომელია გიორგი ჭყონდიდელის ღვაწლი და დამსახურება ბედკრული საქართველოს წინაშე. როგორც მრავალმხრივმა და მაღალინტელექტუალურმა სახელმწიფო, საეკლესიო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, გიორგი ჭყონდიდელმა თავის აღზრდილთან დავით აღმაშენებელთან ერთად, შექმნა ქართული ცენტრალიზირებული ტიპის მონარქიული სახელმწიფო. ეს ხანა აღზევების ხანა იყო საქართველოსათვის. იმდროინდელი საქართველოს ბიძა-დისწულის ეპოქა ოქროს ხანოვანი ეპოქის სახელწოდებით შევიდა საქართველოს ისტორიაში.

როდესაც საქართველოში შექმნილი იყო მძიმე პოლიტიკური სიტუაცია, ერისათვის სწორედ ამ მძიმე ჟამს, როგორც ქართული პროზის დიდოსტატი კ. გამსახურდია აღნიშნავს ტეტრალოგია **„დავით აღმაშენებელში“,**

გიორგი ჭყონდიდელმა შეკრიბა დარბაზი, მეფე გიორგის ნებართვით და დარბაზის ერთა დაადგინეს მეფედ კურთხევა დავითისა და წინასწარ განსაზღვრეს მისი მომავალი ტიტულიც. **„აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე“.**

მამულისა და მეფის მამის – გიორგი ჭყონდიდელისა და მისი აღზრდილის დავით აღმაშენებლის მიერ ერთიანი ქართული ცენტრალიზებული მონარქიული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება განაპირობა მათ მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა (სამხედრო, სასამართლო, საეკლესიო, განათლებისა და კულტურის, ეკონომიკის სფეროში) და მართვის გონივრულმა სტილმა, კანონის უზენაესობამ.

სწორედ ასეთი პრინციპული პოლიტიკის განხორციელების შედეგად, ქვეყნიდან ალაგმულ იქნენ ის ოპოზიციონერები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ქვეყნის წინსვლასა და განვითარებას.

გიორგი ჭყონდიდელის უდიდეს დამსახურებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეადგენს ისიც, რომ დავით აღმაშენებელთან ერთად, ბრწყინვალე **„დუუმვირატმა“** ანუ პოლიტიკურმა ტანდემმა ბიძა-დისწულის სახით, შექმნა ქართული მონარქიული ტიპის სახელმწიფო, რომელიც თავისი არსით, ფეოდალური ტიპის სახელმწიფო იყო.

პოლიტოლოგიურ მეცნიერებაში დომინირებს ის აზრი, რომ მონარქია სახელმწიფო მმართველობის ფორმას წარმოადგენს.

მეფეთ-მეფის – დავით აღმაშენებლის აზრით, მონარქი უნდა იყოს განათლებული, ჰუმანისტი, მართლმსაჯული, ქველმოქმედი და ქვეშევრდომთა მოწყალე. ისინი, როგორც საქართველოზე უზომოდ შეყვარებულნი, მფარველობდნენ ქვრივ-ობლებსა და გლახაკებს.

ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა და ფიქრი იყო, გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის უპირველესი კრედო. ბრძენი მონარქის თვალსაწიერში ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება იყო. მონარქიის, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმის შესახებ, თავისი მოსაზრება გამოთქვა ანტიკური სამყაროს უდიდესმა მოაზროვნემ, აკადემიის პირველმა დამაარსებელმა, ბრძენმა ელადელმა, ფილოსოფოსმა პლატონმა. იგი ბრძანებდა: **„ბრძენი მონარქი სჯობია, ვიდრე ბევრი ადამიანის შეჯერებული ჭკუა“**-ო.

სახელმწიფო მართვის პროცესში, მონარქი დაახლოვებული უნდა იყოს ხალხთან, უნდა ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. სწორედ აქ, ჩვენი აზრით, გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობაში, ჩანასახის სახით შეინიშნება პოლიტოლოგიის, როგორც განსაკუთრებული მეცნიერების საწყისები. ეს აზრი შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელისუფალი, სახელმწიფო და საზოგადოება, ურთიერთთანამშრომლობის პრინციპით უნდა მოქმედებდნენ. არა 2 საუკუნის წინანდელი ოკეანეგაღმელები არიან პოლიტოლოგიის, როგორც განსაკუთრებული მეცნიერების შემოქმედნი, არამედ გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის საქართველოში უნდა ვეძებოთ მისი ფესვები და ვიმეორებ – არა იანკებთან.

ცნობილ რომაელ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, ფილოსოფოსს, მწერალსადა დიდ ორატორს – მარკუს ტულიუს ციცერონს ეკუთვნის გამოთქმა, რომელიც ლათინურად ამდაგვარად ჟღერს: „Salus populi suprema lex (est)“– **“ხალხის კეთილდღეობა უზენაესი კანონია“**-ო. დიახ, მარად გაუხუნარი და ყავლგაუსვლელია გენიალური მოაზროვნის ეს სენტენცია.

გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის ალტრუიზმმა განაპირობა მათი პოპულარობა ხალხში. (თუმცა ურჩების მიმართ დავით მეფე შეუწყნარებელი იყო). **„მმართველი უნდა იყოს კეთილი“**-ო, **„მაგრამ თუ ხალხში არ იქნება ნდობა მთავრისა, ვერ გადარჩება ის ქვეყანა ვერანაირად“**-ო. ეს სიტყვები ეკუთვნის დიდ ჩინელ მოაზროვნეს კონფუცის. დიახ! – გიორგი ჭყონდიდელსა და დავით აღმაშენებელს, როგორც ხალხის უანგარო მზრუნველებს, მათი სწორი პრინციპული პოლიტიკიდან გამომდინარე ხალხი ენდობოდა, როგორც კეთილ მმართველებს. ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ბიძა-დისწულის უპირველეს მრწამსს. სავსებით სამართლიანად აღნიშნავენ პროფესორები – იგორ კვესელავა, ვაჟა შუბითიძე და აწ განსვენებული ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი, პროფესორი ვლადიმერ ჭანუყვაძე: **„მთელს საქართველოში დადიოდა ხალხზე და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მეფე, მფარველობდა ქვრივ-ობლებსა და გლახაკებს. ცალკე ქისა ჰქონდა დავითს, ყოველ დღე ფულით ავსებდა და ღარიბ-ღატაკებს ურიგებდა თურმე. საყურადღებოა ისიც, რომ, იგი ქველმოქმედებას სახელმწიფო ხაზინიდან კი არ ეწეოდა ზოგიერთებივით, არამედ ხელთა მისთა ნადირებულთა“.** განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი ჭყონდიდელისა და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა, როგორც სახელისუფლებო, ისე საეკლესიო მოღვაწეთა ალაგმვის პროცესში. მას შემდეგ, რაც ალაგმეს როგორც საეკლესიო, ისე სახელისუფლებო მოღვაწენი, 1103 წელს, თავის მომხრეთა დასის წყალობით, როგორც აკად. მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ ჩატარებული დიდი სამზადისის შემდეგ, განახორციელა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევა, რომლის მიზანი იყო ეკლესიაში მოკალათებული მეფის მოწინააღმდეგე დასის განდევნა და უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე მეფის ცენტრალური პოლიტიკის მომხრეთა დანიშვნა-აღზევება.

რუის-ურბნისის კრების მომზადების პროცესში, დავით IV-ს მხარში ამოუდგა გიორგი მწიგნობართუხუცესი, რომელსაც ამ საეკლესიო კრების **„ძეგლის წერა“** კრების თვალს უწოდებს.

დავითის ისტორიკოსი ახასიათებს რა გიორგი ჭყონდიდელს, წერს: იგი იყო **„კაცი სრული ყოვლითა, სიკეთითა სულისა და ხორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, განმზრახნი, სვიანი და ფრთხილი, თანაადზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგამკაფველი ყოველთა გზათა საქმეთა და ღუაწლთა მისთა“.**

ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფე, აკად. ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ამ კრების (რუის-ურბნისი) მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიუღია და მის ნაყოფიერებისა და **წარმატებისათვის თავის მსჯელობითა და საბუთიანობით საუკეთესოდ ხელი შეუწყვია საქართველოს მაშინდელ მწიგნობართუხუცესსა და დავით აღმაშენებლის გაბედულ სახელმწიფოებრივი და კულტურული მოღვაწეობის თანამზრახველსა და დაუღალავ მონაწილეს.**

გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა ღვაწლი იმდენად დიდი ყოფილა, ვითარცა თუალად წმიდისა ამისა კრებისა ცნობილთათვის. კრებას ძეგლისწერაში მისი მრავალჟამიერობაც შეუტანია“.

გიორგი ჭყონდიდელის, როგორც მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთუპირველესის იდეები საფუძვლად დაედო დავით IV აღმაშენებლის მოღვაწეობას, რომელმაც მოიგო რა დიდგორის ომი, საქართველო განავრცო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.

მეფის მოძღვარი, მეფის მამა, მამულის მამა – ასეთად შემორჩა გიორგი ჭყონდიდელი საქართველოს ისტორიას, რომლის გარდაცვალების შესახებ **„ქართლის ცხოვრება“** წერს: **“ოვსეთს ყოფასა 1118 წელს მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი, რომელიც მისმა აღმზრდელმა დავით მეფემ 40 დღის განმავლობაში იგლოვა“.**

ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია ისიც, რომ გიორგი ჭყონდიდელი მეფემ დიდი პატივით დაკრძალა. სათანადო წყაროები გვაუწყებენ იმასაც, რომ იგი თავდაპირველად დაასაფლავეს შიო-მღვიმის მონასტრის სავანეში, შემდეგ გადმოასვენეს გელათის მონასტრის სავანეში.

ჭყონდიდელის სახელი, როგორც დიდი რეფორმატორის, დიდი მოძღვრისა და სახელმწიფო მოღვაწისა, დავიწყებას არასოდეს მიეცემა. ქართველი ერის ცნობიერებას გიორგი ჭყონდიდელი, პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, შემორჩა როგორც **„უკვდავების ბინადარი“.**

ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა წმინდანთა დასში შერაცხა დავით აღმაშენებლის მოძღვარი გიორგი ჭყონდიდელი.

წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის მოძღვრის – გიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღედ მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომამ დაადგინა 12 სექტემბერი (ძვ. სტილით), 25 სექტემბერი – ახალი სტილით. ამრიგად, გიორგი ჭყონდიდელი და დავით აღმაშენებელი, რომლებმაც შექმნეს ჭეშმარიტად ქართული სახელმწიფო, ისტორიას შემორჩნენ, როგორც ქართული სახელმწიფოს იდეოლოგები.

საქართველოს მეფეთ-მეფის – დავით აღმაშენებლის აღმზრდელი, ვაზირთუპირველესი, მწიგნობართუხუცესი და მეფის მთავრობის პრემიერ-მინისტრი გიორგი ჭყონდიდელი, მისი აღზრდილი მეფის შესახებ წერდა: **“დავით აღმაშენებელმა არა მარტო საქართველოს სახელმწიფო შექმნა, არამედ ქართველი კაცი, კაცი – ქართველი, რომელმაც შემდგომ შეიცნო თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და ეროვნული ღირსება“.**

აი, ასეთი ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნული ღირსების მქონე სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები მესიად მოვლინებოდა ჩვენს მრავალსაუკუნოვან და ბევრი ჭირ-ვარამ გამოვლილ ქართველ ერს.

ამბროსი ფაილოძე,
მარტვილი

ჩვენი აზრით, „დავით-გარეჯის“ გარშემო შექმნილი პრობლემა, საქართველოს გამყიდველი მთავრობის პროვოცირებულია!

(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

მოსალოდნელი **„დიდი სიხარულის ხმების“** გაფრთხილება სჭირდება, რადგან – **იმ ხალხის ფეხისსმას, ვინაც ეს სიხარული უნდა მოუტანოს ქართველ ერს – ეკლესია-მონასტრების ნბრევის ხმა, ქართული ეროვნული იდეის და მთავრობის დამაქცევარი ხალხის ფეხის ხმაც ახლავს, რომელიც ჩვენთვის ადვილად საცნობია და სწორედ მათ გამოვასწარით საქართველოდან!**

მოსალოდნელი **„სიხარულის მომტანს“** ათასი თვალი და ყური სჭირდება, რომ ფრთხილად იყოს და მიმდინარე პროცესები აკონტროლოს, რომ სწორად განსჭვრიტოს, როგორც დიდი ეროსი მანჯგალაძე იტყოდა – **თუ რას მოგვიტანს დარჩენილი დრო!**

დრო მართლაც ცოტა, მაგრამ საშიში რჩება, რადგან მხოლოდ ორი შემთხვევა – **„აზიზიეს მეჩეთის“** და **„დავით-გარეჯის“** პრობლემის პროვოცირება კმარა, მივხვდეთ და დავრწმუნდეთ, თუ რა ბინძურ ძალასთან და სივერაგესთან გვაქვს საქმე!

ბატონო როლანდ, ჩვენ დიდი ხნის წასულები ვართ **„ღვთისმშობლის წილხვედრ“** სამშობლო საქართველოდან, მაგრამ იგი არასოდეს მიგვიტოვებია!

თუ ამ წერილს მნიშვნელოვნად მიიჩნევთ და გამოაქვეყნებთ თქვენს **„ილორში“**, მას ჩავთვლით სამშობლოსათვის დაღვრილ – **ცრემლად გასაჭირისად და ცრემლად სიხარულისად!**

ვასილ ხომერიკი,
გივი შავიშვილი
ბელგია-გერმანია

P.S. გვახსენდება, ერთხელ, უცხოეთში გახიზნულ ქართველთა შეკრებაზე, საქართველოდან ჩამოსულმა სტუმარმა თქვა – **ძალიანაც რომ გინდოდეს ამ მთავრობის დაცვა, ისინი, იოტისოდენა შანსს არ მოგცემენ ამისათვის, რადგან ღალატის ისეთი ფორმები აქვთ არსენალში, სატანასაც კი დაბურძგლავს ტანში მათი გაფიქრებაო!**

გადამეტებული გვეჩვენა, მაშინ სტუმრის ნათქვამი და მახსოვს, ნაწყენი წავიდა ჩვენგან. ის კი გვითხრა:

„თქვენ ისე მოგდით, ბრძენს რომ უთქვამს – კაცი ომიდან დაბრუნდა და ომის ამბებს ცოლი უყვებოდაო!“

ეს წერილი რომ გავასრულეთ, იგი რამდენიმე ჩვენსავით სამშობლოზე გულდამწვარ ქართველს წავაკითხეთ – ხომ არაფერი გადავამეტეთო!

დასწყევლოს ღმერთმა, დასკვნის გაკეთება არ დაგვცალდა, კიდევ ერთხელ გამართლდა ზემოთნახსენები სტუმრის ნათქვამი: **„...ამათ, ღალატის ისეთი ფორმები აქვთ არსენალში, სატანასაც კი დაბურძგლავს ტანში მათი გაფიქრებაო!“** ის, რომ, არავითარ სახელმწიფო სტრატეგიას არ წარმოადგენს ქუთაისში ე.წ. ახალი, პარლამენტის შენობის მშენებლობა და იქ შემოდგომამდე, პარლამენტარებად წოდებული, რამდენიმე ათეული **ქვეჟინისდასაქცევ კანონთა ხმისმისაცემ-ღილაკისდამჭერთა** გადაყვანაც არ წარმოადგენს საქართველოს დასასრულს, ესეც ცხადია და ამასაც მოვესწრებ! მაგრამ, თვალნათლივ რომ აცხადდა **„ილორის“** გამუდმებული კიჟინა – **„სააკაშვილი, სომეხთა, გასული საუკუნის შუაწლებში გაცხადებულ ოცნებას ასრულებს – საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში გადაიტანონ და თბილისი სომხებს ჩაბარდეს აღმოსავლეთ საქართველოიანადო!“** ამას რას ვუშვრებით?!.

ზოგიერთ ქართველს, აქ უცხოეთში და საქართველოშიც, გადამეტებულად მოეჩვენა **„ილორის“** და მისი მთავარი რედაქტორის განგაში. იშვიათი შემთხვევის გარდა არავინ გამოეხმაურა მას. ე.წ. ისტორიკოსებმა ყურიც კი არ ათხოვეს ქვეყნის დაქცევის საშიშროებით გამოწვეულ მოთქმას და ასე დავდექით **„სატანის გასაკვირი ფაქტების წინაშე“:**

– თბილისში, ყოფილი მერიის უნიკალური შენობა, ლენინის მოედანზე (ჩვენ არაფერი გვეშლება, სახელწყეული შევარდნაძის მეორედ მობრუნებიდან – 1992 წლიდან დღემდე, იგი განახლებული ლენინის მოედანია!) სომხებს მიჰყიდეს!

– პარლამენტის შენობის გახსნაზე საქართველოს ჰიმნი სომეხ მომღერალს ამღერეს!

როგორც იტყვიან – სომეხმა სააკაშვილმა და სომხებმა **„ლაიფში“** გვიმღერეს ქართველებს **„სომხური სიმღერა“!**

ნაცები და მათი მიმდევრები რომ შუბლზე კამეჩის ტყავგადაკრულები არიან და ყველაფერს დაიმშვენებენ და იკადრებენ, ჩვენი მოგონილი არ არის!

ამიტომ, „**სომხოფობიაში**“ რომ არ დაგვადანაშაულონ, აქვე გვინდა მოგიყვეთ – **უიშვიათეს, გულისგასახარ ტელეგადაცემებს საქართველოდან, სატელიტზე ვადევნებთ თვალყურს. მათ შორის, ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, „ჯეოსტარი“ საგანგებოდ გამორჩეულია. შარშან, არცერთი ტური არ გამოგვიტოვებია და როცა მართლაც ნიჭიერი (უამრავ, მასავით ნიჭიერ ქართველ გოგონათა შორის!) ანი ხანჩალიანიც გამოჩნდა, ერთხმად გადავწყვიტეთ მისთვის მიგვეცა ხმა.**

არ დავმალავთ – **სხვებს იგი სწორედ მისი სომხობის გამო ვამჯობინეთ!**

აქვე იმასაც განვმარტავთ – ამ ნაბიჯით, კიდევ ერთხელ ვცადეთ ისტორიულად, ფარულად თუ ღიად, მტრულად განწყობილი მეზობლისთვის დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენ მათი სიხარულიც გვახარებს!.. და – **ასე ახდა ნორჩი, ნიჭიერი სომეხი გოგონას ოცნებაც. არც მაყურებელი და არც მასზე არანაკლებ ნიჭიერი ქართველი გოგონები არ განაწყენებულან ამ გადაწყვეტილების გამო!**

...მივულოცეთ, ტაში და აპლოდისმენტები არ დავაკელით, მაგრამ, ისევ ქართველ ხელისუფალთა და ე.წ. „**ქუთაისის ზეიმის**“ ორგანიზატორთა უგუნურმა საქციელმა წეალში ჩაგვიყარა ჩვენი დიდსულოვნება, როცა – **ბრძნული „შეიფერე და გაჩერდის“ ნაცვლად, საქართველოს თავისუფლების დღეს, იმ ერის შვილს ამღერა საქართველოს ჰიმნი, რომელმა ერმაც, თითქმის საუკუნის წინ, ორი კვირის თავისუფლებამოპოვებულ საქართველოს ომი გამოუცხადა!**

ერთი წუთით წარმოიდგინეთ – **სომხეთში რომ ცხოვრობდეს ანი ხანჩალიანის დონის კი არა, ცოცხალი ქართველი „კარუზო“, ვინმეს თუ მოუვიდოდა თავში, სომხეთის თავისუფლების დღეს, ამ ქვეყნის ჰიმნი ემღერა?!.**

ქვეყნის კი არა, სოფლის კლუბის სცენაზე არ აუშვებდნენ მას!

არაფერ შუაშია აქ ანი ხანჩალიანი – **ჩვენ მომავალშიც სიამოვნებით მოვუსმენთ ანის საამო ხმას, მის სიმღერებს მშობლიურ სომხურ ენაზე და ქართულადაც, მაგრამ ქვეყნის ხელისუფალს და მის გარშემო მოგროვილ საპარლამენტო და სამთავრობო ჯოგს იმდენი ჭკუა და წინდახედულობა უნდა ჰქონდეს, რომ ისედაც დაძაბული ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან, შიდაპრობლემადაც არ აქციოს!**

ჩვენო თანამემამულენო – **რისთვის და რატომ კეთდება ყველაფერი ეს? ხალხის და ქვეყნის აბუჩად ასაგდებად ხომ არა?!. თუ, საპარლამენტო არჩევნებზე მოსალოდნელი კატასტროფის წინ ქვეყნის ასარევად? იქნებ თქვენ მეტი იცით? თუ ასეა, მაშინ ჩვენც შეგვატყობინეთ!**

ჩვენ თუ გვკითხავთ, სწორედ ასეთი დამოკიდებულების შედეგია მტრადმოკიდებული რუსეთი, რომელმაც, რომ მოინდომოს, მაშინ გაგვსრისავს, როცა მოეწადინება! ამერიკელების და ევროპელების ფუყე იმედად დარჩენამ, კარგად გვახსოვს, საქართველოს – **ჩასვრილი უკანალის ჩასაბანი წყალი და პამპერსები ჩამოუტანა, სამხედრო გემებით, ბათუმის პორტში, 2008 წელს!**

როგორც ვხედავთ, სამთავრობო ღალატს ბოლო არ უჩანს!

ამიტომაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ – **ვიდრე სააკაშვილი და მისი, ქვეყნის დამაქცევრები გადაშენდებოდნენ, საგანგებოდ უნდა გავუფრთხილდეთ „დარჩენილ დროს“, რადგან იგი მცირე, მაგრამ, უაღრესად საშიშია ჩვენი ქვეყნის მომავლისთვის!**

ფონდ „ქომაგის“ განცხადება

როგორც საქინფორმს ფონდი **„ქომაგიდან“** აცნობეს, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი **„ქომაგის“** აქტიურობა უყურადღებოდ არ დარჩენია ხელისუფლებას. **„კონტროლის პალატისა და ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა სოლიდარობისა და ქველმოქმედების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები, რაც ფონდი „ქომაგის“ წინააღმდეგ დაწყებულ გააფთრებულ ბრძოლაში გამოიხატა. კონტროლის პალატის მიერ ფონდის საბანკო ანგარიშის დაყადაღების სურვილი, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ ინტერნეტის საშუალებითაა გაცხადებული, ამისი ნათელი დადასტურებაა“,** – ნათქვამია განცხადებაში.

თუმცა ფონდი ამთავითვე აცხადებს, რომ არ აპირებს შეგუებას ასეთ უსამართლობასა და უკანონობასთან და აუცილებლად გაასაჩივრებს ანგარიშის დაყადაღების გადაწყვეტილებას, თუკი ასეთს რეალურად ექნება ადგილი.

ამასთან, ფონდი **„ქომაგი“** აცნობებს საზოგადოებას, რომ ის აგრძელებს თავის საქმიანობას, რაც ამ ეტაპზე დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების მიღებასა და თითოეული შემთხვევის დეტალურ შესწავლაში გამოიხატება. მათთვის, ვისაც მიაჩნია, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლია, ფონდის კარი ღიაა ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 18 საათამდე.

შეგახსენებთ, **„ქომაგი“** პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულებს, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილებს, უსამართლოდ დაპატიმრებულებს უცხადებს მხარდაჭერას.

სატანის გზაზე შემდგარი...

ძვირფასო მკითხველო, გახსოვთ ალბათ ჩემს მიერ გულისტკივილით დაწერილი სტატია **“მართლა ანაფორა უნდა დაახიო თავზე ამ კალისტრატეს”**, რომელშიც მხილებული იყო ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსის კალისტრატეს უკეთური საქმეები. მაგრამ ის, რაც ახლახან წავიკითხე გაზეთში **“ახალი თაობა”**, მართლაც სცილდება საერო თუ სასულიერო ყოფის ყოველგვარ ტაქტს და სატანის ჯოჯოხეთიდან მოთქმას უფრო გვაგონებს, ვიდრე სულიერი მოძღვრის თვალსაზრისს. წმინდანისათვის შეურაცხყოფის მიყენებას ჩვენ სხვა აღმსარებლობის ადამიანებსაც კი არ ვპატიობთ, აქ კი, მართლაც დაუჯერებელია, რომ მართლმადიდებელმა ეპისკოპოსმა უდიერად მოიხსენიოს გაბრიელ ბერის სახელი, რომლის საფლავი სათაყვანებელ ადგილადაა ქცეული ქართული საქრისტიანოსათვის.

საქმე შემდეგშია. ქუთაისელმა ჟურნალისტმა, ქალბატონმა დალი ბარაბაძემ გაზეთ **“ქრონიკის”** ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძესთან ინტერვიუში განაცხადა იმის თაობაზე, რომ მეუფე კალისტრატემ უშვერი სიტყვებით გალანძღა გაბრიელ ბერი. როცა ქუთაისში ცნობილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ილია ვეკუას შვილთაშვილი – იაკობ ვეკუა ჩასულა, რომელიც ბერი გაბრიელის ცხოვრებაზე წიგნს სწერდა, მას სურდა, რომ წიგნში მეუფე კალისტრატეს მოგონებებიც ჩაერთო გაბრიელზე. ეს წესიერი ადამიანი გაოგნებული დარჩა თურმე კალისტრატეს პასუხით: **“მაგაზე რა უნდა დაწერო, გაბრიელ ბერი ერთი გამოშტერებული ლოთი იყო, რომელსაც მე ვაძლევდი დასალევ ფულს”**-ო. მაგრამ ქალბატონ დალის ინტერვიუში ერთი ფრიად საინტერესო მომენტიც არის, რომელიც სრულად უნდა დავიმოწმოთ:

“გადაწყვეტილი მქონდა (კალისტრატეს – გაზ. **“ილორი”), დამეტოვებინა ეპარქია და წავსულიყავი აქედან, მაგრამ ეს გავიფიქრე თუ არა, მაშინვე მთელ უბანში ძაღლებმა საშინელი ყეფა ატეხეს და მივხვდი, რომ ეს ნიშანი იყო, მსგავსი ნაბიჯი არ გადამედგა და ამიტომაც გადავიფიქრეო.**

– აკი თეთრებში შემოსილი ჭაბუკი გამომეცხადა და იმან დამიშალა წასვლაო!.. ჩვენ ასე არ გვეწერა?

– კი... მაგრამ, ეტყობა, როგორც ჩანს, პარალელურად ძაღლებიც აყეფდნენ... (იცინის) გაოგნებული ვარ, დიტო!.. ესე იგი, გამოდის, რომ ამ კაცმა წმინდა წერილების მართლა არაფერი იცის. ბიბლიაში ძაღლი მიჩნეულია უწმინდურ არსებად (მაგალითად, თუ ძაღლი ეკლესიაში შევა, იგი მთლიანად უნდა გამოილოცოს – **“ილორი”) და როგორ შეიძლება, რომ ძაღლის პირით, მაპატიე უფალო და, უფალმა რამე განიშნოს?!’**

მოკლედ, კალისტრატეჯ, შენიგე სიტყვებით რომ ვთქვათ, ძაღლების სულიერი მოძღვარი ყოფილხარ და, ვერ გაგვიგია, ადამიანებთან რა ხელი გაქვს?

ეს ის კალისტრატე გახლავთ, რომელიც ადრე კახეთის ერთერთ ღვინის ქარხანაში მეღვინედ მუშაობდა, შემდეგ კი ჩათვალა, რომ ეკლესიაში მოღვაწეობა ბევრად უფრო სარფიანი საქმე იქნებოდა და, ალბათ ხელისუფლებასთან ლაქუცით მიაღწია ეპისკოპოსობას.

ეს ის კალისტრატე გახლავთ, რომელიც მლიქვნელური კრუსუნით ურბენდა გარს ღვინისა თუ ნარკოტიკებისაგან გამობრუჟულ სააკაშვილს და უმტკიცებდა **“შენ ჩვენი აღმაშენებელი ხარ”**-ო. კიდევ ერთხელ მოვიხდი ბოდიშს ჩვენი მკითხველის წინაშე, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ სწორედ ამის შემდეგ შევურჩიეთ ამ მართლაც სატანის მოციქულს მეტსახელად **“პარისტრაკე”**. სხვაგვარად როგორ უნდა მოვიხსენიოთ გაბრიელ ბერის წმინდა სახელის განმქიქებელი არაკაცი?!

საინტერესოა, ასეთი უზნეო არსება სად იშვა და აღიზარდა, არაფრის რომ არ სცხვენია და ქვეყნის დამანგრეველს რომ აღმაშენებლად მოიხსენიებს.

მეღვინეებთან სიყრმის წლებიდან ვმეგობრობ და ვიცი, რომ ისინი ღირსეული ადამიანები არიან. ამიტომ, სერიოზული ეჭვი მიჩნდება, რომ მეღვინეებმა კალისტრატე თავისი უღირსი პოზიციების გამო თავიანთი რიგებიდან გააძევეს და მხოლოდ ამის შემდეგ, დაჩაგრული და დათრგუნული ადამიანის მანტიამოსხმულმა მიაშურა ეკლესიას.

ახლა კი, როცა თბილისის მოძულე სააკაშვილმა პარლამენტი ქუთაისში გადაიტანა, კარისტრაკეს ალბათ იმის იმედი გაუჩნდა, რომ საპატრიარქოც ქუთაისში გადავა და იგიც რაიმე ახალ საკბილოს გამოჰკრავს ხელს! ამიტომაც ემლიქვნელება ასეთი მონდომებით საქართველოს დამაქცევარ ხელისუფალს.

მაგრამ, ვერ მოესწრები, რადგან თქვენნაირი არაკაცების დღეები უკვე დათვლილია და საქართველო მალე დაიხსნის თავს სატანის კლანჭებისაგან!

ჯოჯოხეთია თქვენი სამფლობელო და მალე აღმოჩნდებით იქ, მანამდე კი ალბათ კვლავ მეღვინედ მოგიწევს მუშაობა, მაგრამ შენი დაყენებული ღვინო ნამდვილად არ იქნება ელიქსირი, რადგან ღვინო ქრისტეს სისხლია, შენ კი მხოლოდ სამსალის დამზადება ძალგიძს!!

კალისტრატე უბედურო, შენ იმდენად ბნელი და უმეცარი ადამიანი ხარ, რომ შენთვის არა მხოლოდ ბერი გაბრიელი, არამედ ფიროსმანი და გალაქტიონიც ლოთები იქნებიან, შესანიშნავ პოეტ არჩილ ფირცხალავაზე რომ აღარაფერი ვთქვა! მეღვინე მაინც არ ყოფილიყავი, რომელიც ვალდებულიცაა იცოდეს ამ სასმელის ღვთიური დანიშნულება.

გაბრიელ ბერი კი ალბათ იმიტომ ეტანებოდა ღვინოს, რომ შენნაირი სატანის მოციქულებისათვის ფხიზელი ადამიანის თვალით არ ეცქირა!

როლანდ ჯალაღანია,
“ფაზისი”-ს და “აია”-ს აკადემიების ნამდვილი წევრი

ვარჟაპეტ ცანცუნ-პრუწუნიანცის „წინასწარმეტყველება“

საკვირაო საკითხავი

ამ წერილის დაწერას არ ვაპირებდი, რომ არა ვარჟაპეტ ცანცუნ-პრუცუნიანი. მკითხველს გაუკვირდება და იკითხავს: ვინ არის ვარჟაპეტა? რა შუაშია ვარჟაპეტა? ცნობილი ჟარგონული გამოთქმისა არ იყოს: რა შუაშია კი არა, თავშია! ამიტომ, მოდით, ყველაფერს თავიდან დავიწყებ.

ეს ამბავი დაახლოებით 35 წლის წინ მოხდა. ჯარიდან ახალი ჩამოსული ვარ. ერევნის **„არარატი“** თბილისის **„დინამოს“** მასპინძლობს. მაშინ მგზავრობა არ ჭირდა, რამდენიმე საათში მსოფლიოს 1/6 ნაწილში ნებისმიერ ადგილას მოხვედრილიყავი. ერევანი ხომ აქვეა, წავალ, ფეხბურთს ვნახავ, თან ჯარის მეგობრებს: გრაჩიკ მკრტიჩიანს, ედიკ გინოსიანს, ლიოვა მალხასიანს და სამველ არაქელიანს მოვინახულებმეთქი. წავედი.

ბიჭებს ჩემი ჩასვლა ძალიან გაუხარდათ.

ლიოვამ მითხრა:

– სიურპრიზს გიმზადებთ.

– რა სიურპრიზს? – გავიკვირვე.

– ვარჟაპეტა უნდა გაგაცნოთ.

– ვინ არის ვარჟაპეტა?

– ჩვენი მოძღვარია.

– მერე, განა ეს სიურპრიზია?

– ვარჟაპეტა ფილოსოფოსიც არის, ისტორიკოსიც, არქეოლოგიც და წინასწარმეტყველიც.

– მერე?

– ვარზგენას ძალიან უყვარს, მისი მარჯვენა ხელია.

მხრები ავიჩეჩე.

– ეგ კარგი, მაგრამ სიურპრიზი?

– სიურპრიზი ის არის, რომ ჩვენი ვარჟაპეტა რამდენიმე ხანი სოხუმში ცხოვრობდა და მეგრული იცის.

– ოო, ეგ კი ნამდვილი სიურპრიზია!.. – გამიხარდა და მოუთმენლად ველოდებოდი მასთან შეხვედრას.

მალე ისიც მოვიდა მეგრულად მომესალმა. პატარა წახემსების შემდეგ ედიკამ მანქანა დაქოქა და ეჩმიაძინისკენ დავიძარით.

სომეხი, მაშ, რისი სომეხია, თუ სომხეთი არ აქო და საქართველოს არ დასცინა. ჰოდა, ჩვენმა ფილოსოფოსმა ვარჟაპეტამ გუდას პირი მოხსნა და დაიწყო: ქართველებს ანბანი მესროპამ დაუწერაო, ტიგრანას დროს ჩვენი **„ველიკაია არმენია“** მსოფლიოს რომ აზანზარებდა, საქართველო საერთოდ არ არსებობდაო, ნოეს კიდობანში სულ სომხები ჰყავდა, სხვაგვარად არარატის მთას ვერ მიადგებოდაო, შოთა რუსთაველი – აშოთ რუსთავიანიაო, გიორგი სააკაძე – გევორქ სააკიანიო და ა. შ.

ეჩმიაძინში, ცხადია, გიდობა გაგვიწია. ეს რიფსიმეს და გაიანეს ტაძრებია, მასეთი თქვენთან არ არისო; ეს ვარზგენას რეზიდენციაა, მასეთი თქვენს ილიას არა აქვსო...

დაბრუნებისას რესტორანში შევიარეთ. ვარჟაპეტა აგრძელებს: თბილისი სომხების აშენებულიაო, სვანებს სომხური გვარები აქვთო; ეს თევზი, რომელსაც მიირთმევთ სევანური იშხანია, ასეთი გემრიელი თევზი თქვენთან არ არისო, ეს კაფანური ლიმონათი საუკეთესოა, თქვენს ლადიძის წყალს ჯობიაო; ერევნის კონიაკებზე – **„ერებუნი“** და **„ახტამარი“** – ხომ საუბარი ზედმეტია, მითუმეტეს თუ ხუთზვიოზდიანებია, მასეთი კონიაკი საქართველოში კი არა, მსოფლიოში არ არისო.

სამველამ შენიშვნაც მისცა:

– სტუმარს ნუ აწუხებო.

– არა, რას ვაწუხებ?! ერთსაც ვიტყვი და გაუხარდება, სომხები და მეგრელები ძმები არიანო!

– რანაირი ძმები არიან? – ვკითხე.

– თქვენ სომხური სიტყვები გაქვთო.

– რა სიტყვებია, აბა, მითხარი!

– გორდი და ჭანჯი. გორდი სომხურად და მეგრულად ბაყაყს ნიშნავს, ჭანჯი კი – ბუზს.

– მერე, რატომ გგონია, რომ ეგ სიტყვები სომხურია? ინებ მეგრულია?

– არა, სომხურიაო.

– მეგრულია.

– რითი ამტკიცებ?

– იმით ვამტკიცებ, რომ სომხებს ჭაობი არა გაქვთ, მეგრელებს კი გვაქვს. ბაყაყები და ბუზები კი ჭაობში ცხოვრობენ.

– ვაჟაპეტ! – მიმართა ედიკამ, – ყველაფერი ჩვენი ყოფილა და ამ საწყალ ქართველებს ბაყაყი და ბუზი მაინც დაუტოვე.

ყველას გაეცინა.

– კოღოც დამიტოვეთ, – ვთქვი მე, – კოღო!

– კოღო რატომ? – იკითხა ვარჟაპეტამ.

სომხურად კოღოს მაწაკი ჰქვია, მაწაკს კი ჩვენებურად მკბენარას ეძახიან, კოღო ხომ იკბინება?

ისევ სიცილი.

– კარგი, კარგი, კოღოც თქვენი იყოს, – ხელი ჩაიქნია ვარჟაპეტამ და განაგრძო, – ეხ, ყარსიო, ერზრუმიო, ვანის ტბაო... ეს ყველაფერი ხომ ჩვენიაო.

ოდნავ რომ შევთვერით, პატივცემულ ვარჟაპეტას მივმართე: ახლა მე მომისმინე-მეთქი და დავიწყე – ყარსი ქართული სიტყვაა, აყროლებულს ნიშნავს, სომეხი – მეხიან ადგილს, ერზურუმი წარმოებულია მეგრული სიტყვიდან: **„ერზუ“**, რაც ანთებულს ნიშნავს და **„რუმე“** – შებინდებას. სევანი სავანეა, ქართული სიტყვაა, ვანი ხომ უძველესი ქართული არქეოლოგიური ქალაქია (იმ დროს ზეზვა და მზია ნაპოვნი არ იყო, თორემ ვარჟაპეტა ჭკუიდან გადადგებოდა). ერევანი და ერებუნის წინსართი **„ერი“** ქართულია, ერევანი – ე. ი. ვანის ერი, ერებუნი – ერთიანადს ნიშნავს მეგრულად, არარატი – მზის ამოსვლას, დვინი – დამდგარ წყალს, არმავირი – ვირის ურემს, ეჩმიაძინიც მეგრული სიტყვაა-მეთქი!

– როგორ?! – თვალები გაუპილპილდა ვარჟაპეტას.

– როგორ და ჩვეულებრივად. **„ეჩ“** მეგრულად ოცს ნიშნავს, **„მიაძინ“** – მიუმატეს. ე. ი. ოცი მიუმატეო. ერევნიდან ეჩმიაძინამდე კი ზუსტად ოცი კილომეტრია.

ვარჟაპეტას ისე ჩაუვარდა ენა, რომ სტადიონზე, როცა მანუჩარ მაჩაიძემ გოლი გაიტანა (და ის თამაში მოვიგეთ) მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, შეიგინა, მერე, როგორ შეიგინა! სულ ქუნემ-ქუნემ ეძახა მეკარე ალიოშა აბრამიანს!.. მე დავაწყნარე: ეს აბარამიანი კი არა, აბრამია არის, წარმოშობით მეგრელი, უბრალოდ თქვენებურად „იანი“ აქვს დამატებული-მეთქი...

ჰოდა, მაშინ ღირსია შეგინებისო!..

დასაწყისში აღვნიშნე, ამ წერილის დაწერას არ ვაპირებდი-მეთქი, რომ არა ვარჟაპეტ ცანცურ-პრუცუნიანი... წარმოიდგინეთ სასწაული, 35 წლის შემდეგ, რამდენიმე საათით გაცნობილი ადამიანი, გუშინწინ ვარკეთილის მეტროსთან შემხვდა. დაჟინებით მიყურებდა. ერთმანეთს თვალები რომ გავუსწორეთ, მკითხა: – შენ ნარიმანი არა ხარ? სამველას, ლიოვას, ედიკას და გრაჩიკას ჯარის მეგობარი?!

– დიახ, მე გახლავარ-მეთქი.

ერთმანეთს დიდი მეგობრებივით გადავეხვიეთ.

ბიჭები მოვიკითხე. ლიოვა ყარაბახის ომში დაღუპულა. ძალიან მეწყინა.

ვარჟაპეტას თბილისელი რძალი ჰყოლია. სადღაც მიდიოდნენ, ძალიან ეჩქარებოდა, მაგრამ რამდენიმე წუთით მაინც შევედით კაფეში.

ვარჟაპეტამ თქვა: ნახევარმილიონიან ქალაქს რომ გიშენებენ, თქვენ გგონიათ იქ სომხებს დაასახლებენ? არავითარ შემთხვევაში ეს არ მოხდება! ტყუილად პანიკიორობთ ქართველები! მე ხომ წინასწარმეტყველი ვარ! რა უნდათ სომხებს ჭაობიან ლაზიკაში გორდებთან და ჭანჯებთან? აფხაზეთში არიან, ჟავახქი მათია, ბათუმშიც არიან, თბილისშიც... რა უნდათ ჭაობში?!. ჰო, ლაზიკაში თბილისელ მეგრელებს ჩაასახლებენ, კი იქნებიან ნახევარ მილიონიო.

რა თქმა უნდა ვარჟაპეტამ ეს სიტყვები ხუმრობით თქვა, მაგრამ მე რა მეხუმრება...

დამშვიდობების შემდეგ ნელა გავუყევი ჩემს გზას და ანაზდად ჩემი უფროსი მეგობრის, ცნობილი პუბლიცისტისა და მწერლის, დიდებული პიროვნების სერგი საჯაიას ნაამბობი გამახსენდა. ბატონ სერგის დედა ბერძენი ჰყავს. ახალგაზრდობისას მატარებელში შემთხვევით სამამულო ომის გმირი, არმიის გენერალი ბაგრამიანი გაუცვნია. გენერალს სერგი ბერძენი ეგონა, ვინაიდან გამცილებელ დეიდაშვილს ბერძნულად ელაპარაკებოდა. კუპეში ცალკე რომ დარჩნენ და მატარებელი დაიძრა, მწარედ უთქვამს: – ეს მეგრელები რომ არა, მთელი საქართველო ჩვენი იქნებოდაო.

ნარო კოლხელი
(ნარიმან იაშაღაშვილი)

ბადრი ტაბიძის ექიმის დასკვნა პოლიციელთა მიმართ ეჭვს კიდევ უფრო აღრმავებს

24 წლის ბადრი ტაბიძის გაურკვეველ ვითარებაში დაღუპვის მიზეზებთან დაკავშირებით მისი მკურნალი ექიმი, თანდილა ქარჩავა სკანდალურ განცხადებას აკეთებს. გარდაცვლილის ოჯახის ვარაუდს, რომ მათი შვილი პოლიციელებმა ცემეს და შემდეგ ქუჩაში დააგდეს, ექიმის განცხადება კიდევ უფრო აღრმავებს.

ბადრი ტაბიძე, არაფხიზელ მდგომარეობაში დეიდის სახლიდან 1 იანვარს გავიდა. იმავე დღეს მოგვიანებით, ის მრავლობითი დაზიანებებით ქუჩაში უგონო მდგომარეობაში იპოვეს.

ტაბიძე სამთვიანი მკურნალობის შედეგად გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მდგომარეობის მიუხედავად, მოულოდნელად ზუგდიდის წმინდა ლუკას სახელობის სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა.

ცენტრის ექიმ-ტრავმატოლოგი თანდილა ქარჩავა (ტაბიძის მიმღები ექიმი), tspress-ს ბადრი ტაბიძის ტრავმების წარმოშობის მიზეზებზე ესაუბრა:

– „ეს შეიძლება გამოიწვია დაცემამ, ავტოავარიამ ან ფიზიკურმა დაზიანებამ მეორე პირის მიერ. თუმცა, როგორც შემდგომ გავარკვიე, იქ სადაც ეს მოხდა არ ყოფილა ბეტონი, ქვა ან სხვა მძიმე საგანი. ასეთი ტრავმა რომ მოხდეს, უნდა იყოს ბეტონი ან რკინა. მას ქონდა ჭრილობა შუბლზე და საფეთქლის მოტეხილობა, ერთდროულად ასეთი ტრავმის მიღება არ ხდება,“ – ამბობს ტრავმატოლოგი თანდილა ქარჩავა.

ქარჩავას თქმით ბადრი ტაბიძეს სხეულის სხვადასხვა დაზიანებებიც აღენიშნებოდა. კერძოდ, თეძოს ძვლის მარჯვენა მხარეს მას ქონდა ნაჭდევი (დაჟეჟილობა) 4X4 სმ ზომით, მარჯვენა წვივზე განაკაწრი ჭრილობა და მარჯვენა მუხლის სახსრის უკანა ნაწილის ზედაპირის დაჟეჟილობა.

ის, თუ როგორ უნდა მიიღოს პირმა მუხლის სახსრის უკანა ნაწილის დაზიანება, ტრავმატოლოგისთვის გაურკვეველია.

– „თუ მოხდებოდა ასფალტზე დაცემა, მას ცხვირიც ექნებოდა მოტეხილი,“– ამბობს ქარჩავა.

დაცემის შემთხვევაში, სხეულის ამგვარი დაზიანებების მიღებას ტრავმატოლოგი შემდეგნაირად აღწერს:

– „თუ ის ჩავარდა თხრილში და მიიღო შუბლზე ჭრილობა, წამოდგებოდა და თუ იქ იყო ბეტონი და იმაზე დაეცა, ამას შეეძლო გამოეწვია საფეთქლის მოტეხვა. მხოლოდ და მხოლოდ ბეტონს შეეძლო ამის გამოწვევა,“ – ამბობს ის.

ბადრი ტაბიძეს ბიძის, რუბენ ნორაკიძის თქმით, შემთხვევის ადგილთან ახლოს, არც ბეტონის და არც რკინის ნაგებობა, რომელსაც შეეძლო ტრავმატოლოგის ახსნის შესაბამისად, დაზიანებების გამოწვევა, არ არის.

დაშავებული ბადრი ტაბიძე ჩხოროწყუ-ზუგდიდის გზაზე, სკოლის მანდატურმა ზამირა როგავამ და მისმა ოჯახის წვრებმა იპოვეს. როგორც მათი ჩვენებებიდან ირკვევა მათვე გამოიძახეს საპატრულო პოლიცია და შემდეგ სასწრაფო.

– „გზის მარჯვენა მხარეს დავინახეთ ზურგით ვიღაცა, გავაჩერეთ მანქანა და მანქანის შუქი რომ მივნათეთ აღმოჩნდა მამაკაცი. მიუახლოვდით. ის ცოცხალი იყო, ხელებს ამოძრავებდა და ითხოვდა დახმარებას. რის შემდეგაც მე დავრეკე საპატრულო პოლიციასა და სასწრაფო დახმარებაში და დაველოდეთ მის მოსვლას. სასწრაფო, რომ მოვიდა და დაათვალიერეს, ვნახეთ შუბლი ქონდა დასისხლიანებული და სისხლი იყო გამშრალი. კითხვაზე გიპასუხებთ, რომ იქნებოდა დაახლოებით 20 საათი დამთავრებული,“ – ვკითხულობთ ზამირა როგავას ჩვენებიდან, რომელიც მან ზუგდიდის რაიონული სამმართველოს ნარაზენის პოლიციის განყოფილების დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელს ანზორ როგავას მისცა.

ბადრი ტაბიძის დეიდის, ნუნუ ნორაკიძის მტკიცებით, როგავას ჩვენებაში მითითებული დრო შეუსაბამო ჩანს რეალობასთან, ვინაიდან ის ამ დროისთვის ჭიშკართან იდგა პოლიციისა და სასწრაფო დახმარების მანქანის მოსვლა ვერ გამოეპარებოდა იმის გათვალისწინებით, რომ შემთხვევის ადგილიდან, ბადრი ტაბიძის დეიდას სახლამდე (საიდანაც ტაბიძე გავიდა) დაახლოებით 200 მეტრია.

ეჭვს იწვევს საქმის სხვა დეტალებიც. მაგალითად, მანდატურ როგავას ჩვენების ის ნაწილი, სადაც ის ტაბიძეს სახეზე მიმშრალ სისხლზე ლაპარაკობს.

– „ნახევარ საათში, როგორ შეიძლებოდა სისხლის გაშრობა ღია ცის ქვეშ, მითუმეტეს იმ საღამოს წვიმდა,“ – ეჭვს გამოთქვამს ტაბიძის დეიდა.

ბადრი ტაბიძე წმინდა ლუკას სახელობის სამედიცინო ცენტრში 20 საათსა და 50 წუთზე, კომატოზურ მდგომარეობაში მოათავსეს.

ბადრი ტაბიძე ზუგდიდის საავადმყოფოში სამთვიანი მკურნალობის შემდეგ გარდაიცვალა.

ტაბიძის ოჯახმა უბედურ შემთხვევაში პოლიცია პირველად მაშინ დაადანაშაულა, როცა გარდაცვლილის პასპორტი ზუგდიდის რაიონულ სამმართველოში აღმოაჩინეს. დაშავებული უბედური შემთხვევის შემდეგ საავადმყოფოში დოკუმენტაციის გარეშე ისე მოათავსეს, როგორც უცნობი მამაკაცი. დამატებით ეჭვს იწვევს ისიც, რომ შემთხვევის ადგილას არც სისხლის კვალი ჩანდა.

ტაბიძის ჭირისუფლების კითხვებს და ეჭვებს, პოლიცია რეაგირების გარეშე ტოვებს და გარდაცვალების სხვა ვერსიაზე, გარდა დაცემისა, არ მუშაობს. შესაბამისად, კითხვები, რომლებიც გარდაცვლილის ოჯახს დაუგროვდა, კვლავ პასუხგაუცემელია.

ტაბიძის ჭირისუფლების თქმით, შვილის დაკრძალვის დღეს, ჭირისუფლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ცხედარი, პროტესტის ნიშნად სამმართველოს კარებთან დაესვენებინათ, თუმცა, მათივე განცხადებით, ისინი პოლიციამ დააშინა და გადააფიქრებინა.

გარდაცვლილის დედის თქმით, დაახლოებით ერთი კვირის წინ, საქმით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც დაინტერესდა.

საკ. ინფ.

თურქული

“ბათუმის ზოგიერთ ქუჩაზე თურქები მღვდლებს არ ატარებენ”

აჭარის გარშემო არც თუ სახარბიელო ვითარებაა. ოპოზიცია თუ საზოგადოება ბათუმის გათურქებაზე ჩივის. ხელისუფლება კი ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს. თუ აკეთებენ, ამბობენ, რომ ეს ყველაფერი მონაჭორია.

ყოფილი დეპუტატი ელიზბარ ჯაველიძე კი ამტკიცებს, რომ ბათუმის გამალებულ თურქიზაციას აქვს ადგილი. ის იხსენებს ასლან აბაშიძის დროსაც. მისი თქმით, აბაშიძე ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ აჭარაში თურქებს ფეხი არ შემოედგათ.

“აქ თუ თურქებმა ფეხი მოიკიდეს, ჩათვალე, რომ მათ აქედან ვერავინ გაყრის” – ამბობდა თურმე აბაშიძე.

მოძრაობა **“თეთრების”** ლიდერის ერთ-ერთი ლიდერის მტკიცებით კი ბათუმში 20 ათასზე მეტი თურქი ჩაეწერა. ხელისუფლება ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, თუმცა იმას ვერ უარყოფს, რომ ქალაქი თურქებით არის სავსე. ბათუმში ხშირად გვხვდება თურქეთის სახელმწიფო დროშები, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებებზეა გადმოკიდებული.

ჟურნალისტმა ლალი მოროშკინამ კი კიდევ უფრო შემაშფოთებელი ინფორმაცია გაავრცელა. მისი მტკიცებით, ბათუმის ზოგიერთ ქუჩაზე თურქები ქართველ მღვდლებს არ ატარებენ.

ჩვენში რელიგიურ თემას დიდი სიფრთხილით ეკიდებიან. აქამდე შეფარვით მიდიოდა იმაზე საუბარი, რომ აჭარაში ისლამური სასწავლებლები ერთმანეთის მიყოლებით იხსნებოდა. ამ თემაზე ხმამაღალი საუბარი აზიზიეს მეჩეთის წყალობით დაიწყო.

მოგეხსენებათ, რომ ხელისუფლება თანახმაა, ბათუმში ეს მეჩეთი აღმართოს. ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ამასობაში ცნობილი გახდა, რომ ბათუმის შემოგარენში 10 რელიგიური პანსიონი მოქმედებს, სადაც, სხვა საგნებთან ერთად, ყურანსაც ასწავლიან.

ამ პანსიონებიდან 7 ვაჟთაა, ხოლო 3 – ქალთა. ერთ-ერთი პანსიონი ადლიაშია განთავსებული, სადაც 35, სხვადასხვა ასაკის მოსწავლე სწავლობს და ცხოვრობს. პანსიონის სასწავლო პროგრამაში, ჩვეულებრივ საგნებთან ერთად, რელიგიური, მუსლიმანური თემატიკაც არის. პანსიონში მოქმედებს ჰაფიზობის კურსიც, სადაც მოსწავლეები ყურანს ზეპირად სწავლობენ.

ციტატა-შეხსენება

“თურქეთში ემიგრირებული ხალხის ბედი არასახარბიელო აღმოჩნდა. როდესაც ოსმალეთის იმპერია თეოკრატიული მუსულმანური სახელმწიფო იყო, სრულყოფილი მოქალაქეობის მთავარ და ერთადერთ პირობად ითვლებოდა სუნიზმის მოძღვრების აღიარება, ცალკეული ხალხის ეროვნებას, ენას, ტრადიციის სპეციფიკას კი ყურადღებას არ აქცევდნენ...

მაგრამ პირველ მსოფლიო ომში იმპერიის დამარცხების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. დამარცხების მთავარ მიზეზად გამოცხადდა მოსახლეობის ეროვნული მრავალგვარობა, საყოველთაო პატრიოტიზმის არარსებობა. ახალმა ხელისუფლებამ ქემალ ათათურქის მეთაურობით ჩამოაყალიბა „მარტივი“ და მკაფიო ამოცანა: თურქეთის ყველა მოქალაქე თურქი უნდა იყოსო. ეს დებულება ქვეყნის კონსტიტუციით განმტკიცდა. კატეგორიულად იკრძალებოდა ეროვნული ნიშნით არა მარტო პოლიტიკური, არამედ კულტურული გაერთიანებები, ეროვნულ ენაზე სკოლების ფუნქციონირება...”

ალექსანდრე ჭაჭია, ნაწყვეტი წერილიდან “საქართველოს ბორცვებზე ფესის ჩრდილი ჩამოწვა”, 1996 წლის დეკემბერი”.

პანსიონი 2006 წელს, საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია **“მიზანმა”** დააფუძნა. სასწავლებელში, ძირითადად, მაღალმთიანი რეგიონებიდან ჩამოსული მოსწავლეები სწავლობენ. პანსიონი მუზრუნველჰყოფს მათ კვებასა და ცხოვრების ხარჯებს. როგორც სასწავლებლის ხელმძღვანელები აცხადებენ, პანსიონში სწავლის სურვილი ბევრს აქვს, თუმცა უადგილობის გამო მოსწავლეებს ვერ იღებენ; **“მიზანს”**, ძირითადად, თურქეთის მორწმუნე მუსულმანები აფინანსებენ.

მუსლიმანურ სასწავლებელში ცხოვრება უფასოა, უფასოა კვებაც. როგორც ამბობენ, შემოწირულობის სახით ფულზე მეტი საკვები პროდუქტი შემოდის, ძირითადად ხორცი.

ამ ტიპის სასწავლებლების ზედამხედველები, ძირითადად, თურქები არიან, ბათუმში კი ხელმძღვანელებად ქართველი მუსლიმანები მუშაობენ. აქ მოსახვედრად რამდენიმე პირობა არსებობს: შემსვლელი უნდა იყოს მორწმუნე და ისლამის კანონებით უნდა ცხოვრობდეს.

ახლა, რაც შეეხება ბათუმში შექმნილ ვითარებას. ლალი მოროშკინა ამტკიცებს, რომ ზოგიერთ უბანში ქართველ მღვდლებს გავლის უფლებას არ აძლევენ. ამაში ჟურნალისტი თურქებზე მეტად საქართველოს ხელისუფლებას ადანაშაულებს, ვითარებაში გარკვევის მიზნით კი მონიტორინგის ჯგუფის შექმნას ითხოვს.

ბათუმში თურქული ექსპანსია გაცხოველებით მიმდინარეობს. არის უბნები,

ციტატა-შეხსენება

„რასაკვირველია, “დიდი თურანის” შექმნის შემთხვევაში გაცილებით ტრაგიკული იქნება ქრისტიანი ხალხების მდგომარეობა. საქართველოს “წინდახედული” პრეზიდენტისათვის, შესაძლოა, ამაში განსაკუთრებით საშიში არაფერი იყოს, მაგრამ ქართველი ერისათვის, მისი თვითმყოფადი ეროვნული კულტურისათვის ეს დასასრულს ნიშნავს. არ ვლაპარაკობ სომხებზე, რომელთა “პრობლემაც” თურქებმა 1915 წელს “გადაწყვიტეს” ორიოდ დღეში მილიონნახევარი ადამიანის ამოხოცვით...”

ალექსანდრე ჭაჭია, ნაწყვეტი წერილიდან “საქართველოს ბორცვებზე ფესის ჩრდილი ჩამოწვა”, 1996 წლის დეკემბერი”.

სადაც თურქები მართლმადიდებლებს არ უშვებენ და ჯვრის ტარების უფლებას არ აძლევენ. ჟურნალისტი ლალი მოროშკინა ერთ-ერთ ასეთ ფაქტს ახმაურებს, რომელიც ბათუმის ერთ-ერთ უბანში მოხდა. ამ უბანში ქართველი სასულიერო პირი შესვლას აპირებდა, როცა თურქებმა შეამჩნიეს, არ შეუშვეს და ჯვრის დამალვა მოთხოვეს.

ლალი მოროშკინა, რომელიც ლექციებს ბათუმის უნივერსიტეტში კითხულობს, თურქული ექსპანსიის შესახებ ღიად საუბრობს. მისთვის გასაკვირი არ იქნებოდა, თურქები ტურისტული მიზნით რომ ჩამოსულიყვნენ აჭარაში, მაგრამ ბათუმის თურქიზაცია დაუშვებელია. მისი თქმით, ბათუმში უკვე აღარ ისმის ქართული სიმღერები. სანაცვლოდ კი თურქულ სიმღერებს ხშირად გაიგონებთ. ასეთივე ვითარებაა ბათუმის ყინულის სასახლეში, რომელსაც ქართულის ნაცვლად თურქული ჰანგები მოეფინება (და ეს მაშინ, როდესაც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებას საქართველოში რუსული სიმღერების შესრულებისათვის სოლიდური ფულადი ჯარიმა ჰქონდა დაწესებული – **“ილორი”**). არადა, ეს ის ყინულის სასახლეა, რომელიც ჩვენი ხელისუფლების მიერ ზარ-ზეიმით გაიხსნა და როგორც სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ არსებულ დაწესებულებაში, იმ ენაზე უნდა ისმოდეს სიმღერები, რომელი ენაც საქართველოშო ოფიციალურად ითვლება.

უკვე აღარავის უკვირს, რომ ბათუმის ქუჩებს **“ამშვენებს”** თურქული, არაბული, ირანული არაფრისმთქმელი სახელები, რაც ადგილობრივებში გაუგებრობას იწვევს. იქაურებმა არ იციან, საიდან მოდის ვინმე ნაჰაინ მუბარაქ ალ ნაჰაიანის, ნურონის, ლაო ჯინ ჯაოს ქუჩების დასახელება. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი ჭავჭავაძის ქუჩისათვის სახელის გადაკეთების შემდეგ იქცა ჩინელი აგრონომის სახელის უკვდავსაყოფ ქუჩად. ასევე, ხშირია აჭარაში უცნობი შეიხების სახელების ქუჩის ტოპონიმებად გამოყენება, რომლებმაც თურმე ვარდების რევოლუციის შემდეგ ინვესტიცია ჩადეს საქართველოში.

ლალი მოროშკინას თქმით, ამ დღეებში აჭარიდან თბილისში ჩამოვიდა სპეციალური დელეგაცია. ეს ადამიანები გამწარებული არიან, რადგან ბათუმი კარგავს თავის სახეს. იმის მიუხედავად, რომ ლამაზი სახლები დაიდგა და გარემონტდა, რეალურად ეს არის მუსლიმანური ქალაქი. თუმცა აჭარლები ამ ყველაფერზე ღიად არ საუბრობენ, რადგან პატარ-პატარა ბიზნესები აქვთ, რითაც ისინი სეზონურად ირჩენენ თავს და, რა თქმა უნდა, გარკვეულ მიზეზთა გამო ხმას არ იღებენ.

– ჩვენ ვიცით, ეს რა მიზეზებიცაა, მომენტალურად იქ ან სასტუმროს დაუწვავენ, ან რესტორანს აუფეთქებენ, ან არაფრის გულისთვის დაიჭერენ და ეს ჩვეულებრივი ამბავი გახდა საქართველოში; პირადად მე რეალობის შეულამაზებლად გადმოცემას შევეცადე, რითაც გამოვხატე ძალიან ბევრი ბათუმელის და არა მარტო ბათუმელის სატკივარი; ეს ყველაფერი მთლიანად აჭარას ეხება, – აცხადებს მოროშკინა.

მისი აზრით, ბათუმის გათურქება მარტივად შეიძლება დადასტურდეს. ამისთვის ჟურნალისტებისგან მონიტორინგის ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს, რომლებიც ჩავლენ და ნახავენ, რა ხდება დღეს ბათუმში, რა ხდება სანაპირო ზოლზე.

– ჩვენ უნდა განვასხვავოთ ტურიზმი და ის ფაქტი, რომ მოქალაქეობას პანტაპუნტით ვაძლევთ თურქებს (მაშინ, როცა სააკაშვილმა მოქალაქეობა ჩამოართვა ივანიშვილს – **“ილორი”**), რომლებმაც სრულიად წალეკეს იქაურობა. აი, ეს არის საშიში პროცესი. თორემ, თურქი რომ ჩამოდიოდეს როგორც ტურისტი, ამაში საშიში არაფერი იქნებოდა. აჭარა დაიყო ზონებად, ბათუმი არის თურქების ხელში, ქობულეთი არის სომხების ხელში. ძალიან ბევრმა სომეხმა იყიდა უკვე მიწა და მოქალაქეობას იღებენ ძალიან მარტივად. ასევე, ძალიან ბევრმა თურქმა იყიდა ტერიტორიები, ქუჩები აქვთ ნაყიდი. ალბათ იცით, რომ თურქი სადაც შემოდის, თავისი ინფრასტრუქტურით მოდის. ეს არის თავისი მაღაზიები, სალონები და, როგორც წესი და აუცილებლობა, – საროსკიპოები. ერთ-ერთი ყველაზე დიდი საროსკიპო გონიოს ციხესთან არის გახსნილი და ამის შესახებ ყველამ იცის. საღამოობით ვინც გაივლის, ნახავს, იქ რაც ხდება. ეს არის მთელი ჩვენი ქვეყნის შეურაცხყოფა. ქართველი ასე არასდროს იქცევა არცერთ ქვეყანაში და ამის უფლებას არავინ მოგვცემს. ეს თურქების მიერ გახსნილი საროსკიპოებია და მომუშავე პერსონალად ჩვენებიც ურევიან. თურქების მხრიდან ბათუმის გამიზნული ექსპანსია მიმდინარეობს, – აცხადებს ლალი მოროშკინა.

როგორც უკვე ვთქვით, მოროშკინა მიიჩნევს, რომ თურქები აქ არაფერ შუაში არიან და სახელმწიფოს არასწორი პოლიტიკის შედეგია. თურქები კი ცდილობენ, მიიღონ ის, რაც ძალიან ადვილი ხელმისაწვდომია მათთვის. მოროშკინასთვის გასაგებია, რომ თურქები უარს ვერ იტყვიან ისეთ მშვენიერ მხარეზე, როგორიც აჭარაა.

– რეალურად დიდი პრობლემების წინაშე ვდგავართ. ყოველკვირეული შეხება მაქვს იქაურ სტუდენტებთან და ძალიან გამწარებულები არიან. გარკვეულ ჯგუფს პრეზიდენტთან შეხვედრაც უნდოდა, რომელიც ხშირად ჩადის ბათუმში, მაგრამ ამის საშუალება არ ეძლევათ. ეს არის ტყუილი, რომ პრეზიდენტი სტუდენტებს ხვდება. მას მუდმივად ის ადამიანები ხვდებიან, რომლებიც სპეციალურად არიან შერჩეულები, რომ ვინმეს რამე წამოსცდეს... რაზეა საუბარი, როცა მღვდელიც არ გაატარეს ქუჩაზე. რა თქმა უნდა, ანაფორით იყო მღვდელი და ჯვრით, თურქებმა კი მიუთითეს და უთხრეს, რომ, თუ ამ ქუჩაზე გავლა მოუნდება, ყველა ამ ატრიბუტიკის გარეშე უნდა შევიდეს. ერთ-ერთი ასეთი ექსტრემისტული ქუჩა გახდა ქუთაისის ქუჩა ძველ ბათუმში და ეს ქუჩა ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია, – მიიჩნევს მოროშკინა.

სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა თურქები ჯვართან დაკავშირებით პრეტენზიებს გამოთქვამენ. მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შირად გადაადგილდებიან თურქი მძღოლები. მათ გზის მონაკვეთის გავლა უწევთ, სადაც ჯვრებია აღმართული. ჰოდა, ერთხელაც თურქმა მძღოლებმა მოითხოვეს – ეს ჯვრები იქნებ აიღოთო. ხელისუფლებამ გადაწყვიტა მძღოლების მოთხოვნა შეესრულებინა. შეუდგნენ კიდეც მოვალეობის შესრულებას და ალბათ, აიღებდნენ კიდეც ჯვრებს, საქმეში რუის-ურბნისის ეპარქიის წარმომადგენლები რომ არ ჩარეულიყვნენ.

ტურისტიც ძალიან კარგია და ინვესტორიც, თუმცა არ შეიძლება მათ ყველაფრის უფლება მისცე. იმედი ვიქონიოთ, რომ ხელისუფლება აჭარაში შექმნილ ვითარებას რეალურად ეაფასებს. გააკეთებს განცხადებებს, თუ რა ხდება სინამდვილეში. რაც მალე იზამენ ამას, მით უკეთესი იქნება.

ციტატა-შეხსენება

“რუსეთის იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც უფრო თავისი სავარძლების შენარჩუნებით და დასავლეთში საკუთარი “იმიჯის” შექმნით არიან დაკავებულნი, ვიდრე სახელმწიფო ინტერესების დაცვით, და მოუწოდებენ კავკასიის “დათმობას”, მინდა შევახსენო საქართველოს საკითხის შესახებ რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს მიერ 1800 წელს მიღებული დასკვნა. მასში, კერძოდ, ნათქვამი იყო: ”ბედის ანაბარად მიგდებული საქართველო განადგურდება და ჩვენ საზღვრებთან ქრისტიანული სამფლობელოს ნაცვლად აღმოჩნდებიან დაუძინებელი მტრები. სხვათაშორის, საქართველო რუსეთს დღემდე დიდ სამსახურს უწევდა, მტრული ძალების გაერთიანებას ხელს უშლიდა და თურქებისაკენ მიქცეული მთიელები, რომელთაც ზურგსუკან საქართველო ჰყავდათ, წარმატებით ვერ მოქმედებდნენ. თუ მხარს არ დავუჭერთ, ქართველები თურქებს დანებდებიან, რაც რუსეთს საშინელ საფრთხეს შეუქმნის. მას 800 ვერსის მანძილზე ეყოლება თურქეთთან გაერთიანებული მტრული ძალები. აქ შემოერთებას სხვა სახელმწიფოებიც არ დააყოვნებენ და მაშინ გაფიქრებაც კი საშინელებაა, რა მოხდება...”

ალექსანდრე ჭაჭია, ნაწყვეტი წერილიდან “საქართველოს ბორცვებზე ფესის ჩრდილი ჩამოწვა”, 1996 წლის დეკემბერი”

ბა.

ამასთან, კარგი იქნება, თუ აგვიხსნიან, რატომ მუშაობს ბათუმის აეროპორტი თურქეთის დროით. კარგი იქნება, თუ გაარკვევენ, რატომ ითვლება თურქული ავიაკომპანიისათვის საქართველოში შესრულებული რეისები შიდარეისებად.

მოკლედ, ბევრი რამ არის გასარკვევი. ხელისუფლება ვალდებულია, ყველაფერზე პასუხი გაგვცეს.

თეა მარხვაიძე,
გაზეთი “ახალი თაობა”, 2012 წლის 21 მაისი, №119 (5809)

სინდრომი

დამოუკიდებლობა – თურქეთის დროშის ქვეშ?!

პარლამენტის საზეიმო სხდომა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაამთხვიეს, ა.წ. 26 მაისს ქუთაისში გაიმართა. ის 17 საათზე დაიწყო და თითქმის ერთ საათს გაგრძელდა, საიდანაც 40 წუთზე მეტი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლამ დაიკავა. დარბაზში იმყოფებოდნენ მისი ორივე ვაჟი, პირველი ლედი, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი და მთავრობა, რომლებმაც 18:00-ზე გარეთ გადაინაცვლეს და პარლამენტის ახალი შენობის წინ ჩავლილ სამხედრო აღლუმს უყურეს.

ქუთაისამდე კი სააკაშვილმა სამრეწველო აღლუმზეც მოასწრო ყოფნა, რომელიც თბილისში რუსთაველის გამზირზე მოაწყვეს (და რომლის მზადებამაც თბილისელების ცხოვრება ქვეყნის ჯერ კიდევ დედაქალაქის ცენტრალურ რაიონებში ნამდვილ ჯოჯოხეთად აქცია: გადაკეტილი გამზირები, აქამდე არნახული საავტომობილო საცობები, მარშრუტშეცვლილი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სახლისკენ ფეხით მიმავალი მოხუცები, საშინელი მტვერი და ჭუჭყი უვარგის პარალელურ ქუჩებზე, რომლებზეც მთელი სატრანსპორტო ნაკადი გადაისროლეს...).

ორივე ღონისძიება – ქუთაისშიც და თბილისშიც – კონცერტებით დასრულდა. პრეზიდენტი და მისი ამალა ქუთაისში კლასიკური მუსიკის კონცერტს დაესწრო, სადაც სიმფონიური ორკესტრის თანხლებით ორი საათის განმავლობაში გამოდიოდა სამი ლამაზი ახალგაზრდა მანდილოსანი, სამი სოლისტი – ცნობილი პიანისტი, მევიოლინე და ვოკალისტი. ეს ყველაფერი, ჩვეულებისამებრ, გრანდიოზული ფოიერვერკით და არანაკლებ გრანდიოზული ბანკეტით დასრულდა.

თბილისელ საზოგადოებას კი სააკაშვილის მმართველობის წლებში ყოველგვარი შოუები ისე აქვს მოყირჭებული, რომ მისი რაიმეთი გაკვირვება ძნელია: სამხედრო ტექნიკის ცალცალობით ჩამოგროვილი ნიმუშები, რომლებითაც მიშა ბავშვებთან ერთად თამაშობდა, ისევე, როგორც ქართული მრეწველობის დანარჩენი **„მიღწევები“** წარწერით **„დამზადებულია საქართველოში“** (ეს წარწერა საქართველოს პრეზიდენტის ზურგსაც ამშვენებდა) თბილისელებში მხოლოდ მწარე ღიმილს იწვევდა – მათი მშობლიური ქალაქი ხომ, რომელიც თანდათან კარგავს დედაქალაქის სტატუსს, მათთან ერთად იღუპება...

დიახ, ძველი პარლამენტი თბილისში მართლმადიდებელი ტაძრის ადგილზე აშენდა, ხოლო ახალი პარლამენტი ქუთაისში – დიდი სამამულო ომის გმირთა მემორიალის აფეთქების დროს დაღუპულთა სისხლზე ააშენეს. სწორედ მის ადგილზე აიგო ეს **"ტაძარი სისხლზე"**, რომელსაც ხალხმა უკვე დაარქვა **"გოგორაშვილის უნიტაზი"...** მილიარდობით ლარი – უსარგებლო შენობებზე, პიარსა და შოუებზე, რომლებიც გაღატაკებულ მოსახლეობას სულაც არ ახარებს, ამიტომ ქუთაისში მასობრივი სცენისთვის მინდორში, ხოლო **"ნაცმოძრაობის"** აქტივისტები, ჩინოვნიკები და **"მათრახითა და თაფლაკვერით"** უბრალო ქუთაისელები მირეკეს, რომლებსაც ხელისუფლება ახლა **"ქუთათურებს"** ეძახის...

სააკაშვილის გამოსვლებიც არავის გაჰკვირვებია – მონოლოგები ბავშვებთან, სიტყვა პარლამენტში და აღლუმზე – ყველა მათგანი წყლის ორი წვეთივით ჰგავდა ერთმანეთსა და მის უწინდელ სპიჩებს: სიძულვილი აგრესორი და ოკუპანტი რუსეთისადმი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დღევანდელ დღემდე ჩაგრავს საქართველოს, სიძულვილი საქართველოში რუსეთის მხარდამჭერი **"მეხუთე კოლონისადმი"**, სიძულვილი ყველასა და ყველაფრისადმი, რაც მის მოსვლამდე – ანუ 2004 წლამდე იყო, და უსასრულო წარმოუდგენელი ტყუილები მისი ღირსშესანიშნავი ხელმძღვანელობით საქართველოს მიერ მოპოვებულ ღირსშესანიშნავ მიღწევებზე, რითაც ქართველ ხალხს კიდევ მრავალი წლის განმავლობაში გააბედნიერებს...

ერთი რამ კი გაკვირვებას იწვევდა: მოედნის ცენტრში ახალი პარლამენტის წინ საქართველოს დროშის გარდა მხოლოდ ერთი დროშა ფრიალებდა – თურქეთის, რომელსაც აღლუმზე ჩავლილი კოლონები სამხედრო სალამს აძლევდნენ! ტრიბუნიდან კი ვარსკვლავიან-ნახევარმთვარიან დროშას სააკაშვილის სტუმარი – რეჯებ ჟორდანია შესცქეროდა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ვაჟი, იმისი, ვინც თურქებისგან თავდასაცავად 1918 წლის მაისში საქართველოში გერმანული ჯარები შემოიყვანა, ხოლო იმავე წლის 4 ივნისს თურქეთთან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო, რომლითაც საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთს გადაეცა...

თუმცა რა არის აქ გასაკვირი? დედამ – ცნობილმა თურქოლოგმა გიული ალასანიამ – ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პატარა მიშას საყვარელი გმირი მუსტაფა ქემალ ათათურქი გამხდარიყო, და პრეზიდენტობამდე გაზრდილი, ის მიზანმიმართულად მიდიოდა თავისი ბავშვური ოცნების განხორციელებისკენ:

– საქართველო-თურქეთის საზღვარი წმინდად სიმბოლური გახდა;

– ბათუმის აეროპორტი, პრაქტიკულად, თურქეთის შიდა აეროპორტად გადაიქცა;

– აგრარულმა საქართველომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 90%-ის თურქეთიდან შემოტანა დაიწყო;

– აჭარაში (რომელიც საქართველოს შემადგენლობაში მხოლოდ ყარსის ხელშეკრულების გარანტორის – რუსეთის წყალობით არის) ათობით ახალი მეჩეთი შენდება, მათ შორის – სულთანი აზიზიეს მიერ თავისი დედის – ვალიდე-ხანუმის თხოვნით (ოჰ, ეს დედები!) რუსეთის იმპერიის მიერ თურქული უღლისაგან აჭარის გათავისუფლებამდე.

2013 წელს კი თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული ნატოს გენერალური მდივანი გახდება და ის ამ პოსტზე უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ანდერს ფოგ რასმუსენს შეცვლის. და საბოლოოდ დანაწევრებულ საქართველოს ნატოში მიიღებენ, მაგრამ უკვე როგორც ახალ პროვინციას – გურჯისტანად წოდებულ თურქეთის ვილაიეთს დედაქალაქით ქუთაისში! სადაც თურქეთის ქვეშევრდომი **"ქუთათურები"** იცხოვრებენ...

P.S. 20 მაისს მკითხველი უეჭველად შენიშნავდა **„საქინფორმის“** საიტზე ვინმე ახმედ ეფენდის კომენტარს: **„აჭარა იყო და იქნება თურქეთის. რადგან ჩვენს წინაპრებს სისხლი აქვთ დაღვრილი აჭარისათვის. და ჩვენ ამაში ხელს ვერავინ შეგვიშლის, თურქეთის ინტერესი აჭარის მიმართ დიდია და ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი, დიადი, დიდი თურქეთისათვის“.**

სამხედრო აღლუმი ქუთაისში კი თურქეთის დროშის ფონზე კარის მუსიკოსმა ზუმბამ გახსნა – სიმღერით, სადაც ასეთი სიტყვებია: **"ერთი ცა გვაძვს, ერთი მზე და ერთი ზღვა"...** ამის შემდეგ უკვე არ ვიცი – როდის და სად იქნება გურჯისტანი: აფხაზეთში, აჭარაში თუ იმერეთში... არადა, ჯერ ჯერ კიდევ 16 წლის წინ, ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილის მოსვლამდე, ქართველმა პოლიტიკოსმა ალექსანდრე ჭაჭიამ არაერთხელ, მათ შორის, სხვადასხვა მედიასაშუალებით, გაგვაფრთხილა საქართველოსთან მიმართებაში თურქეთის გენშტაბის საიდუმლო გეგმის არსებობის თაობაზე, და ჩვენი სამშობლოსთვის მისი შესაძლო სავალალო შედეგების შესახებ.

არნო ხიდირბეგიშვილი,
„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი

ქობულეთში პეტრას ციხე-ქალაქი „ჯორჯიან ინვესტ კომპანის“ 1 ლარად მიჰყიდეს

პეტრას ციხე ერთ ლარად გასხვისდა, – ამის შესახებ განცხადება ამას წინათ რესპუბლიკელებმა გააკეთეს.

აჭარაში აზიზიეს მეჩეთის სკანდალის პარალელურად, კიდევ ერთი სკანდალური გადაწყვეტილება ხდება ცნობილი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფელ ციხისძირთან, პეტრას ისტორიული ციხე-ქალაქი სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად **„ჯორჯიან ინვესტ კომპანიას“** 49 – წლიანი ვადით გადასცა.

აღნიშნული კომპანიის მფლობელნი უკრაინელები არიან (რაც იმის ეჭვა ბადებს, რომ მათ უკან თურქების დაინტერესებული ჯგუფი დგას), რომელთანაც ეკონომიკის სამინისტრო ბოლო კონსულტაციებს მართავს. არსებობს ინფორმაცია, რომ ამ ტერიტორიაზე ნახევარი მლნ ლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს, ხოლო პეტრას ციხე 3 200 კვმ ფართთან ერთად გასხვისდა. სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, საუბარია მხოლოდ იჯარით გასხვისებაზე. მოლაპარაკებები მხარეებს შორის ახლა მიმდინარეობს და დეტალები 15 მარტისთვის გახდება ცნობილი.

როგორც მუზეუმ-ნაკრძალის აწ უკვე ყოფილმა ხელმძღვანელმა ირაკლი ჩავლეიშვილმა განაცხადა, ისტორიული ციხე-სიმაგრის გაყიდვა, თანაც სიმბოლურ ფასად, რეალურია. მისივე განცხადებით, უკვე ახალი რეალობიდან გამომდინარე, დატოვა დირექტორის თანამდებობა და ყველა დოკუმენტაცია საბუღალტრო სამსახურს გადააბარა.

ირაკლი ჩავლეიშვილს დაუშვებლად მიაჩნია ბიზანტიური პერიოდის ანბანის, მე-6 საუკუნის სამნავიანი ბაზილიკის ნაშთებისა და მე-16 საუკუნის ერთნავიანი ბაზილიკის, მათთან ერთად სხვა ისტორიული მნიშვნელობის ნიმუშების გასხვისება და კერძო მფლობელის ხელში გადასვლა.

იგი საქმეში საქართველოს საპატრიარქოს დაუყოვნებლივ ჩართვას მოითხოვს.

ირაკლი ჩავლეიშვილი: „გიდასტურებთ, რომ პეტრას ციხე გაიყიდა სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად და ციხის გასხვისება მოხდა კომპანია „ჯორჯიან ინვესთ კომპანის“ სახელზე, რომლის მფლობელიც უცხოეთის მოქალაქეა. კერძოდ, ესენი გახლავან უკრაინელები. ჩემს ხელთაა ჯერ კიდევ ხელმოუწერელი ხელშეკრულება, რომელიც დათარიღებულია 2012 წლის 15 მარტით. სავარაუდოდ, კომპანიასთან ეკონომიკის სამინისტრო 15 მარტს დაასრულებს მოლაპარაკებებს. ხელშეკრულება რუსულ ენაზეა შედგენილი და საუბარია ციხე-ქალაქის 49-წლიანი იჯარით გადაცემაზე. ფაქტობრივად, ეს ხელშეკრულება მუზეუმ-ნაკრძალის სტატუსს აუქმებს. თავიდანვე საუბარი იყო პეტრას და გონიოს ნაკრძალების აჭარის მთავრობისა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადასვლაზე, ახალი ხელისუფლების განწყობები ამ კუთხით ძალიან საიმედო იყო, თუმცა ამაოდ. ამბობენ, გასულ ზაფხულს „ჯორჯიან ინვესთ კომპანის“ წარმომადგენლები პრეზიდენტთან ერთად გადაადგილდებოდნენ პეტრას ციხესთან.

თითქოსდა, სწორედ ამ დროს შესთავაზა პრეზიდენტმა უცხოელებს აღნიშნული ადგილით დაინტერესება, თითქოს ეს ისტორიული ადგილი პრეზიდენტის საუფლისწულო ყოფილიყოს.

24 წელიწადი ვხელმძღვანელობდი ამ ნაკრძალს და ამ ხნის მანძილზე არაერთი მდიდარი ადმოჩენის მომსწრე გავმხდარვარ. ცოტა ხნის წინ, როცა ციხის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის გადმოცემა მოვითხოვე, რათა იქ ექსპონატები დამებრძანებინა, ეს შენობა გაასხვისეს და იქ რესტორანი გახსნეს. ახალ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დაცვაზე, იმაზე თუ რის გაკეთებას აპირებენ. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის არსებული კონკორდატის თანახმად, ამ საქმის კურსში აუცილებლად უნდა ყოფილიყო საქართველოს საპატრიარქო. ეს გასხვისება კი მოხდა მისი გვერდის ავლით.

მორალურად არ ვიქნებოდი მართალი, თუკი აღნიშნული ფაქტის შესახებ საქმის კურსში არ ჩავაყენებდი სამღვდელოებას. ამბავი ვაცნობე მოძღვრებს და ველოდებით მეუფის აჭარაში დაბრუნებას, მასთან შეხვედრას. მიმაჩნია, რომ პეტრა არ უნდა გადავიდეს კერძო პირის მფლობელობაში, უნდა დარჩეს სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ. ამის ფინანსური რესურსი დღევანდელ ქართულ სახელმწიფოს გააჩნია, მაგრამ არ მინდა მჯეროდეს, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული მხოლოდ მილიონიანი ის შენობა-ნაგებობებია, რომელიც ბათუმში იხსნება და სპეციალისტების სერიოზულ შეშფოთებას იმსახურებს“.

პეტრა დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ისტორიული და სამხედრო მნიშვნელობის ცენტრია, რომელიც ეგრისის სამეფოში შედიოდა. დღემდე შემორჩენილია ციხის ნანგრევები, ხოლო მისი ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური მდებარეობის გამო, ლაზების ამ უძველეს სამოსახლოზე VI საუკუნეში, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანემ ქალაქი გააშენა. აქვე დაარსდა ლაზიკის ეპარქიის ერთ-ერთი საეპისკოპოსო ცენტრი. აქ გადიოდა ზღვისპირა ვიწრო გზა, რომელიც დასავლეთ საქართველოს ბიზანტიის პროვინციებთან, ირანთან და სომხეთთან აკავშირებდა.

ბიზანტია და ირანი დაინტერესებული იყვნენ, რომ პეტრა მათ მფლობელობაში ყოფილიყო, რადგან მათი

პოლიტიკურ-ეკონომიკური ექსპანსია სწორედ პეტრას კონტროლზე იყო დამოკიდებული, რაც გახდა კიდეც ერთ-ერთი მიზეზი VI საუკუნის შუა წლებში ბიზანტიაირანის ომისა. შუა საუკუნეებში მას ქაჯეთის ციხეს უწოდებდნენ, გარკვეული სავაჭრო მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნეშიც. პეტრას აკროპოლისი ზღვისპირა კლდოვან ბორცვზე მდებარეობდა, ხმელეთის მხრიდან მას გალავნის გარდა, კლდოვანი რელიეფი იცავდა (აქედანაა მისი ბერძნ. სახელწოდება **„პეტრა“** – ქვა, კლდე). პეტრა მიუვალ ციხედ ითვლებოდა. მისი ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. არქეოლოგიურმა გათხრებმა შიდაციხის გალავანთან ერთად, გამოავლინა სხვადასხვა ნაგებობა, მათ შორის VI-VII საუკუნეების ბაზილიკის საძირკველი, რომელიც პეტრის საეპისკოპოსოს კათედრალის ნაშთია.

ინვესტორმა ციხის ტერიტორიაზე გასართობი ცენტრი და საზოგადოებრივი კვების ობიექტი უნდა მოაწყოს. ინვესტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი სამნავიანი ბაზილიკის ნაშთების და აბანოს თაობაზე, სადაც არქეოლოგიური გათხრებია ჩასატერებელი და ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესასწავლი. აჭარაში მხოლოდ ორი ძეგლი – პეტრას ციხე და გონიოა – მონუმენტარული, ამიტომ ასეთი ძეგლების ჩუმად გასხვისება მიუღებელია. სხვას რომ თავი დავანებოთ, აქ არის მორალური მხარეც, რადგან ქართველებმა ბოლო გამარჯვება სწორედ პეტრას ციხესთან იზეიმეს, როცა აჭარა დანარჩენ საქართველოს შემოუერთდა. ისტორიული ციხექალაქის, პეტრას ნანგრევები სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე მდებარეობს. ციხე-მუზეუმი ნაკრძალად 1999 წელს ჩამოყალიბდა. ციხის შესახებ მოპოვებული ინფორმაციები პირველი ათასწლეულით თარიღდება, ხოლო როგორც ქალაქი, პეტრას ციხე მეექვსე საუკუნეში ჩამოყალიბდა. უცნობია, რა რეაქცია მოჰყვება ციხე-გოჯის გასხვისებას აჭარასა და დანარჩენ საქართველოში. 4 მარტს ბათუმში გრანდიოზული მასშტაბის შეკრება გაიმართა, სადაც აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას გააპროტესტეს. მრევლმა იუნკერთა საფლავთან ჯვარი აღმართა – იქ, სადაც წარსულში აზიზიეს მეჩეთი იდგა და თურქეთ-საქართველოს ხელშეკრულების სანაცვლოდ, აღდგენა უნდა მოხდეს.

P.S. ახლახან ცნობილი გახდა, რომ თურქეთში გამოუშვეს სასკოლო სახელმძღვანელო უფროსკლასელთათვის, რომელშიც ბათუმი წარმოდგენილია როგორც თურქეთის ქალაქი. ეს სისულელე დიდად არ აგვაღელვებდა, რადგან ჩვენ მიჩვეული ვართ ამგვარ გამოხტომებს თითქმის ყველა მეზობლის მხრიდან, მაგრამ დამაფიქრებელი ისაა, რომ წიგნი ლიცენზირებულია თურქეთის განათლების სამინისტროს მიერ, რაც თავისთავად ნიშნავს თურქეთის ხელისუფლების პოზიციის გაუღერებას!

ვერ ისვენებენ ეს შუა აზიის სტეპებიდან ბიზანტიაში შემოთესლილი ბარბაროსები და თითქმის ყველა მეზობელს ედავებიან ტერიტორიებს. სააკაშვილი და მისი ნაცები კი თურქებს ჩვენს კეთილმოყვრებად გვისახავენ და ლამის მათ სახელზე გვალოცონ!

ფრთხილად, გველი ჩუმად მოიწევს ჩვენს დასაკბენად!

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ყენია ნაწყენია: “20 წუთი ვერ გაიმეტეს ჩემთვის”

ყენია: “ქეცბაიამ, იმის ნაცვლად, რომ ფსიქოლოგიურად უკეთ მოვემზადინე, პირიქით გამიკეთა” “ძალიან გულგატეხილი ვარ. თემურ ქეცბაიასგან ასეთ რამეს არ ველოდი. ჩემი თამაშის სანახავად რამდენიმე გუნდის წარმომადგენელი იყო ჩამოსული: “ლაციო”, “ბაზელი” და თურქული კლუბები. 20 წუთი ვერ გაიმეტა ჩემთვის. რა მოხდებოდა, შეცვლაზე ცოტა ხნით მაინც რომ შევეყვანე? ჩემთვის ძალიან ბევრს წყვეტდა ეს თამაში. აბსოლუტურად ჯანმრთელი ვარ და ფეხბურთელებს ჰკითხეთ, როგორ ვიყავი ვარჯიშზე” – ეს ლევან ყენიას სიტყვებია, რომელიც მან გაზეთ **“მსოფლიო სპორტთან”** ინტერვიუში თქვა.

საუბარი საქართველო-თურქეთის (1:3) მატჩს ეხება, რომელშიც გუნდებს 6-6 შეცვლის უფლება ჰქონდათ, თუმცა ყენია მინდორზე ვერ ვიხილეთ.

დავინტერესდით, ისევ ტრავმამ ხომ არ შეაწუხა ლევანი.

– თავდაუზოგავად ვვარჯიშობდი და თამაში თავისუფლად შემეძლო. არანაირი ტრავმა. უბრალოდ, არ მთამაშა ქეცბაიამ და ძალიან ნაწყენი ვარ. მატჩის წინა დღეს მითხრა, შენ, მგონი, ფეხი გტკივა და ვერ დაგვეხმარებიო. არადა, ხომ ვატყობდი, ასე არ იყო. იმის ნაცვლად, რომ ფსიქოლოგიურად უკეთ მოვემზადებინე, პირიქით გამიკეთა.

– ამაზე რა უთხარით?

– გამიკვირდა, რაც მითხრა. ვერაფერი ვეღარ ვუთხარი. აბსოლუტურად ჯანმრთელი ვიყავი და თამაშიც შემეძლო. თან, ქეცბაიამ იცოდა, რომ ჩემი თამაშის სანახავად რამდენიმე გუნდის წარმომადგენელი უნდა ჩამოსულიყო. ჩამოვიდნენ კიდეც, მაგრამ... რატომ გამიკეთეს ასე, ვერ ვხვდები. 15 წლიდან მოყოლებული, ყველა ნაკრებში თავს ვაკლავდი. შემდეგ, ეროვნულში რომ ვითამაშებდი, მეორე დღეს 19-წლამდელებში ვთამაშობდი. ბევრჯერ გამაყუჩებლებით გავსულვარ მოედანზე. და ახლა, როცა კარიერაში გადამწყვეტი პერიოდი მაქვს და თამაში ჰაერივით მჭირდებოდა, 20 წუთი არ დამითმეს.

– ალბანეთთან გათამაშათ ქეცბაიამ, არადა, მაშინ ვარჯიში ახალი დაწყებული გქონდათ...

– სწორედ ამაშია საქმე. მაშინ შემეძლო გუნდის დახმარება და ახლა არ შემიძლია? ახლა ხომ გაცილებით კარგად ვიყავი. სანამ ავსტრიაში ჩავიდოდი, **“შალკეს”** 21-წლამდელებში ვითამაშე და ლუქსემბურგთან გოლი გავიტანე. არაფერი მაწუხებს. ფეხბურთელებს ჰკითხეთ, როგორ ვიყავი ვარჯიშზე.

– რომელი გუნდის წარმომადგენლები იყვნენ საქართველო-თურქეთის მატჩზე?

– იტალიის **“ლაციოდან”**, შვეიცარიის **“ბაზელიდან”** და კიდევ თურქული გუნდებიდან. უნდა ჩამოსულიყვნენ გერმანიის ბუნდესლიგიდანაც – **“აუგსბურგიდან”** და **“ნიურნბერგიდან”**. თუმცა, როცა ქეცბაიამ წინა დღეს მითხრა, ვერ დაგვეხმარებიო, გერმანული კლუბების წარმომადგენლებს დავურეკე და ვუთხარი, ტყუილუბრალოდ ნუღარ ჩამოხვალთმეთქი. **“ლაციოდან”, “ბაზელიდან”** და თურქული კლუბებიდან კი უკვე ჩამოსულები იყვნენ.

– ანუ, “ლაციოდან” სერიოზული დაინტერესება იყო?

– ბოლო დღეებში იყო. ახლა კი, არ ვიცი.

– ჩაიშალა?

– არა. ჯერ არ ჩაშლილა, თუმცა გაცილებით რეალური იქნებოდა, თურქეთთან რომ მეთამაშა. ღა დაშავდებოდა? ვაგებდით. მე რომ შევეყვანე, 5:1-ს წავაგებდით? თურმე, ნაკრებს ვერ დავეხმარები. ქეცბაიამ ადრე თქვა, გვსურს, რომ ყენიას გვერდში ამოვუდგეთო. რაში გამოიხატა? მხოლოდ იმაში, რომ უბრალოდ შეკრებაზე წამიყვანა?

– თუმცა, ესეც საქმეა. ნაკრებში დიდი ხანია, არ ყოფილა და გვსურს, ხელი გავუმართოთო, ასე თქვა.

– და არ მათამაშა. როცა თუნდაც 15-20 წუთი ჰაერივით მჭირდებოდა, მაშინ არ მათამაშა. ეს გვერდში დგომა კი არა, გაწირვაა.

– 21-წლამდელთა ნაკრებს 1 ივნისს ბელარუსთან, 5-ში კი ესტონეთთან აქვს თამაში. როდის შეუერთდებით ალექსანდრე ჩივაძის გუნდს?

– უკვე იციან, რომ ამ მატჩებში არ ვითამაშებ. თურმე, ფეხი მტკივა და ნაკრებს ვერ გამოვადგები. ასე მითხრა ქეცბაიამ თამაშის წინა დღეს და 21-წლამდელებს როგორღა გამოვადგები? თორემ კიდევ ვიმეორებ, ერთ დღეს რომ ეროვნულ ნაკრებში ვთამაშობდი, მეორე დღეს 19-წლამდელებში გადავდიოდი. თავი არასოდეს დამიზოგავს და თავს ვაკლავდი. ბევრი რამ გადავიტანე და მადლობა ყველას, ვინც მხარში მედგა და მიდგას. ხალხისგან სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობ და ვიცი, ჩემს მიმართ როგორც არიან განწყობილნი.

– ისევ საკლუბო კარიერაზე. როდის გაირკვევა თქვენი მომავალი გუნდის ვინაობა?

– ვფიქრობ, მალე გახდება ცნობილი. არის ერთი ყველაზე რეალური ვარიანტი, თუმცა ჯერ ვერ ვიტყვი. ეს კლუბი **“ლაციო”** არაა, თუმცა როგორც უკვე ვთქვი, **“ლაციოს”** ვარიანტიც არაა ჩაშლილი. სანამ ახალი გუნდის საკითხი არ გადაწყდება, ჩემთვის ინდივიდუალურად ვივარჯიშებ.

ილია ნანობაშვილი

ფინალის უცნობი დეტალები: პენალტის დარტყმა აღარავის უნდოდა!

„ბაიერნი“ ჯერ კიდევ შოკშია – გერმანელებს ვერაფრით მოუნელებიათ ის, რომ მათმა რეკორდმაისტერმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში ინგლისურ კლუბთან თერთმეტმეტრიანების სერიაში წააგო.

უშუალოდ ფინალის დროს, პენალტების სერიის წინ და თერთმეტმეტრიანების შესრულებისას დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევდა, რომ ბაიერნელები ერთმანეთში უცნაურ დისკუსიებს მართავდნენ.

ისე ჩანდა, თითქოს პენალტის დარტყმა არავის უნდოდა, ანაც იმაზე მსჯელობდნენ გაუთავებლად, ვის რა დროს უნდა დაერტყა.

სანამ მანუელ ნოიერი დაარტყამდა, **„ბაიერნის“** საოთადარიგოთა სკამზე სხვადასხვა ჟესტიკულაციასაც შენიშნავდით – ბევრს გაუკვირდა, პენალტის დასარტყმელად მანუ რომ მივიდა.

„ბილდის“ ინფორმაციით, მიუნხენური გრანდის მთავარ მწვრთნელ იუპ ჰაინკესს ხუთეულის შერჩევა ძალიან გაუჭირდა, რაც 67 წლის სპეციალისტმა კვირას დაადასტურა კიდეც:

„რამდენიმე ფეხბურთელმა პენალტების სერიაში მონაწილეობაზე უარი მითხრა. ცხადია, მათ ამას ვერ დავაძალებდი...“

რა მოხდა სინამდვილეში? ფაქტია, რომ ჰაინკესი ნოიერზე ისედაც სერიოზულად ფიქრობდა და როცა სხვებმა უარი უთხრეს, საბოლოოდ გადაწყვიტა, რომ მანუს ერთ-ერთი პენალტი უნდა შეესრულებინა.

თავად ნოიერი ამბობს, ვფიქრობდი, რომ ბოლოსწინა პენალტს შევასრულებდი, მაგრამ როცა დავინახე, რომ დასარტყმელად არავინ მიდიოდა, მე წავედიო.

მანუ ივიცა ოლიჩს გულისხმობს – როგორც ირკვევა, **„ბაიერნიდან“** მესამე პენალტი სწორედ ხორვატს უნდა შეესრულებინა, ნოიერს კი მეოთხე უნდა დაერტყა, მაგრამ რაკი ოლიჩმა ფეხი არ მოიცვალა, მესამე პენალტი ნოიერმა დაარტყა და გაიტანა.

ოლიჩი ნიშნულთან მანუს შემდეგ მივიდა და როგორც იცით, მას ჩეხმა აუდო.

მიულერი ტიმოშჩუკს ეხვეწებოდა, რობენი – გომესს

იდეაში, პენალტი აუცილებლად უნდა დაერტყა თომას მიულერსაც, მაგრამ რაკი ჰაინკესმა მატჩის მიწურულს შეცვალა, ამის უფლება აღარ ჰქონდა და **„ბილდის“** ცნობით, მიულერმა ანატოლი ტიმოშჩუკს სთხოვა, შენ დაარტყიო, რაზეც უკრაინელისგან სასტიკი უარი მიიღო.

ამაზე მიულერი ძალიან გაბრაზდა და წყლის ბოთლი ძირს დაახეთქა.

იუმორი

ქალები ფულს გონებით ხარჯავენ... შედეგად, არც გონება რჩებათ, არც ფული.

* * *

ეს პატრულები ნამდვილი ძაღლები არიან.

– რატომ?

– გუშინ “პრავა” ჩამომართვეს.

– რატომ?

– სულ ტყუილად. მერე რა, რომ აფთიაქი არ მქონდა, გვერდით მანქანას ოდნავ გავკარი და ოდნავ მთვრალი ვიყავი.

* * *

– რამდენი დაგჭირდა ფრენა რომ გესწავლა?

– ასე, შვიდი-რვა, აღარ მახსოვს.

– წელი?

– არა, თვითმფრინავი!

* * *

– რომელ სტადიაში იმყოფება ალკოჰოლიზმთან ბრძოლა?

– პირველი სტადია წარმატებით დავძლიეთ! “ზაკუსკა” ლიკვიდირებულია...

* * *

სომეხს ეკითხებიან: – როგორ უნდა გააგიჟო რუსი?

– უნდა შეაგდო მრგვალ ოთახში და უთხრა, რომ კუთხეში არაყია დამალული.

* * *

ამ წელს ჰოლანდიის მთავრობამ ალკოჰოლიზმთან ბრძოლისათვის 20 ტონა მარიხუანა გამოყო.

მამანტი ძაძამია – 72

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ მამანტის, მეგრული ენის დიდ მენცარს, შესანიშნავ პიროვნებას, კარგ მეგობარს და მეოჯახეს, ჭეშმარიტ კოლხს.

ქართულ საზოგადოებას გვინდა კიდევ ერთხელ მოკლედ შევახსენოთ მისი ღვაწლი ზოგადქართული კულტურისა და მეგრული ენის კვლევაში მიღწეული უნიკალური შედეგები. ბატონი მამანტი ახალგაზრდობიდანვე იჩენდა დაინტერესებას მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიმართ. საბოლოოდ მისი განსაკუთრებული დაინტერესების საგანი გახდა ენათმეცნიერება, რომელსაც მიუძღვნა კიდეც თითქმის მთელი თავისი ცხოვრება.

ბატონი მამანტი ძაძამია 1997 წლიდან არის საქართველოს ეკოლოგიური მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. 2003 წლიდან არის კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი. 2005 წლიდან – საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიისა და ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. 2007 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემია **„აია“**-ს პრეზიდენტი. ბატონი მამანტი აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, ის ერთერთი პირველთაგანი დადგა პატრიოტთა გვერდით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რის გამოც მისი და მისი ოჯახის სიცოცხლე არაერთხელ აღმოჩნდა საფრთხეში.

როგორც ცნობილია ენის წარმოშობის საკითხით კაცობრიობა უძველესი დროიდან იყო დაინტერესებული. წამოყენებულ იქნა მრავალი თეორიაც, მაგრამ ვერც ერთის დამტკიცება ვერ მოხერხდა. ენათმეცნიერება თანამედროვე ენაში პირველყოფილი მეტყველების კვალს ვერ პოულობდა. ენათმეცნიერებმა იმედი გადაიწურეს და გამოაცხადეს, რომ **„ენის წარმოშობის საკითხის შესწავლა შეუძლებელია“**. ასეთ დროს ჯერ კიდევ 1997 წელს წიგნად გამოვიდა მამანტი და ცირა ძაძამიების ნაშრომი **„ენის წარმოშობის საიდუმლოება“**. 2003 წელს კი გამოსცეს ახალი მონოგრაფია **„სიტყვათწარმომავლობის საკითხები“**. ეს ნაშრომები აღიარებდნენ და ცოცხალი ენობრივი მასალებით ასაბუთებდნენ კიდეც, რომ ენის წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ხმაბაძვითობა, როგორც ყველა ახალ აღმოჩენასა და მიგნებას, ამასაც არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა.

„თვით ღმერთის მიერ შექმნილი ნაშრომი“ ასე უწოდა მას ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ნაპოლეონ ლემონჯავამ. **„ეს მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომია, ამის მსგავსი ენათმეცნიერებაში არ არსებობს“**, – ასეთი იყო აკადემიკოს ვლადიმერ ალფენიძის შეფასება. **„მსოფლიოს მეცხრე საოცრება კოლხეთის შემდეგო“** – ასე უწოდა აღნიშნულ ნაშრომებს პოეტმა-აკადემიკოსმა ვაჟა ეგრისელმა. არიან სკეპტიკოსებიც, რომლებიც ენის წარმოშობის ბუნებითობის თეორიას არ ემხრობიან. ეს გასაკვირი სულაც არ არის. აღნიშნული თეორია საუკუნეების წინ იქნა უარყოფილი, იგი აქამდე ტაბუირებულიც კი იყო.

ენის წარმოშობის საკითხი, ახალი დამატებითი არგუმენტებითა და ცოცხალი ენობრივი მონაცემებით სავსებით ამოხსნილია, 2007 წელს გამოცემულ შვიდტომეულში – **„მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**. ნაშრომი მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში წარმოდგენილია გამოკვლევის ობიექტის – მეგრული ენის უმდიდრესი ლექსიკა. (სათანადო ხერხის გამოყენებით)

მართალი სიტყვა, სინდისი და პატიოსნება – ესაა ბატონ მამანტი ძაძამიას ცხოვრებისეული კრედო. ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებას სამეცნიერო, შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“
გაზეთი „ილორი“
გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“
ჟურნალი „აია“

ISSN 1987-8966 ილორი
9 771987 896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე
რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95
მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge